საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

რ ო ლ ა ნ დ თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი
დ ე მ ო გ რ ა ფ ი ი ს ა თ ვ ი ს

(შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის
ეთნოისტორიული საკითხები)

“მემატიანე”

თბილისი
2002

საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის საკითხები ფაქტობრივად ჩვენი ქვეყნის ისტორიის თეთრი ლაქაა. ეს პრობლემა წინა თაობის ისტორიკოსებმა მომდევნო თაობებს გადაულოცეს, თუმცა ყოველივე ეს უფრო სათანადო წყაროების, საბუთებისა და მასალების სიმცირით იყო გამოწვეული. ისტორიული დემოგრაფიის ზოგიერთი საკითხის კვლევაში ფრიად მნიშვნელოვანია ეთნოლოგიური მონაცემების გათვალისწინება. წინამდებარე წიგნში, რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისში დაიწერა, შესწავლილია საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – მოსახლეობის მიგრაციები, კონკრეტულად კი შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები. წიგნი გაგრძელებაა ავტორის მიერ 1984 წელს დაბეჭდილი მონოგრაფიისა. "აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX საუკუნეებში", რომელშიც კახეთის მთის მოსახლეობის (ფშავისა და ხევსურეთის) ადგილგადანაცვლების, ისტორიული დემოგრაფიის, ეთნოისტორიის საკითხებია შესწავლილი.

რედაქტორი: **ირაკლი სურგულაძე**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
რეცენზენტები: **დევი ბერძენიშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
ჯონდო გვასალია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

მხატვრული რედაქტორი: **თამაზ კვიჭიძე.**
ტექნიკური რედაქტორი: **პაატა ვარდანაშვილი.**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **მანანა ბარამიძე.**

რეკომენდირებულია დასაბეჭდად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2002 წლის " " აპრილს (ოქმი №3)

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.

თავი I – მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაცა შიდა ქართლში.

თავი II – მთიულ-გუდამაყრელთა ერწო-თიანეთში მიგრაცია.

თავი III – მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაცია ქვემო ქართლსა და თრიალეთის ქედზე.

თავი IV – მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაცია კახეთში.

თავი V – შიდა ქართლის მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის ზოგიერთი ეთნოისტორიული და სოციალურ-რელიგიური ასპექტი და დასკვნა.

სქემები.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის მიგრაციის საკითხები სათანადოდ შესწავლილი არ არის. არადა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გადარჩენის საქმეში (აქ განსაკუთრებით ეთნიკურ გადარჩენას ესმის ხაზი) მოსახლეობის შიდა მიგრაციულ პროცესებს განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეების (მხარეების) მოსახლეობა თითქმის მუდმივად გადასახლდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც მშვიდობიან, ისე არამშვიდობიან პერიოდებში. ამ გადასახლებათა მიზეზები სხვადასხვა იყო. სამწუხაროდ, ზოგიერთ მიგრაციულ ტალღას ეთნიკური თვალსაზრისით ზოგჯერ კატასტროფული შედეგები მოჰქონდა (აქ შეიძლება მაგალითად გავიხსენოთ დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა ქართული მოსახლეობის ერთდროული აყრა და ბარში ჩასახლება. ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის თურქეთში და ქრისტიანების აღმოსავლეთ საქართველოში გადასახლება). უფრო ხშირად კი ასეთი შიდა მიგრაციული ტალღები დემოგრაფიული თვალსაზრისით მისწრება იყო ხოლმე ქართული ეთნოსახელმწიფოებრივი და ეთნოსოციალური ერთეულებისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთის პროვინციების მოსახლეობის მიგრაციას მთისწინეთისა და ბარის მიმართულებით. მიგრაციის ასეთი მარშრუტები უმეტეს შემთხვევაში ორივე თვალსაზრისით (როგორც მიგრანტთა მიმღები, ისე მიგრანტთა გამომშვები რეგიონებისათვის) დადებითი ასპექტების მქონე იყო. საქართველოს მთისწინეთისა და ბარის ბევრ რეგიონში ხანგრძლივი ომების შედეგად გაწყვეტილი ქართული მოსახლეობის კვლავწარმოებაც ხდებოდა და მთაც გადამეტსახლებას დროდადრო თავს აცილებდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის ეს გადაადგილებანი საქართველოში მიმდინარეობდა, როგორც თავისთავად, ბუნებრივად, ისე როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური ჩარევით, რადგან მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან გავერანებულ, გაპარტახებულ, მწარმოებელი მოსახლეობისაგან ამოვარდნილ პროვინციებს კვლავ აღორძინება ესაჭიროებოდათ. ამ შემთხვევაში პირდაპირ მისწრება იყო ზოგიერთი გადამეტსახელებული ქართული რეგიონიდან და ძირითადად მთის კუთხეებიდან ნამატი მოსახლეობის ასეთ მხარეებში ჩასახლება. ამ გზით მეტ-ნაკლებად ხერხდებოდა დარღვეული დემოგრაფიული სიტუაციის ერთგვარად აღდგენა. თუმცა, სამწუხაროდ, ისტორიული მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს ზოგიერთ გეოგრაფიულ ერთეულში ვეღარ მოხერხდა შეცვლილი დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენა–ქართული მოსახლეობის ამოწყვეტილი ფენის მეორე, "ცოცხალი" ფენით შეცვლა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის შიდა მიგრაციულ პროცესებს მაინც განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიაში. რომ არ შეევსო საქართველოს ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხის მოსახლეობას მეორე ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის შეთხელებული მოსახლეობა, ალბათ, უფრო სავალალო შედეგები გვექნებოდა, ვიდრე დღეს გვაქვს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მთიანმა მხარეებმა.

მოსახლეობის მიგრაციები კაცობრიობისათვის თანმხლები მოვლენაა. საერთოდ, დღევანდელი ჩვენი პლანეტის ეთნიკური სახის შექმნაში სწორედ მოსახლეობის ადგილგადანაცვლებამ შეასრულა განსაკუთრებითი როლი. ოდითგანვე ჰქონდა მიგრაციულ პროცესებს ადგილი საქართველოში. აქ მხედველობაში გვაქვს, როგორც ქვეყნის გარედან, ისე ქვეყნის შიგნით მიმდინარე მიგრაციული პროცესები. ქართველთა ეთნოგენეზისისა და შემდეგ ქართველი ერის ჩამოყალიბების საქმეში ამ სოციალური პროცესის როლი განუსაზღვრელია. თუმცა ჩვენ უმეტესი მიგრაციული ნაკადების აღდგენის საშუალება ნაკლებად გვაქვს. რაც უფრო ისტორიის სიღრმეში მივდივართ, საამისო საისტორიო წყაროები ნაკლებად გაგვაჩნია. ამ თვალსაზრისით კი მომავალში სათანადო სიტყვა უნდა თქვას არქეოლოგიურმა და ანთროპოლოგიურმა კვლევა-ძიებამ.

ცნობილია ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული ტენდენციები დასავლეთ საქართველოსაკენ, რომელიც დროდადრო ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის სხვადასხვა მონაკვეთშიც გრძელდებოდა. შემდგომ, მოგვიანებით ქვეყნის ისტორიაში უკვე პირუკუ მიგრაციულმა პროცესებმა ითამაშეს დიდი როლი. ასევე მუდმივად მოძრაობდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით. დასტურდება პირიქითი პროცესიც. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია წითელ ზოლად გასდევს საქართველოს ისტორიას, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში. ასეთი მიგრაციული მიიმართულებანი უფრო გამოკვეთილი იყო გვიანფეოდალურ პერიოდში. შიდა ქართლის ბარის მოსახლეობის კვლავწარმოების თვალსაზრისით, დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაჭისა და ზემო იმერეთის მოსახლეობის მიგრაციას XVII-XVIII-XIX საუკუნეებში. რაჭველები, სვანებსა და ლეჩხუმელებთან ერთად, ასევე ინტენსიურად გადასახლდებოდნენ იმერეთის ბარში. არაერთი გვარი სახლობს

იმერეთსა და გურიაში, რომლებსაც წარმოშობა სამცხეში აქვთ. გურიასა და აჭარაში კი ბევრი დაიძებნება შავშურ-კლარჯული წარმომავლობის გვარები. ჯავახეთის მოსახლეობა კი თურქთა ჯავახეთში აგრესიის პერიოდში ძირითადად შიდა ქართლში (ქვემო ქართლშიც) მიგრირდებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ XVI ს-ში, როცა კახეთის სამეფოში მეტნაკლებად მშვიდობიანი ცხოვრება ჩამოვარდა, გაპარტახებული ქართლის მოსახლეობა ინტენსიურ გადასახლდებოდა კახეთში. ეს პროცესი აქ XVIII საუკუნეშიაც ინტენსიური იყო.

ყველა ეს შიდა მიგრაციული მარშრუტი დაწვრილებით შესასწავლია. როდესაც ისინი მონოგრაფიულად ცალ-ცალკე იქნება შესწავლილი, ხელთ გვექნება საქართველოს მოსახლეობის ისტორიის ერთი ნათელი სურათი.

1984 წელს დაისტამბა ჩვენი მონოგრაფია "აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XXსს. (ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)". როგორც წიგნის სათაურიდან ჩანს, მასში შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს ორი მნიშვნელოვანი მთიანი რეგიონიდან – ფშავიდან და ხევსურეთიდან მოსახლეობის მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და მთისწინეთში. დადგენილია, რომ კახეთის მთიელები-ფშაველები და ხევსურები XVII-XVIII-XIX-XX საუკუნეებში ინტენსიურად გადასახლდებოდნენ, როგორც კახეთის მთისწინეთში (ერწო-თიანეთი), ისე ბარში. მათი მიგრაციული მარშრუტები მიმართული იყო აგრეთვე შიდა ქართლისკენაც. გამოვლენილია არაერთი გვარი, რომლებსაც მთური წარმომავლობა აქვთ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა კუთხეების (თუშეთი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, დვალეთი, ქსნის და ლიახვის ხეობათა მთიანი მონაკვეთები) მოსახლეობის მიგრაციის შესწავლაც საშური საქმეა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შიდა ქართლის მთიანეთის ორი მნიშვნელოვანი რეგიონის – მთიულეთისა და გუდამაყრის – მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია. წინამდებარე ნაშრომში სწორედ არაგვის ხეობის აღნიშნული პროვინციებიდან მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული.

ნაშრომში მთიულთა და გუდამაყრელთა მიგრაციის მიმართულებანი ძირითადად აღდგენილია გვარსახელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ფონზე. ასე რომ, პარალელურად არაერთი ქართული გვარის ისტორიაცაა მოცემული. დადგენილია მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაციული მარშრუტები ძირითადად სამი მიმართულებით: I. შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში. II. ერწო-თიანეთში და III. თრიალეთის ქედის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე (თუმცა, მთიულ-გუდამაყრელები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გადასახლდებოდნენ, მაგალითად, კახეთში). დარწმუნებული ვართ, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალა, რომელიც ფრაგმენტულია, მომავალში შეივსება და წარმოჩნდება კიდევ ერთი შიდა მიგრაციული მარშრუტი, მითუმეტეს, როცა საქართველოს ისტორიიდან ცნობილია შიდა ქართლის მთიანეთის ერთ-ერთი პროვინციიდან-წანარეთიდან (თერგის ხეობა) IX საუკუნისათვის მოსახლეობის კახეთში ერთდროული აყრა-ჩასახლება. ასევე ფაქტობრივად მოსახლეობისაგან დაიცალა შიდა ქართლის სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი-დვალეთი XV-XVI სს.-ში, როდესაც მათ ჩრდილოეთიდან უცხო ეთნიკური ელემენტი – ოსები აწვებოდნენ. დვალთა ქართველური ტომი საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში გაიფანტა. ჯგუფური გადასახლების ნიმუშად შეიძლება

ჩაითვალოს აგრეთვე ფშაველთა შირაქში ჩასახლება XX ს-ის დასაწყისში და აქვე მთიულ-გუდამაყრელთა დასახლკარება XX ს-ის 20-იან წლებში, ქსნელებისა კი XX ს-ის 30-იან წლებში. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე თუშთა ალვანის ველზე ჩამოსახლებაც.

წარმოვადგენთ რა მთიულთა და გუდამაყრელთა მიგრაციას საქართველოს მთისწინეთსა და ბარში, არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ თვით მთის ამ კუთხეების მოსახლეობაც არ იყო უცვლელი. აქაც შეინიშნება მოსახლეობის მიგრაციული პროცესები, როგორც მთის სხვა მეზობელი კუთხეებიდან, ისე ჩრდილოეთ კავკასიიდან, საქართველოს ბარიდან. როგორც ირკვევა, საქართველოს ამ კუთხეების მოსახლეობა თითქმის მუდმივად მონაცვლეობდა ერთმანეთში. ჩვენ ეს საკითხი სხვა ნაშრომებში გვაქვს შესწავლილი (თოფჩიშვილი, 1985; თოფჩიშვილი, 1987; თოფჩიშვილი, 1991) და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ცალკე მონოგრაფიის სახითა გვაქვს შესწავლილი შიდა ქართლის სხვა მთიანი მონაკვეთი – დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან ქართული მოსახლეობის აყრა-გადასახლება და აქ ოსთა ჩამოსახლების საკითხები და წინამდებარე ნაშრომში ამ სიკითხზე ყურადღება არაა გამახვილებული. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ თანდათან გროვდება მონაცემები, რომლებიც არაერთი ქართული გვარის მთის ამ ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონიდან წარმომავლობაზე მიუთითებს, რაც შეეხება ხევის მოსახლეობას, ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით, მათი მიგრაცია XVII-XX სს-ში საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ისეთი ინტენსიური არ იყო, როგორც მთიულთა და გუდამაყრელთა და შეძლებისდაგვარად წინამდებარე ნაშრომში მოხევეთა მიგრაციის ფაქტებიცაა ასახული.

თ ა ვ ი I.
მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაცია შიდა ქართლში

ფშავის, ხევსურეთისა და თუშეთისათვის თუ გადასასახლებელ ტერიტორიულ ერთეულებს, ძირითადად, ერწო-თიანეთი და კახეთი წარმოადგენდა (რ.თოფჩიშვილი, 1984), მთიულ-გუდამაყრელთათვის, ვითარცა შიდა ქართლის მთიელთათვის, მიგრაცია, ძირითადად, ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონებისაკენ იყო მიმართული. დასავლეთ საქართველოს მთიელები (სვანები) ლეჩხუმსა და რაჭაში სახლდებოდნენ (რ.თოფჩიშვილი, 1993). თუმცა ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ მთის ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის მიგრაცია მხოლოდ დასახელებული რეგიონებისაკენ ხდებოდა.

წინამდებარე თავში განხილულია შიდა ქართლის მთიანეთის ზოგიერთი რეგიონის (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) მოსახლეობის მიგრაციის საკითხები შიდა ქართლისავე მთისწინეთსა და ბარში. ამ თვალსაზრისით, ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების გამოყენებით, შესწავლილია აქ განსახლებული არაერთი გვარის ისტორია. ამდენად, მოცემულია შიდა ქართლის ზეგანსა და ბარში მცხოვრები ზოგიერთი გვარის ისტორიაც.

ქაისხევი, შიდა ქართლის მთისწინეთის ერთ-ერთი მიკრორეგიონი, ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ კუთხის მოსახლეობა გვიან შუა საუკუნეებში, ძირითადად, ხევსურეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებისაგან შედგებოდა, რის დამადასტურებელიც არის არა მარტო გადმოცემა ბევრი გვარის შესახებ, არამედ ზოგიერთი ტოპონიმიკური და საკულტო ძეგლის (სალოცავთა) მონაცემებიც მათი ხევსურეთიდან ქაისხევში გადმოტანა-მიგრაციის თაობაზე. ქაისხევში დამკვიდრებულან აგრეთვე მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ჭართლიდან და ხანდოდან მიგრირებულებიც. სანამ სათანადო ეთნოგრაფიულ მასალას მივმართავთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს მომენტი იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ქაისხეველთა ჯანღისა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში კლასობრივი ბრძოლის ფაქტადაა მიჩნეული (სი, 1958, გვ. 315; მეგრელაძე 1979, გვ. 151-155). კერძოდ, 1669 წლის "წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელში" ვკითხულობთ: "ქაისხეველებს ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეფისკოპოზის შესვლას წყინობდნენ, არც ახსარებისა იცოდნენ..."(ქსძ,1970, გვ. 533). XVI-XVIIსს. ქართლის მთისწინეთის ამ რეგიონში, ქაისხევში მთიდან მოსული მოსახლეობა ინარჩუნებდა წარმართულ კულტმსახურებას.

ქაისხევში მოსახლეობდნენ **გაგელიძეები**. მათი წინაპარი გუდამაყრიდან მოსულა, რომელსაც ძველ საცხოვრისში კაცი შემოკვდომია. ქაისხევიდან კი შემდეგ სოფელ ტონჩაში გადასულან. გადასვლის მიზეზი კი, მთხრობლის სიტყვით, შემდეგი ყოფილა: "ქაისხევში სხვადასხვა გვარები მოსახლეობდნენ. აქ გავრცელებული იყო თამაში ლახტაობა. ლახტაობის დროს ჩვენი გვარის კაცს ხელი ეკრა და მოწინააღმდეგის გუნდის მოთამაშე ბანიდან გადმოვარდნილიყო. ამის გამო, გაგელიძეების მთელი გვარი არა, მაგრამ უმეტესობა წავიდა ქაისხევიდან. ერთი ძმა იქვე დარჩენილა და ქაისხევში მათ სოფელს **ზემო გაგელებს** ეძახიან, მისი მომდევნო ძმა ტონჩაში დასახლდა და ჩვენ იმის შთამომავალნი ვართ. მესამე ძმა კახეთში გადასახლებულა, სოფ. აწყურში. ყველანი გაგელიძეებად ვიწერებით. რაც ქაისხევიდან ჩვენი წინაპრები ტონჩასა და აწყურში გადასახლდნენ, მას შემდეგ 6-7 თაობაა გასული. ერთიმეორესთან მისვლა-მოსვლა გვაქვს გაგელიძეებს. ჩვენი მთავარი სალოცავია მთაში, გუდამაყარში "პირიმზე ფუძის ანგელოზი". ქაისხევში გვაქვს სპეციალურად ჩვენი გვარის ხატი "უფურეთ წმინდა გიორგი". ტონჩაშიც გვყავ სალოცავები: "გორანეთ წმინდა გიორგი", "ძლევის წმინდა გიორგი" და "ღვთისმშობელი". ის, რომელმაც ლახტაობის დროს კაცი მოკლა, ქაისხევიდან ოსეთში წასულა და მოჯამაგირედ დამდგარა. იმის შთამომავლები ახლა გაგელიძედ აღარ იწერებიან" (მთხრობელი გაგელიძე ქ.ი., 78 წლის, 1978 წ.). 1781 წლის მოსახლეობის აღწერით, ქაისხევში მოსახლეობდა "გაგელიძე ოთარას შვილი გიორგი, ბერი"(ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 123).

მთხრობლის სიტყვით, "ქაისხევში უწინდელ დროში იმდენად ბევრ ხალხს უცხოვრია, რომ 60 ცალთვალა ივანე იყო თურმე აქა. მაშინ ხის ბადება არ ყოფილა. შემდეგში ქაისხევის ეს მოსახლეობა ზოგი აქედან გადასახლებულა, ზოგიც გაწყვეტილა და უღრანი ტყე გაჩენილა ქაისხევში. მაშინ ქაისხევში პირველად სამი გვარის ხალხი მოსულა და სოფელ თანდილაანთკარში დასახლებულან. ცილიკიან-მამნიანი ძირად ზარიძეები იყვნენ, ნამგალაურები-გიგაურები და გაგელები ანუ გაგელიძეები-აფციაურები". ამრიგად, გაგელიძეების ადრინდელი გვარია აფციაური. ისინი გუდამაყრიდან არიან

მიგრირებულნი. 1781 წლის აღწერით გაგელიძეებს გადასახლებულებს ვხვდებით არაგვის ხეობის ბარში, სოფელ იორში, ასეთია მაგალითად, "ხიზანი გაგელიძე სეხნიას შვილი ელისბარ" (ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ.126). 1873 წელს ქაისხევის სოფელ თანდილაანთკარში გაგელიძეების სამი ოჯახი მოსახლეობდა, ტონჩაში - ორი (სცსსა, ფ..254, ან 3, საქ. N264).

ტონჩის მეზობლად გრემისხევის სოფ. ციგრიანში (ციგრიანთკარში) **ციგრიაშვილები** მკვიდრობენ. როგორც ირკვევა, ისინიც ქაისხევიდან არიან გადმოსახლებული. 1781 წელს ქაისხევში მკვიდრობდა "ციგრიაული პატარკაცის შვილი პატარკაცი". მისი წინაპარიც გაგელიძეების მსგავსად გუდამაყრიდან იყო ჩამოსახლებული (შდრ. გუდამაყრული გვარი "იგრიაული").

ქაისხევის მკვიდრნი იყვნენ **ბაბულაშვილები**, რომლებიც დღეს, ძირითადად, დუშეთის მახლობლად, სოფ. შალიკიანთკარში ცხოვრობენ. ქაისხევშიც მათი სოფელი შალიკიანთკარის სახელს ატარებდა. ბაბულაშვილების წინაპარი ქაისხევში ჭართლიდან გადმოსახლებულა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჭართლელი გიგაური ზედსიძედ მოსულა, დაქორწინებულა ვინმე ბაბალეზე და მათ შვილებს საფუძველი დაუდიათ ბაბულაშვილების გვარისთვის. ქაისხევიდან დუშეთის მახლობლად გადასახლება 1936-1937 წლებში მოხდა. ასე გაიარა აღნიშნულმა გვარმა მთიდან მთისწინეთსა და მთისწინეთიდან ბარში გადასახლების გზა. ქაისხევში ბაბულაშვილების სალოცავი "წმინდა კვირიკე" იყო. 1781 წ. ქაისხევში მკვიდრობდნენ: "ბოგანო ბაბულაშვილი გოგია, პატარკაცი" (ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 124). 1873 წლის კამერალური აღწერის მასალებში ბაბულაშვილები (ხუთი ოჯახი) ქაისხევის სოფ. აზაურთკარის მცხოვრებლებად არიან დასახელებულნი.

ქაისხევში მკვიდრობდნენ **ჯაბანაშვილებიც**, რომელთა წინაპარიც აქ მთიულეთის სოფ. გვიდაქედან გადმოსახლებულა, ადრინდელი გვარი- ბუჩუკური შეუცვლია და ჯაბანაშვილზე დაწერილა. ბოლო დრომდე ეს გვარი ქაისხევიდან სალოცავად თავდაპირველ საცხოვრისში, მთიულეთის სოფ. გვიდაქეში დადიოდა. 1873 წ. ჯაბანაშვილები ქაისხევის სოფ. ბანცურითკარში მკვიდრობდნენ (სამი ოჯახი) (სცსსა, 254-3-256). სხვათაშორის, ტოპონიმი **ბანცურთკარი** მოსახლეობის მიგრაციას უნდა უკავშირდებოდეს. ხანდოს ხევის პირდაპირ, არაგვის ხეობის მარცხენა ნაპირზე არის სოფელი **ბანცურები**. ჩანს, ქაისხევის სოფ. ბანცურთკარში მოსახლე ბანცურის გვარის წარმომადგენლები სოფ. ბანცურებიდან არიან გადმოსახლებულნი, სადაც უფრო ადრე ხევსურეთიდან იყვნენ მოსული. მათი ადრინდელი გვარი (ისევე როგორც ქაისხეველი სინჯარაძეებისა და გრემისხეველი ხევსურიშვილებისა) ყოფილა ჭინჭარაული.

1873 წელს ბანცურთკარში მოსახლეობდნენ **მთიულიშვილები** (რვა ოჯახი)(სცსსა, 254-3-256). როგორც გვარი მიუთითებს, ისინი წარმომავლობით მთიულები არიან და მათი ადრინდელი გვარი იყო ნადიბაიძე. ნადიბაიძეები კი მთიულეთში ფშავიდან იყვნენ მოსული და გაბიდიურებისაგან წარმომავლობენ. ბანცურთა გვარისანი XVII საუკუნეში გადასახლებული ჩანან ქართლში, ლიახვის ხეობის სოფელ ტირძნისში. 1647 წლის საბუთით ნინია ბანცური არის ტირძნისის მოურავი, რომელსაც ყოველ ენკენისთვეს გიორგი არაგვის ერისთავისათვის სააღაპედ უნდა გადაეხადა ერთი ცხვარი, პური და ღვინო, ხუთი ჩარექი სანთელი და ეწირვებინა ჟამი. (პალ, I, გვ. 388). ტირძნისი იოანე ბაგრატიონს საარაგო სოფელთა შორის აქვს დასახელებული. 1782 წელს წყალობის წიგნით

ოთანაშვილი შიო და მისი შვილი თამაზა "ტრძნის მყოფი არაგვის საერისო აზნაურშვილი ყოფილა" (დოკ., 1959, გვ. 126). შესაძლებელია ეს ოთანაშვილები 1647 წლის დოკუმენტში ტირძნისში არაგვის საერისთავოდან გადასახლებული ბანცურების შთამომავალნი იყვნენ.

ქაისხევთან ახლოს მდებარეობს სოფელი **ველთაურები**, რომელშიც ველთაურთა გვარის ხალხი მკვიდრობდა. ეთნოგრაფიული მასალებით, ამ გვარის წინაპრები მთიულეთის სოფელ წიფორიდან მოსულან და მათი ადრინდელი გვარი ქავთარაძე ყოფილა. გვარი ველთაური მხოლოდ ქავთარაძეების აქ ჩამოსახლების შემდეგ წარმოქმნილა. ველთაურები სალოცავადაც წიფორში დადიოდნენ. ისინი შიდა ქართლის დაბლობში ადგილის სივიწროვის გამო გადმოსახლებულან. მთხრობელის სიტყვით, "ბევრი ხალხი ყოფილა და უთქვამთ, წავიდეთ, გადავსახლდეთო. სამი ძმანი ყოფილან. მოსულა ერთი ძმა და ნარიმანიძეებს გაუგდიათ, რომლებიც ველთაურებზე ადრე იყვნენ გადმოსახლებული მთიულეთიდან. შემდეგ მეორე ძმა წამოსულა. ისიც გაუგდიათ ნარიმანიძეებს. შემდეგ მესამე ძმა მოსულა და ის კი ვერ გაუგდიათ, ძალიან ყარაჩოხელი ბიჭი ყოფილა. სულ იმ ერთი კაცის შთამომავლები ვართ. კაცის სახელზე გადმოიტანეს გვარი ველთაური". საყურადღებოა, რომ 1781 წ. მთიულეთის სოფ. ქავთურთკარში მოსახლეობდნენ "ველთაურის შვილი ივანე, ოქუა, გამახარე" (ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 119). უფრო ადრინდელ, 1774 წ. აღწერაში ეს ოჯახი ორი გვარით "ქავთარაძით" და "ველთაურით" მოიხსენიება.

საყურადღებოა, რომ ველთაურები ხევსურეთშიც მოსახლეობდნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ბურდულების გვარში შედიოდნენ, მათ მამიშვილობას წარმოადგენდნენ, თუმცა, რ.ხარაძის მიხედვით, სოფ. ქმოსტში მოსახლე ველთაურები ცალკე გვარია (ხარაძე, 1949).

ველთაურების აქ მოსვლის დროს ნარიმანიძეები ორი კომლი ყოფილან. ისინი მთიულეთის სოფ. სონჩოდან იყვნენ გადმოსახლებული. 1873 წ. ქაისხევს (ანუ ვეძათხევს) თითო კომლი ველთაური და ნარიმანიძე მკვიდრობდა. ეთნოგრაფიული მასალებით, სოფ. ველთაურთკარში მთიულეთიდან გადმოსახლებული სხვა გვარიც მკვიდრობდა. ყველაზე ადრე ამ სოფელში თურმე **ბიბილაანი** (**ბიბილაშვილები**) ცხოვრობდნენ, რომლებიც ფასანაურის მახლობელი სოფ. ბიბილანიდან იყვნენ გადმოსახლებულნი (ისინი გუდამაყრის სოფ. კიტოხიდან ყოფილან გადმოსული. მათი დედაგვარია ბექაური. 1771 წ. აღწერაში ეს გვარი ბიბილაურის ფორმით გვხვდება – (იხ. თოფჩიშვილი, 1985, გვ.87). მთხრობელის სიტყვით, ბიბილაურებს (ბიბილაშვილებს) "აქ ვერ უგვარიათ და ისევ უკან გადასახლებულან".

ქაისხევში მოსახლეობდნენ **ქაფიაშვილები**, რომლებიც ამ ოციოდე წლის წინათ ქაისხევის სოფ. ვეძათხევიდან აიყარნენ და დუშეთის განაპირა უბნებში დასახლდნენ. ისინი ძირად გიგაურები არიან, გადმოსახლებული ჭართლიდან. 1873 წ. ქაისხევში ქაფიაშვილების ხუთი ოჯახი მოსახლეობდა (სცსსა, 254-3-258). ქაისხევიდან ქაფიაშვილები სოფ. წილკანშიც გადასახლებულან.

ხორხის ხეობა შიდა ქართლის ერთ-ერთი მიკრორეგიონია. ტოპონიმიკური მონაცემებით დადგენილია ამ ხეობის ადრინდელი მოსახლეობის კახეთში მიგრაცია (მუსხელიშვილი, თბ., 1966; თოფჩიშვილი, 1979, გვ. 52-65): ხორხი-ხორხელი, რაც, ჩვენი აზრით, XV-XVI სს. უნდა მომხდარიყო, მას შემდეგ რაც თემურლენგის გამანადგურებელ შემოსევებს გადარჩენილი მოსახლეობა კახეთს გადასახლდა. აღნიშნულის უტყუარი დასტურია აგრეთვე კახეთიდან ხორხის

ხეობაში მოსახლეობის სალოცავად სიარული. ხორხის ხეობა, უერთდება რა ჟინვანთან არაგვს, გეოგრაფიული თვალსაზრისით, თანაბრად ხელსაყრელი იყო როგორც ფშავ-ხევსურეთიდან, ისე მთიულეთ-გუდამაყრიდან მოსახლეობის მიგრაციისათვის. ჩვენ სხვა ნაშრომში ნაჩვენები გვაქვს აქ ფშავ-ხევსურთა მიგრაციული პროცესები. აქვე მიმდინარეობდა მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ხანდოდან, ჭართლიდან მოსახლეობის მიგრაცია. მივმართოთ ეთნოგრაფიულ მასალებს. ზემო ხორხში მოსახლეობენ **სუარიშვილები**. ისინი მთიულეთიდან, სოფ. გოგნაურთიდან არიან გადმოსახლებული. მთხრობელის სიტყვით, "პაპის პაპა გადმოსახლებულა. ადრე სუარიძე ვყოფილვართ წინ-წინ, უფრო თავიდან ჭინჭართულები ვყოფილვართ. ჩვენი გვარისები გოგნაურთიდან წამოსულან და დასახლებულან, აგრეთვე, თიანეთში, ხარტიშოში. ისინიც სუარიშვილებად იწერებიან. აღნიშნული გვარის მთიულეთიდან ხორხში გადმოსახლების შემდეგ როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საყურადღებოა ის, რომ გვარის ფორმანტი "ძე" შეიცვალა ფორმანტით "შვილი", რაც მსგავს შემთხვევაში ერთეული მოვლენა როდია. 1873 წელს ხორხში სუარიშვილების შვიდი ოჯახი მოსახლეობდა.

ზემო ხორხში მოსახლეობენ ხანდოდან გადმოსახლებული **ვეშაგურები**. მთხრობელის სიტყვით, გადმოსახლდა მისი პაპის მამა. ბოლო დრომდე ვეშაგურები სალოცავად დადიოდნენ ხანდოში მთავარანგელოზობას.

ხორხის ხეობის სოფ. სონდისველაში მოსახლეობენ **ბუბუნაურები**. 1873 წლის კამერალური აღწერით, აქ ორი კომლი ბუბუნაური მოსახლეობდა. ეთნოგრაფიული მასალებით, ბუბუნაურები გუდამაყრის სოფ. ბოსლიდან არიან გადმოსახლებული, გუდამაყარში კი ხევსურეთიდან იყვნენ მოსული, მესისხლეობის გამო. ბუბუნაურების სალოცავია გუდამაყრის საერთო სალოცავი "პირიმზე ფუძის ანგელოზი". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუბუნაურების გვარი დღეს გუდამაყარში აღარ მოსახლეობს. გუდამაყრელი ბუბუნაურები წიკლაურის გვარზე გადავიდნენ (თოფჩიშვილი, 1985). მიგრანტებმა კი შეინარჩუნეს თავდაპირველი გვარი.

ეთნოგრაფიული მასალებით, სანამ ხორხში აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა დაფუძნდებოდა, "ხორხი სულ ტყე ყოფილა" და მისი პირველმოსახლე მთიულეთიდან გადმოსახლებულა, გვარად **ჟიჟიაშვილი**. ჟიჟიაშვილები სოფ. წიფორიდან არიან, რომელთა თავდაპირველი გვარია ქავთარაძე. 1873 წ. ხორხში ხუთი ოჯახი ჟიჟიაშვილი იყო. უფრო ადრე, Fჟიჟიაშვილების ნაწილი დაბლობში გადასახლდა: საგურამოში, წეროვანსა და წილკანში. ხორხიდან საგურამოში ჟიჟიაშვილები 1864 წელს გადასახლებულან (სცსსა, 254-3-256). წეროვანში 1873 წელს ხუთი ოჯახი ჟიჟიაშვილი ცხოვრობდა (იქვე). ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჟიჟიაშვილების წინაპარს "დიდურის მთიდან გადმოუხედია, ეკლესია დაუნახია, ჩამოსულა და მოსწონებია, კაი ადგილიაო". 1781 წ. აღწერით მთიულეთის სოფელ წიფორში მოსახლეობდნენ: "ქავთარაძე ჟიჟიას შვილები - ბერი, ზაზა და თამაზა" (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 118).

საგულისხმოა, რომ სოფელი ხორხი ორ უბნად იყოფა: ერთში გუდამაყრელები მოსახლეობენ, მეორეში - მთიულები. ხორხის ხეობის სოფ. სონდისველაში **აფციაურები** გუდამაყრის სოფ. დუმაცხოდან არიან გადმოსახლებული, **ქავთარაძეები**-ხევშიდან (1873 წ. აქ 6 კომლი ქავთარაძე მოსახლეობდა), **წყარუაშვილები**-ლაკათხევიდან, **ბექაურები** (1873 წ. - რვა

კომლი) და **დიდებაშვილები** - სოფ. დიდებანთიდან. აქვე მოსახლეობდნენ მთიულეთის სოფ. სეთურებიდან გადმოსახლებული **სეთურები** (1873 წ. - ხუთი კომლი), რომელთა წინაპრებიც მთიულეთში სეთურიძის გვარს ატარებდნენ, და **ჩოხელები** (1873 წ. - ოთხი კომლი).

ხორხის ხეობის სოფ. კომშიანაში გუდამაყრის სოფ. დუმაცხოდან გადმოსახლებული **ხარხელაურები** მოსახლეობენ. მთხრობლის სიტყვით, "ადგილი მოსწონებიათ და იმიტომ ჩამოსახლებულან". საინტერესოა, რომ დღეს გუდამაყარში გვარი ხარხელაური საერთოდ აღარაა (წიკლაურად დაეწერნენ). ეს გვარი შემორჩა მხოლოდ გუდამაყრიდან მიგრირებულ მოსახლეობას, როგორც ხორხის ხეობაში, ისე ერწოსა და შირაქში. 1873 წელს ხორხში სამი კომლი ხარხელაური მკვიდრობდა. აქვე, 1865 წელს გადმოსახლებულან **ოგბაიძეები** მთიულეთიდან და **წიკლაურები** (ხუთი კომლი) გუდამაყრიდან.

დუშეთის მახლობლად მოსახლეობდნენ **ქარაულები**, ამავე სახელწოდების სოფელში. ეთნოგრაფიული მასალებით, ქარაულების ადრინდელი გვარია ბექაური. ბექაური კი, როგორც ცნობილია, გუდმაყრის ერთ-ერთი ძირითადი გვარია. 1781 წ. აღწერით ქარაულები სოფ. აფხავის ერთ-ერთი ძირითადი მოსახლენი იყვნენ (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 128). დღეს ეს სოფელი ზემო აშის სახელს ატარებს, ძირითად სალოცავს კი "აფხავ წმ. გიორგი" ჰქვიან.

ძირად ბექაურები არიან სოფელ ბაქაქურებში მცხოვრები **ბაქაქურებიც**. მათი წინაპარი, მესისხლეობის გამო, გუდამაყრის სოფელ გამსიდან აყრილა და გვარის დაფარვის მიზნით ახალი გვარი (ბაქაქური) მიუღია.

გრემისხევის მახლობელი სოფ. პეტრიანთუბნის მცხოვრები **პაპუკაშვილების** წინაპარი გუდამაყრიდან გადმოსახლებულა. პაპუკაშვილების ადრინდელი გვარია წიკლაური. მათი მიგრაცია XVIII ს. დასაწყისში უნდა მომხდარიყო. 1781 წ. ტონჩა-გრემისხევის აღწერაში მოხსენებული არიან: “პაპუკაშვილი ბერი, ივანე”, “პაპუკაშვილი გიორგი, პეტრე” (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 132-133). 1873 წ. გრემისხევში პაპუკაშვილების 10 ოჯახი მკვიდრობდა. აქვე, სოფ. ქედელობის მკვიდრი **თაბორიძეებიც** გუდამაყრიდან მოსულან, რომელთა ძირი-გვარია ბექაური. 1873 წ. აქ 6 ოჯახი თაბორიძე იყო. სოფ. ქედელობაში მოსახლეობდნენ, აგრეთვე, **ბექაურიშვილები** (3 ოჯახი) და **დიდებაშვილები** (1 ოჯახი).

არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში საკმაო რაოდენობით მოსახლეობენ სხვადასხვა გვარები, რომელთა ძირი-გვარია ბუჩუკური და გადმოსახლებული არიან მთიულეთის სოფ. გვიდაქედან.

სოფ. ტონჩის მკვიდრები არიან **ღარიბაშვილები**. მათი წინაპარი აქ მთიულეთიდან მოსულა. ადრინდელი გვარია ბუჩუკური. ასევე ბუჩუკურობას ამბობენ **ლაგაზაშვილები** და **შალიკაშვილები**, რომლებიც ასევე ტონჩაში მოსახლეობენ. მთხრობლის გადმოცემით, “არაგვის ერისთავების დროს, ჩვენს წინაპარს მთიულეთში, ქორწილის დროს, კაცი შემოკვდომია. სამი ძმანი ყოფილან და ტონჩაში წამოსულან. ღარიბას შვილები ღარიბაშვილად დაეწერნენ, ლაგაზას შვილები - ლაგაზაშვილებად, შალიკას შვილები - შალიკაშვილებად. საყურადღებოა, რომ არც ერთი ეს გვარი მთიულეთში თავიანთი წინაპრების სალოცავში არ დადიოდა, რაც ადვილი ასახსნელია - მესისხლეობის გამო მიგრირებულები და მათი შთამომავლები ერიდებოდნენ წინაპართა საცხოვრისში სალოცავად სიარულს. გვარის შეცვლაც მათ მიერ, ძირითადად, იმის გამო მოხდა, რომ მესისხლეობის გამო იყვნენ გადმოსახლებულნი. ასევე ძირად ბუჩუკურები

არიან ტონჩელი **როშნიაშვილები**. 1781 წლის აღწერაში ეს გვარები უკვე ტონჩა-გრემიისხევის მოსახლენი იყვნენ: როშნიაშვილები - 3 კომლი, ლაგაზაშვილები - 1 კომლი (ჯავახიშვილი, 1867, გვ. 132-133).

ძირად მთიული ბუჩუკურები ყოფილან გრემისხევის მახლობლად, სოფ. ბუჩუნტლიანთუბანში მოსახლე **ბუჩუნტლები**. 1873 წ. გრემისხევში 4 კომლი ბუჩუნტელი მკვიდრობდა. ბუჩუნტელების ნაწილი გვიან, XX ს-ის დასაწყისში ლამისყანაში და ოკამში გადასახლებულა. აქვე ახლოს, სოფ. ოლობში გვიდაქედან გადმოსული ბუჩუკურები ცხოვრობენ. Gგვიდაქედან გადმოსახლებული ძირად ბუჩუკურები არიან ტონჩელი **მათიაშვილები**. მათიაშვილები ტონჩაში (ოლობი) შედარებით გვიან არიან მოსულები. ეთნოგრაფიული მონაცემებით, გადმოსახლებულს მათია რქმევია და იმის ნაშენსაც მათიაშვილები დარქმევია. 1873 წლის აღწერით ისინი ორ გვარს ("მათიაშვილი-ბუჩუკური") ატარებდნენ.

მთიულეთიდან გადმოსახლებული ბუჩუკურების შთამომავლები არიან ტონჩელი **ჟანგირაშვილები**, ქაისხეველი **ინაშვილები**. ჟანგირაშვილების განაყრები არიან წილკნელი **ამნიაშვილები**. მთხრობელის სიტყვით, "წილკნელი ამნიაშვილების ნამდვილი გვარია ბუჩუკური. ჩვენი წინაპარი მთიულეთიდან მოსულა. ჩვენ და ჟანგირაშვილები ბიძაშვილები ვართ".

სოფ. ჩინთში მოსახლეობენ **ბუჩუკურები** (12 კომლი), რომლებიც აქ XIX ს. შუა ხანებში მოსულან გვიდაქედან და მათი მიგრაციის მიზეზი მთაში ადგილის სივიწროვე და მიწის სიმწირე ყოფილა. ბუჩუკურები მოსახლეობენ ქსნის ხეობის ბარშიც, სოფ. ქსოვრისში, თუმცა ისინი ხევიდან არიან გადმოსახლებულნი. "ბუჩუკური ზესიძედ მოსულა ბუგაშვილების ქალზე. ბუგაანი ახლა ამოწყვეტილი არიან".

სოფ. არანისში მკვიდრობენ **თეთრუაშვილები**, რომლებიც ასევე მთიულეთიდან მოსული ბუჩუკურყოფილები არიან. გადმოცემით, მთიულეთში ერთ-ერთი მამაკაცი, გვარად ბუჩუკური მოუკლავთ. გარდაცვლილის ცოლს შეშინებია შვილებსაც დამიხოცავენო და წამოსულა მთიულეთიდან ბარში, სოფ. არანისში და აზნაურ ზანდუკელს დასდგომია მოსამსახურედ. ქალს სახელად თეთრუა რქმევია. მის ვაჟებს კი დედის სახელის მიხედვით თეთრუასშვილებს ეძახდნენ, რაც მათ გვარად გადაიქცა. როცა წამოზრდილან ამ ქალის ვაჟებს არ მოსწონებიათ ბატონთან ცხოვრება; ერთი ძმა წილკანში წასულა და იქ დასახლებულა და თეთრაძედ დაწერილა, მეორე ძმა დიღომში დამკვიდრებულა და მისი შთამომავალნი ახლა თეთრაშვილის გვარს ატარებენ. დიღმელი თეთრაშვილები XVIIIს. თეთრაძის გვარს ატარებდნენ. როგორც ჯ.სონღულაშვილის გამოკვლევიდან ჩანს, დიღმელი თეთრაძე - თეთრაშვილებში ორი შტო გამოიყოფა. ერთი შტო ადგილობრივია, მეორე კი - არაგვის ხეობიდან მოსული. მათი არაგვის ხეობიდან მოსვლა დადასტურებულია როგორც ეთნოგრაფიული მასალებით, ისე XVIII ს-ის დოკუმენტით (სონღულაშვილი, 1969, გვ. 20). 1781 წლის აღწერაში დიღომს მოხსენებულია "მოყალნე საერისთაოდან მოყვანილი თეთრა და მისი ძმა ტეტია". უმცროსი ძმა კი დედასთან არანისში დარჩენილა და მისი შთამომავლები არიან არანისელი თეთრუაშვილები. 1781 წლის არანისის მოსახლეობის აღწერით აქ მოსახლეობდნენ "თეთრუაშვილი დარჩია" და "თეთრუაშვილი გახა" (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 124). 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში თეთრუაშვილების წინაპრები თეთრაულად არიან ჩაწერილი. მაგალითად, "ზანდუკელი გიორგის ყმა თეთრაული ბერის შვილი მამუკა" (ჯავახიშვილი,

1974, გვ. 119). 1873 წ. არანისში 20 კომლი თეთრუაშვილი მკვიდრობდა (სცსსა, 254, 256).

მთიულ-გუდამაყრელები სახლდებოდნენ, აგრეთვე, ჭართალსა და მის მიმდებარე შიდა ქართლის მთისწინა რაიონებშიც. მაგალითად, სოფ. ჯუღისში მოსახლეობენ გუდამაყრელი **აფციაურები** სოფ. დუმაცხოდან, **ბურდულები** - მთიულეთის სოფ. არახვეთიდან. ძველ ნასოფლარ ჯუღისში XIX ს-ის შუა ხანებში პირველად ბურდულები დასახლებულან, შემდეგ - ჩოხელები და აფციაურები. ეთნოგრაფიული მასალებით, ჯუღისს ხშირად ქისტები ეცემოდნენ და ბურდულებს თავის დასაცავად ჯერ ჩოხელები მოუყვანიათ და შემდეგ აფციაურები. ბურდულების ჯუღისში პირველმოსახლეობის დამადასტურებელი ისიც არის, რომ მათ აქ ყველაზე საუკეთესო ადგილები ეჭირათ. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ისიც საყურადღებოა, რომ "ხატები ჯუღისში მაშინ დაუდგენიათ, როცა დასახლდნენ: "წმინდა გიორგი", "კვირაცხოველი", "ნინოწმინდა", "მარიამწმინდა". 1873 წლის აღწერით ჯუღისში მოსახლეობდნენ: ბურდულები - შვიდი კომლი, აფციაურები - ცხრა კომლი, ჭიკაიძე და ჩოხელი - თითო კომლი.

სოფ. დგნალში (ანანურის საბჭო) მოსახლეობენ მთიულეთიდან გადმოსახლებული **ჭიკაიძეები**, **ქავთარაძეები**, **ბუჩუკურები**, **ბექაურები** და **ნარიმანიძეები**, აგრეთვე, ხანდოელი **ჯანიაშვილები**. 1873 წ. აღწერით დგნალში მოსახლეობდნენ: ქავთაროვი-11 კომლი, ბუჩუკური-3 კომლი, ბექაური-3 კომლი, ჭიკაიძე-10 კომლი, ზაქაიძე-2 კომლი, ნარიმანიძე - 4 კომლი, წიკლაური - 2 კომლი.

ციხისძირში მკვიდრობენ **ებრიალიძეები**, რომლებიც მთიულეთიდან არიან მიგრირებულნი. 80 წლის აბრამ ჭიკაიძის სიტყვით, "ეს გვარები პირველად 12 კომლი დასახლებულა მთიულეთიდან; ზოგი ციხისძირში დამდგარა, ზოგი დგნალში, სხვანი მენესოში. რაც დგნალში მოსახლეობა ცხოვრობს, მას შემდეგ სამი მამა არის გამოცვლილი". ჭიკაიძეს ბუქური არახვეთიდან წამოუსხამს, ნარიმანიძე-სონჩოდან, ბუჩუკური-ქვეშეთიდან, ქავთაროვი-წიფორიდან, ჯანიანი-ხანდოს სოფელ სოდევედან. ეს ხალხი მას შიშიანობის გამო წამოუყვანია - "ბევრნი ვიქნებით და მტერი ადვილად ვერას დაგვაკლებსო".

დოლასქედში მოსახლეობენ **ჩოხელი**, **აფციაური**, **წიკლაური**, ვაშლობში და საქერეში-**ქავთარაძეები**, მუგუდაში-**ჩოხელები**. 1873 წელს ვაშლობში მკვიდრონდნენ: **კედელაშვილი** (2 კომლი), **ქავთარაშვილი** (14 კომლი), **კობაიძე** (2 კომლი), **ნარიმანიძე** (1 კომლი), დოლასქედში: **ჩოხელი** (4 კომლი), **ქავთაროვი** (3 კომლი), **აფციაური** (3 კომლი).

აღსანიშნავია, რომ ჭართლის ამ სოფლებში გადმოსახლებული მთიულ-გუდამაყრელები შემდეგში უფრო დაბლობში, ბარშიც ჩასახლდნენ, მაგალითად, ბოდავში, საგურამოში, ბულაჩაურსა და მის მიდამოებში.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა რამდენიმე გვარი, რომლებიც მთიული ქავთარაძეებისაგან არიან გამოსული. შეიძლება დავასახელოთ სხვა გვარებიც. მაგალითად, **ტიტველაშვილები**, რომლებიც მოსახლეობენ სოფ. ოძისში (ქსნის ხეობის ბარი). 1774 წელს ტიტველაშვილები უკვე ოძისის მკვიდრნი იყვნენ (2 კომლი): "ტიტველაშვილი ღვთისავარ და ნინია", "ტიტველაშვილი თევდორე" (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 199). ეთნოგრაფიული მასალებით, ტიტველაშვილების წინაპრები წიფორიდან გადმოსახლებულან. "ბატონისაგან არიან მორეკილი მთიულეთიდან". უკანასკნელ დრომდე სალოცავად დადიოდნენ წიფორში. 1774

წლის აღწერით, ტიტველაშვილები (ორი კომლი) მოსახლეობდნენ ახალგორშიც (იქვე, გვ. 223). 1873 წლის აღწერით, ოძისში ტიტველაშვილების ოთხი კომლი მკვიდრობდა (სცსსა, 254-3-257).

ძირად მთიული ქავთარაძეები არიან წილკნელი და ახალდაბელი **შავლიაშვილები**. წილკანში წიფორიდან გადმოსახლებული ქავთარაძეებიც მკვიდრობენ.

ქსნის ხეობის სოფ. მოჭალიეთში და მშველიეთში მცხოვრები **შერმადინებიც** მთიულეთის სოფ. წიფორიდან არიან გადმოსახლებული და მათი ძირი-გვარიც ქავთარაძეა. მშველეთში შარმადინებთან ერთად მოსახლეობენ **რუსიტაშვილებიც**. მთხრობლის სიტყვით, "რუსიტაშვილებიც ქავთარაძეებია, კაცის სახელზე არიან გამოსული. ერთი ოჯახიდან არიან გამოსული ეს ორი ძმა". ქსნის ხეობის ზემო წელიდან შერმადინები განსახლებულან უფრო დაბლობში- წირქოლში, ოკამში, თეზში, ლამისყანაში... რაც შეეხება რუსიტაშვილებს, XVIII ს-ის აღწერის დავთრით ისინი შერმადინებიდან შტონაყარი გვარია (ქავთარაძე→შერმადინი→რუსი-ტაშვილი).

ძირად ქავთარაძეები არიან ბაზალეთში მოსახლე **დურგლიშვილები.** მთიულეთიდან მოსულ 5 ძმას ბაზალეთის ტბის პირზე უყიდია მამული. ერთ ღამეს ოთხი ძმა მომკვდარა. მხოლოდ ერთი ძმა გადარჩენილა და მისი შთამომავალნი არიან ბაზალეთელი დურგლიშვილები. დურგლიშვილები "ლომისას" ლოცულობენ. ისინი ხან ქერანაზე ლოცულობენ ლომისას ნიშთან და ხან ახალდაბაში (წილკნისა და ერედის მახლობლად).

ქსნის ხეობის სოფელ ცხავატში მოსახლეობდნენ მელთაურები (შდრ. გვარსახელი "ველთაური". ქართულში "ვ" და "მ" თანხმოვნები ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს მაგ. სოფ. მაგრანეთი საისტორიო საბუთებში ძირითადად "ვარგანეთის" ფორმით გვხვდება). ეთნოგრაფიული მასალა: "მელთაურები არიან ქავთარაძეები. ეგენი ცხავატში ყოფილან გადმოსახლებულები, მერე იქიდან ოკამში გადმოსახლებულან და ბოლო დროს ლარგვისში მოსახლებულან". 1873 წ. მელთაურების ხუთი ოჯახი ცხოვრობდა სოფ. ღარუეთში (აქვე მკვიდრობდნენ ბურდულიშვილებისა და ბურდულების ორ-ორი ოჯახი - სცსსა, 254-3-256). 1774 წ. მელთაურები ქსნის ხეობის სოფ. ცხავატის მკვიდრნი იყვნენ. ამ წლის აღწერაში სოფ. ცხავატში მოხსენებულია: "მელთაური კურდღელას შვილი გიორგი, პატარკაც, დათუნა მეჯინიბე" (ჯავახიშვილი, 1967. გვ. 194).

ისროლის ხევში (მეჯუდას ხეობის ზემო წელი) მოსახლე **გინტურების** წინაპარი მთიულეთის სოფ. მლეთიდან გადმოსახლებულა. მიგრაციის მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. ისროლის ხევში ორი ძმა, - შიო და ბერო, - მოსულა. მათი გვარი ბურდული ყოფილა. გინტურები თავიანთ სახლიკაცებად თვლიან სოფ. ვილდაში მოსახლე **გენგიურებს**. ეს უკანასკნელი გვარი უფრო ადრე ყოფილა აქ გადმოსახლებული. როდესაც შიო და ბერო ბურდულები გადმოსახლებულან, გენგიურები სოფ. ვილდის მცხოვრებნი ყოფილან. გენგიურებს უთხოვიათ მთიულეთიდან გადმოსული მოკეთეებისათვის, ვილდაში დარჩენილიყვნენ საცხოვრებლად. მთხრობლის გადმოცემით, "ჩვენები არ დაყაბულებულან და ისროლისხევში გადასულან". აქედან გინტურები გადასახლებულან ქეციხურაში, ქსნის ხეობის სოფელ აბუთკარში და სხვაგან. გინტურები თავიანთ ბიძაშვილებად თვლიან სოფ. ცხავატში (ქსნის ხეობა) მოსახლე ბურდულებს, რომლებიც ასევე მლეთიდან არიან გადმოსახლებული. 1781 წლის მოსახლეობის

აღწერით, ორივე ზემოთ დასახელებული გვარი (გენგიური, გინტური) ისროლისხევის მოსახლენი იყვნენ. კერძოდ, ისროლისხევს მოსახლეობდა "ფიცხელაურის ბოქაულთხუცის ყმა გენგიური გლახა და ბერი". "გინტური გიორგი და შიო" (ჯავახიშვილი. 1967. გვ. 205). ქსნის ხეობის სოფ. აბუთკარში მკვიდრობდა "გინტური თანდილა" (1774 წელს) (იქვე, 191). გენგიურები გვხვდებიან 1781 წ. სოფ. მეჯვრისხევის აღწერაში, სადაც ისინი, როგორც ჩანს, სოფ. ვილდიდან გადმოსახლებულან: "ვილდელი გენგიური ხარება" (იქვე, 225). საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. მეჯვრისხევის მოსახლეობა XVIII ს. ძირითადად შიდა ქართლის მთიანი სოფლებიდან გადმოსახლებულებისაგან შედგებოდა. აქ მიგრირებულნი იყვნენ ქსნის, ლეხურას და მეჯუდას ხეობებიდან. მეჯვრისხევში ლეხურას ხეობის სათავის სოფ. ქოლიოთიდან იყვნენ მოსული: **ხარხელები**, **სარაულები**, **ხომიზურები**, მეჯუდას ხეობიდან ისროლისხეველი **ციცაგები**, **დავითაშვილები** და **ტურაშვილები**; სოფ. ივრეთიდან - **ინაურები** და **მილაძეები**. ქსნის ხეობის შენაკადი ჭურთის ხევიდან იყვნენ მოსული **ბუჯიაშვილები** და **დორეულები**, შველიეთიდან - **შერმადინები**, გავაზიდან- **ბუთხუზები**, საძეგურიდან-**ჭოჭელები** და **თაგაურები**, ქარჩოხიდან- **ხოკრიშვილები**, ლეხურას ხეობის სოფელ წოლდიდან-**ჩიტაშვილები** და **მწიკვლაურები** და სხვ. (ჯავახიშვილი. 1967. გვ. 225.). 1873 წლის აღწერით ისროლისხევში გინტურების სამი ოჯახი მკვიდრობდა, სოფ. ვილდაში- გენგიურების ხუთი ოჯახი. აქვე მოსახლეობდნენ ძირად ჭურთელი ილურიძეების შთამომავალი **ელიაურები** (ოთხი ოჯახი) (სცსსა, 254-3-257).

ირკვევა, რომ ქოლოთიდან მეჯვრისხევში მიგრირებული ზოგიერთი გვარისათვის ქოლოთი თავდაპირველი საცხოვრისი არ იყო. მაგალითად, **სარაულები** წარმომავლობით გუდამაყრიდან არიან. სარაულების წინაპარი გუდამაყრიდან კარალეთში გადმოახლებულა, სადაც ავადმყოფობა შეყრია და მკითხავს უთქვამს, წმინდა ადგილიდან ხარ მოსული და სუფთა ადგილზე უნდა იცხოვროთ. "წამოსულა და მეჯვრისხევის უსანეთის ეკლესიის გვერდით გაუკეთებია სახლი. აქ კი ბატონის ქვრივს მარიამს არ გაუჩერებია და დაცლილ სოფელ ქოლოთში გადაუყვანია. ჩემს წინაპარს ქოლოთში ნასახლარისათვის დაუდგია ჭერი და დაუწყია აქ ცხოვრება". ჩვენ 91 წლის მთხრობელს ბავშვობა ქოლოთში ჰქონია გატარებული, სადაც მისი ბავშვობის დროს 22 კომლი სარაული მოსახლეობდა. ეთნოგრაფიული მასალებით, გუდამაყრიდან ქოლოთში მოსული სარაულების თავაპირველი გვარი აფციაური ყოფილა. გუდამაყრიდან სარაულთა წინაპარ აფციაურის აყრის მიზეზი ზვავების ჩამოწოლა ყოფილა. გუდამაყრიდან გადმოსახლებულ სარაულებს ახალ საცხოვრის ადგილას, ქოლოთში საგვარო სალოცავის- "საღვთოს"' ნიში გადმოუტანიათ. ეთნოგრაფიული მასალებით, სანამ სარაულების წინაპრები ქოლოთში გადმოსახლდებოდნენ, ამ სოფლის მკვიდრი ძველი მოსახლეობა ზვავს დაუტანია.

როგორც აღვნიშნეთ, ქოლოთში მცხოვრები ქართველები დროთა განმავლობაში ძირითადად მეჯვრისხევში არიან ჩამოსახლებული. ქოლოთელთა ბარში მიგრაცია თითქმის მთელი ორნახევარი საუკუნის მანძილზე (XVIII-XIXსს. და XX ს-ის პირველი ნახევარი) გრძელდებოდა. მთხრობლის სიტყვით, ქოლოთელები ქართლის ბარის სხვადასხვა სოფლებში "დაიღაღნენ" (წავიდ-წამოვიდნენ).

ქოლოთის ერთ-ერთი ძირითადი მოსახლენი იყვნენ **ხარხელები**, რომლებიც ბარის სხვადასხვა სოფლებში გადასახლდნენ (მაგ., მეჯვრისხევში). ხარხელებიც თავდაპირველ საცხოვრისად გუდამაყარს ასახელებენ. ჩვენი აზრით, ისინი მთიულეთის სოფელ ხარხეთიდან იყვნენ მოსული. საგულისხმოა, რომ ხარხელების ნაწილი დღეს **ხორხელად** იწერება. რუსული ენის გავლენით (გვარი "ხარხელი" რუსულად ჩაიწერა, როგორც "Хорхели", რაც შემდეგ ქართულშიც "ხორხელად" გადავიდა). ეთნოგრაფიული მასალების არ არსებობის პირობებში, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა გვარი "ხორხელი" ხორხის ხეობასთან დაგვეკავშირებინა.

ქოლოთში მოსახლე ექვსი გვარიდან (**ხარხელი**, **ჩხიტაური**, **მესტუმრიშვილი** იგივე **მესტუმრე**, **კეკელაშვილი**, **ხომიზური**, **სარაული**) თითქმის ყველა, ჩხიტაურების გარდა, მეჯვრისხევშია ჩასახლებული. ჩხიტაურები ძირითადად ზერტსა და გორში გადასახლებულან, მესტუმრეები უფრო ჯარიაშენში არიან მიგრირებული, კეკელაშვილების ნაწილი-კასპში. ლეხურასა და მეჯუდას ხეობების მთიანეთში ოდესღაც განსახლებული გვარებისა და მათი ბარში მიგრაციის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოთ დასახელებული მესტუმრეების (მესტუმრიშვილების) თავდაპირველი გვარი, 1814 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერით, გიგაური იყო.

ქსნის ხეობაში მთიულეთიდან გადმოსახლებული **ბურდულის** გვარისანიც მოსახლეობდნენ. ისინი თავდაპირველად ცხავატში დასახლებულან, საიდანაც შემდეგ სხვა სოფლებში (მაგ. ახმაჯში) გაფანტულან.

საერთოდ, ქსნის ხეობის მთისწინა და ბარის ზოლში ინტენსიურად შეიმჩნევა მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაცია, თუმცა აქ საქართველოს სხვა მთიანი კუთხეებიდანაც არიან დამკვიდრებული. ქართლის ამ ხეობის მთისწინა და ბარის ზოლი მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსი და ჭართლის მოსახლეობის გადასახლების ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ფშავისა და ხევსურეთისათვის გადასახლების ასეთი საფეხური - შუა რგოლი-ერწო-თიანეთი იყო.

ქსნის ხეობის დაბლობის სოფ. ყანჩავეთში მოსახლეობენ **გაგაძეები**. 1873 წელს აქ გაგაძეების ათი ოჯახი მოსახლეობდა (სცსსა, 254-3-256). ეთნოგრაფიული მასალებით, ისინი მთიულეთის სოფ. მლეთაში მოსახლე გაგაძეების ბიძაშვილები არიან, აქედან გადმოსახლებულან და ბოლო დრომდე სალოცავადაც დადიოდნენ მლეთაში.

ქსნის ხეობაში, სოფ. ქურთაში მოსახლეობენ **ჯაბაურები**. 1774 წლის აღწერით, ქურთაში სამი კომლი ჯაბაური ცხოვრობდა (ჯავახ. 1967. 196). ქურთის გარდა, ჯაბაურები მკვიდრობდნენ სოფ. ნახიდშიც (სამი ოჯახი). როგორც გ. ჯალაბაძე წერს, “ჯაბაურებიც, გადმოცემის მიხედვით, გუდამაყრიდან მოსულან და თავისი ხატის დუმაცხოს “სამღთო მაღალის” ნიშიც თან გადმოუტანიათ (ჯალაბაძე, 1975. გვ. 18-19). ჯაბაურების გუდამაყრის სოფ. დუმაცხოდან ქართლში გადასახლების შესახებ გადმოცემა გუდამაყარშიცაა დაცული. მათი ძირი-გვარია აფციაური. მაგრამ გუდამაყრელ აფციაურებში ორი შტო გამოიყოფა. ერთი ძირად ნამდვილი აფციაურები და მეორენი ძირად ჯალაბაურები, რომლებიც ხევსურეთიდან გადმოსახლებულან. ამანათად მოსულან დუმაცხოში და აფციაურის გვარი მიუღიათ. ქართლში გადასახლებულები (ჯაბაურები), სწორედ, ამ აფციაურ-ჯალაბაურების შთამომავლები არიან.

ქსნის ხეობის სოფ. ნახიდში მკვიდრობენ **ფსუტურები**. ისინი აქ მკვიდრობდნენ 1774 წელსაც. ფსუტურებიც ძირად აფციაურები არიან. მათი წინაპარი გუდამაყრიდან მესისხლეობის გამო გამოქცეულა და როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, გვარი შეუცვლია. ძირად აფციაურები და ასევე გუდამაყრიდან გადმოსახლებული არიან ქსნის ხეობაში მოსახლე **შუღლიაშვილები**. მათი წინაპარიც გუდამაყრიდან მესისხლეობის გამო მიგრირებულა. 1774 წლის ქსნის ხეობის აღწერის დავთარში სოფელ გეზერეთში მკვიდრობდნენ "შუღლიანთ გიორგის შვილი თავი გ. პეტრე, გელა და შიო", "შუღლიანთ ქიტიას შვილი თავი ბ, ბერი და ზურაბ" (ჯავახ. 1967. გვ. 195). 1781 წლის აღწერაში შუღლიაშვილები სოფელ საძეგურში არიან აღრიცხული: "შუღლიას შვილი, თავიბ, მგელა და იოსებ", "შუღლიას შვილი, თავი ბ, სეხნია და გაბიდაური", "შუღლიას შვილი, თავი ბ, ბერი და ზურაბა" (ჯავახ. 1967. გვ. 216).

ქსნის ხეობის სოფ. ალევში მოსახლეობენ **ღუნაშვილები**, რომლებიც ჭართლიდან არიან გადმოსახლებული. გეოგრაფიულადაც ჭართალი და ალეურას ხეობა ერთმანეთს ეკვრის. ღუნაშვილების ძირი-გვარი ლალიაშვილია. ჭართლიდან ამ გვარის გადმოსახლების მიზეზი ბატონის მკვლელობა ყოფილა. 1774 წელს ღუნაშვილები ალევში საკმაო რაოდენობით მოსახლეობდნენ: "ღუნანთ შემაზას შვილი კურდღელა და თადილა"; "ღუნანთ იმედას შვილი გიორგი; "ღუნანთ ნიკოლას შვილი ივანე და გიორგი" (ჯავახ. 1967. გვ. 195), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მათი მიგრაცია XVII ს. უნდა მომხდარიყო.

მთიულეთიდან მოსულან ქსნის ხეობის სოფ. მახიარეთში მოსახლე **ყველაშვილები**. მათი ადრინდელი გვარია ყველაიძე და გადმოსახლებულან მთიულეთის სოფელ ყველანიდან. მთიულეთში ჩაწერილი მასალებით, დაქვრივებულ ქალს მთიულეთიდან გერად წამოუყვანია ვაჟი სოფ. მახიარეთში, რომლის აქ გამრავლებული შთამომავლობა ყველაშვილად დაწერილა. ტრადიციულად მახიარეთიდან ყველაშვილები სალოცავად დადიან მთიულეთის სალოცავ "ცეცხლიჯვარში". ჩანს, ქსნის ხეობის სოფ. მახიარეთში ყველაშვილების გადმოსახლება XVIII ს-ის წინა პერიოდში მოხდა. 1774 წლის აღწერის თანახმად, სოფ. მახიარეთსა და თოხთაში სამ-სამი კომლი ყველაშვილი მკვიდრობდა. სამი კომლი ყველაშვილი მოსახლეობდა აბუთკარსა და ზოდეხშიც (ჯავახ. 1967. გვ. 191).

ქსნის ხეობაში მოსახლე **ბუთხუზები** (სოფ. გავაზი) მთიულეთიდან გადასახლებულან. მთიულეთში ჩაწერილი მასალით, "ქსანზეც არიან ბუთხუზები. იქ ნიში აქვთ ჩვენი ხატის". ქსნის ხეობაში ბუთხუზების გადასახლება XVI-XVII სს. უნდა მომხდარიყო. 1774 წელს ზემოთ დასახელებულ სოფელ გავაზში ბუთხუზების ცხრა ოჯახი მოსახლეობდა (ჯავახ. 1967. გვ. 185).

ქსნის ხეობაში მოსახლე **ნათაძეებიც** მთიულობას ამბობენ. მათი დედა-გვარი ნაზღაიძე ყოფილა. 1774 წელს ალევში შვიდი კომლი ნათაძე მკვიდრობდა (ჯავახ. 1967. გვ. 195). სხვათაშორის, თავის მხრივ ნათაძეებს სხვა გვარიც გამოყოფიათ. შიდა ქართლის სოფ. ქვემო ჭალაში (ლეხურას ხეობა) **საჩალელები** ცხოვრობენ, რომელთა ადრინდელი გვარი ნათაძე ყოფილა. ეთნოგრაფული მასალა: "საჩალელი თავისი წარმოშობით ნამდვილი გვარი არ არის. ჩვენ გვარად ნათაძე ვყოფილვართ. ჩვენი უფროსი საჩალედან გადმოსულა. ამის შემდეგ ჩვენი გვარი საჩალელი გახდა".

ქსნის ხეობელი **ღარიბაშვილები** მთიულეთიდან ყოფილან. მათი დედა-გვარია ნარიმანიძე. ასევე ნარიმანიძეები იყვნენ ცხრაზმის ხეობის სოფ.

ჩიტიანებში (უკანუბანი) მოსახლე **ჩიტიშვილებიც**, რომელთა წინაპარი სოფ. სონჩოდან გადმოსახლებულა. მთხრობლის სიტყვით, “მთიულეთში, სოფ. სონჩოში მყრალი ადგილი იყო, საქონელი უგორდებოდათ და ეს ადგილი მოეწონათ და დასახლდნენ”. ბოლო დრომდე ჩიტიშვილები სალოცავად წინაპართა საცხოვრისში დადიოდნენ. 1774 წ. ჩიტიანთკარში შვიდი კომლი ჩიტიშვილი მოსახლეობდა, სამ-სამი კომლი კი ცხრაზმასა და უკანუბანში (ჯავახ. 1967. გვ. 190). ასე რომ, ჩიტიშვილების გადმოსახლება XVII ს-ის წინა პერიოდში უნდა ვივარაუდოთ.

სოფ. გეზერეთში მოსახლე **მწითურების** გადმოცემით, “ჩვენი მამა-პაპა გადმოსულა გუდამაყრიდან. იქ წიკლაურები ვყოფილვართ. ლუთხუბიდან არიან ჩვენები”. გეზერეთიდან სამთავისში გადასახლებული მთხრობელის პაპის ძმა და მისი შთამომავალნი წითელაურის გვარს ატარებენ, ხოლო მათი კიდევ ერთი შტო ქ. გორში მწითურიძედ იწერება. ლუთხუბიდან გადმოსახლებულ წიკლაურთა ამ შტოს, როგორც ჩანს, თავისი ძველი გვარი-წითელაური აღუდგენია და მწითურად დაწერილან. როგორც ერთ-ერთ სხვა ნაშრომში გვქონდა გარკვეული, ლუთხუბელი წიკლაურების ერთი მამიშვილობა (სამიდან) ძირად ფშაველი წითელაურები არიან. ამავე დროს, ქსნისხეველი მწითურების შესახებ სხვა რიგის ეთნოგრაფიული მასალაც გვაქვს ჩაწერილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქაურ მწითურებში ორი დამოუკიდებელი შტო უნდა გამოიყოფოდეს. ქსნის ხეობის სოფ. გეზერეთიდან ისტორიულ ძაგნაკორაში, სოფ. მწითურებში გადმოსახლებული ალექსი ილიას ძე მწითურის (დაბად. 1924 წ.) თქმით, “მწითურების სულ თავდაპირველი გვარი არის ალხასტაიძე. ჩვენი წინაპარი ქისტეთიდან მოსულა. კაცი შემოკვდომიათ და ქისტეთიდან გამარიდებიან, ხევსურეთში დასახლებულან და ხატისათვის შეუწირავთ ხარი და საარაყე ქვაბი. ესენი სამი ძმანი ყოფილან. ხევსურეთშიც არ მოასვენეს მოსისხლე ქისტებმა და დევნა დაუწყეს. ერთ ძმას ერქვა დორე, მეორეს-სისო და მესამე ძმა მწითური ყოფილა და წამოვიდნენ მათგან გვარები: დორეული, სისაური და მწითური. ვისაც ეს გადმოცემა ახსოვს, ერთმანეთში ქალს არ გაათხოვებს". სხვა ეთნოგრაფიული მასალით, ძეგნაკორაში მწითურები სოფ. ალევიდან (ქსნის ხეობა) გადმოსახლებულან, რომელთა ძველი გვარი სისაური ყოფილა. 1774 წელს სოფ. გეზერეთში მოსახლე მწითურები (ორი კომლი) "წითირაულის" გვარით არიან გატარებული (ჯავახ. 1967, 195). ორი კომლი წითურაული მოხსენიებულია აგრეთვე სოფ. საძეგურში (იქვე, 194). 1781 წელს აღწერაში კი საძეგურში ხუთი კომლი წითურაულია აღრიცხული (იქვე, 216), ალევში-სამი კომლი "წითურიძე" (იქვე. გვ. 217). ქსნის ხეობაში კიდევ ერთი გვარია, რომელიც სისაურთა გვარიდანაა შტონაყარი. ესაა საძეგურელი **ჭალისურების** გვარი. ჭალისურების თავდაპირველი გვარი - სისაური დასტურდება როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით, ისე 1886 წლის საოჯახო სიებით. სისაური ყოფილა სოფ. წვერში მოსახლე **სამნიაშვილების** ადრინდელი გვარი. მესისხლეობის გამო გამოქცეულ სამ ძმას სამნიაშვილით შეუცვლია გვარი. პირველად ზემო ხურვალეთში დასახლებულან და ბოლოს წვერში დამკვიდრებულან.

ქსნის ხეობის სოფ საძეგურში მოსახლე **კობაურების** წინაპრებიც მთიულეთიდან, სოფელ ჩირიკიდან გადმოსახლებულან, სადაც მოსახლეობენ კობაიძეები. მათი მთიულეთიდან გადმოსახლების მიზეზი ბატონის მკვლელობა ყოფილა. ორ ძმა კობაიძეს ბატონი მოუკლავს. სულ ოთხი ძმანი ყოფილან. ოთხივე გადმოსულა და დასახლებულან საძეგურის ხეობაში. "ისინი

შამახიზნულები ყოფილან და კაცი რომ მოკლეს, იმიტომ შეიცვალეს გვარი კობაიძე კობაურად". კობაურების ნაწილი საძეგურიდან უფრო დაბლობში (მაგალითად, სოფელ ახმაჯში) გადასულა საცხოვრებლად. მთხრობელისავე სიტყვით, "სალოცავად წინ-წინ დადიოდნენ კობაურები ჩირიკში".

ძირად კობაიძეები არიან სოფ. კობიანთკარში (დუშეთის მახლობლად) მოსახლე **გორმაზაშვილები**.

საძეგურში მოსახლეობენ აგრეთვე მთიულეთიდან გადმოსახლებული **კაიშაურები**. კაიშაურებიც და კობაურებიც 1774წ. საძეგურის მცხოვრებლები იყვნენ (ჯავახ. 1967. 194, 216): "კაიშაური მუხისგულის შვილი ხადო"; "კობაური ბასილის შვილი მახარებელი და დემეტრე"; "კობაური სანანის შვილი კაცია"; 1781 წლის აღწერაში (დამატებით): “კაიშაური ზაქარია, შალვა, მგელია და კაიშაური".

შიდა ქართლის ბარში ხანდოდან გადმოსახლებული მოსახლეობაც გვხვდება. სოფელ იორში მოსახლე **ქაშიაშვილების** წინაპრები დავითურები ყოფილან. ეთნოგრაფიული მასალებით, ქაშიაშვილებს თავიანთი გვარის სალოცავში სამანი ჰქონდათ ჩაგდებული, რადგან მათ თავიანთი სალოცავისათვის კულუხის მიტანა შეეწყვიტათ. როგორც ირკვევა, გადასახლებამდე სოფ. იორსა და სოფ. არაგვისპირში დავითურების სალოცავს ვენახი ჰქონია. ამ მამულში შემდეგ ქაშიაშვილები (ძირად დავითურები) დასახლებულან. ხატის მამულში გადასახლებულებს გვარმა დაავალა ყოველწლიურად ხატობაში კულუხის მიტანა. აი, რას გადმოგვცემს მთხრობელი დ. დავითური (დაიბადა 1909 წელს); “აქედან რომ წასულან, ქაშიაშვილების წინაპრები ჯერ საკრამულში დასახლებულან. საკრამულში დავითურების გვარი უტარებიათ. შემდეგ სოფელ იორში გადასულან. მაშინ მხოლოდ ხანდოელ დავითურებს (უფრო სწორად, დავითურების ხატ-სალოცავს) ჰქონიათ ვენახი არაგვისპირზე. ეს ვენახი ჩაუბარებიათ ამ გადასახლებულისათვის და შაუწურიათ ღვინო და უთქომთ, რომ ეს მამულები ხატისა არისო და ხატის დღეობაში გადასახლებულ დავითურებს ღვინო უნდა მიეტანათ. თავდაპირველად ეზიდებოდნენ. მერე გაუუქმებიათ, რის ღვინო, რა ღვინო, ვენახი წაგვართვესო. რადგან გადასახლებულმა დავითურ-ქაშიაშვილებმა კულუხი აღარ მოიტანეს, ხანდოელ დავითურებს ბიძაშვილები დაუწყევლიათ, დაურისხებიათ და სამანი ჩაუსვიათ, აღარც ღვინო გვინდა იმათი, აღარც ის მამულები, აღარც ის ხალხიო. მეტრის სიგრძე ქვას ჩასვამდნენ და დაახლოებით ოცი სანტიმეტრი ჩანდა. მთელი სოფელი ესწრებოდა. ყველა თითო მუჭა მიწას მიაყრიდა. რამდენიმე წლის წინ მოვიდნენ და ითხოვეს სამანის ამოღება."

1781წ. ქაშიაშვილები უკვე იორში მოსახლეობდნენ: "ქაშიაშვილი საბრალო, პავლია, ივანე" (ჯავახიშვილი, 1967. გვ. 127). ამავე დროს, იორში მოსახლეობდნენ მთიულეთიდან გადმოსახლებული ნარიმანიძეები, ნადიბაიძეები და ბუჩუკურები (იქვე).

შიდა ქართლის რამდენიმე სოფელში მოსახლეობენ **გვრიტიშვილები**. გვრიტიშვილების თავდაპირველი საცხოვრისიც ხანდოა, სადაც ისინი დღესაც მკვიდრობენ. მათი ხანდოდან მოგრაცია პირველად სოფ. იკოთში მომხდარა. გვრიტიშვილები მოსახლეობენ ზემო ბულაჩაურშიც. აი, რას გადმოგვცემს მთხრობელი ხანდოელი გვრიტიშვილების აქ გადმოსახლების შესახებ: "გვრიტიშვილები ზემო ბულაჩაურში 9-10 კომლი ვართ. ჩვენა, ხანდოს ეძახიან, ფასანაურის მარჯვეა, იქიდანა ვართ ქართლზე წასული. როცა რუსი შემოვიდა, სამხედრო გზის მშენებლობაზე დიდი ბეგარა ყოფილა, ხარებით, ურმებით

მიდიოდნენ თურმე თვიდან თვემდე და ამის გამო აყრილან და ქართლზე წასულან. ქართლში გადასახლებულან სოფელ დრეში (ქვემო ქართლი). მერე დრედან წამოსულან აქ. დრედან ღარისწყალაში 1872 წელს ვართ ჩამოსულები. ჩვენის გვარის სალოცავი ხანდოშია, წვერის ანგელოზი. დრეში უთქვამთ, აქაო ხატი შორსა გვყავსო, იქ მარჯვეთ იქნებიო და წამოსულან ბულაჩაურში. დრეში მარტო ჩვენები კი არ ყოფილან, კიდევ ყოფილან ქავთარაძეები და წიკლაურები. ქავთარაძე ნიკა ყოფილა და იმას უთქვამს: მე ვიცი ერთი კაი ადგილიო. მერე ორი კომი ჩვენი გვარისა, ორი კომი ქავთარაძე და ორი კომი წიკლაური ერთბაშად გადმოსახლებულან. ქსანზე რომ არიან, სოფელ იკოთში, ესენიც ხანდოდან არიან წასულები ადგილის სივიწროვის გამო. ადგილი აღარ იყო, ცხოვრება ჭირდა. ესენიც ხანდოში მოდიან ხოლმე სალოცავად; არიან კიდევ გვრიტიშვილები მანგლისში, ზემო ქედში. ღარისწყალიდან ნელ-ნელა ჩამოსახლდა ხალხი ბულაჩაურში 1962 წელს. ღარისწყალაში იყვნენ: გვრიტიშვილი, ქავთარაძე, წიკლაური, ბიბილაშვილი. ეგრე გამიგია ჩვენი წინაპრებისაგან, რომ თუშეთიდან ვყოფილვართ გამოქცეულიო. ლამაზი კაცი ყოფილა, გვრიტი, გვრიტიო და დაერქვა გვრიტიშვილი. აქ იკოთიდან არიან გადმოსული გვრიტიშვილები (ხუთი კომლი). ერთი ოჯახი იყო, მაგრამ ეხლა მომრავლდნენ. მახსოვს მაგათი გადმოსახლება 1911-1912 წელს. ესენი ქუბრიანთკარს დასახლდნენ, ჩვენ კი მაშინ ღარისწყალაზე ვიყავით. აქ ისეთი ადგილი იყო, ხალხი ძალიან ეტანებოდა. ეხლა სულ მოსული ხალხია აქა. ღარისწყალაში სულ წყაროები იყო და ჩვენ მამა-პაპათ ღარისწყალა დაურქმევიათ. წინათ კი მონასტრის ღელეს (აქ უნდა ყოფილიყო საისტორიო საბუთებში (1392 წ., 1447 წ.) მოხსენიებული სოფელი ანეში და ანეშის მონასტერი) ეძახდნენ. ვის უცხოვრია, არაფერი გადმოცემა არ არის. ჩვენ რომ მანდ მოვედით, ველი არ ყოფილა, სულ ტყე ყოფილა და ჩვენებს გაუახოებიათ. ნასახლარებია ტყეში, ერთ ადგილას კი არ არის, გორებია."

სხვათაშორის, 1774 წელს ხანდოში მოსახლე გვრიტიშვილების წინაპრები გვრიტიძის გვარით არიან ჩაწერილი. ამ წელს გვრიტიშვილები იკოთში (რომლებიც ხანდოდან იყვნენ გადმოსახლებული) უკვე მკვიდრად ცხოვრობდნენ. ამრიგად, ქართლის მთიანეთში (ხანდოში) გვრიტიშვილების წინაპრები თუშეთიდან მოსულან. შემდეგ კი მთისწინეთში (იკოთი) გადასახლებულან. ქართლის მთისწინეთში თუშეთიდან მიგრირებული სხვა გვარებიც გვხვდება. მაგალითად, **ლაბაურები**. ლაბაურთა გვარიდან კი არიან გამოსული **ჩიხაშვილები**, რომლებიც ბაზალეთში, სოფ. ჩიხაანებში მკვიდრობდნენ. ორივე დასახელებული გვარისანი (ლაბაური, ჩიხაშვილი) საგურამოშიც მოსახლეობენ. 1781 წ. აღწერაში ლაბაურების წინაპრები ლაბაურიშვილად არიან ჩაწერილი. იმავე აღწერიდან ირკვევა, რომ უფრო ადრე გვარის თავდაპირველი ფორმა ყოფილა "ლაფაური" (ჯავახ. 1967, გვ. 138. V. 128).

მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ხანდოდან და ჭართლიდან გადმოსახლებულები შიდა ქართლის ბევრ სოფელში, განსაკუთრებით არაგვისა და ქსნის ხეობების მთისწინა და ბარის ზოლში, დიდი რაოდენობით მოსახლეობენ. მაგალითად, სოფ. ჩინთში მკვიდრობენ ბუჩუკურები, რომელთა მთიულეთიდან მიგრაცია XIX ს.-ის შუა ხანებში მომხდარა. მისაქციელში მცხოვრები **ლეკიშვილები** მთიულეთიდან წამოსული ბუჩუკურყოფილები არიან, ჩინთის მახლობელ სოფელ კენჭაკლდეში ცხოვრობენ ხადას ხეობის სოფელ ქოროღოდან მიგრირებული **წამალაიძეები**. მთხრობელის სიტყვით "საცხოვრებელი არ იყო იქ; მოიწონეს ადგილი, მთაში ზამთარი დიდი იყო,

მისადგომი ადგილიც არ იყო. ერთი ბიძა იქ დარჩენილა და ორნი წამოსულან: ალექსი და გრიგოლი. გადმოსახლდნენ XIX-XX სს.-ის მიჯნაზე". ამას გარდა, წამალაიძეები ცხოვრობენ აგრეთვე, სოფელ ახალციხეში (ოთხი კომლი). აქვე მოსახლეობენ აგრეთვე **ჭიკაიძეები**, **აფციაურები** და **მთიულაშვილები**.

სოფ. ტონჩაში მოსახლეობენ მთიულეთის ხადას ხეობიდან გადმოსახლებული **სისაურები**, რომლებიც ბოლო დრომდე სალოცავად "ლომისაში" დადიოდნენ. ტონჩაში 1873 წელს ერთი კომლი სისაური აღირიცხებოდა. ბიწმენდში მოსახლე **მთიულიშვილები** ძირად სისაურები არიან, ხადადან გადმოსახლებულნი.

ჟინვანელი **სისველაშვილები** მთიულეთიდან, თეთრი არაგვის სათავიდან ღუდადან გადმოსახლებულან. ჟინვანიდან კი მათი ნაწილი მუხრანში გადასულა (14-15 კომლი). მთხრობლის სიტყვით, "ჩვენი წინაპარი მამა-პაპის გვარი ყოფილა სისველები. ჩვენი გვარის სალოცავი არის ღუდის ყველაწმინდა". XVIII ს. სისველაშვილები უკვე ჟინვანის მკვიდრნი იყვნენ. 1781 წლის აღწერით აქ მოსახლეობდნენ: "სისველაშვილი გიორგი, ბერი", "სისველაშვილი რამაზა", ”სისვალაური ზაზა" (ჯავახ. 1967. გვ. 122). 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში ყველანი სისველაურის გვარით არიან ჩაწერილი. საისტორიო საბუთებით ისიც ირკვევა, რომ სისველაურების (სისველაშვილების) ადრინდელი გვარი ყოფილა ზარიძე.

სოფელ არღუნში მკვიდრობენ **კაიშაურები** (ოთხი კომლი). "მთიულეთიდან გადმოსახლებულა პაპა მიხეილი" (ეთნ. მასალა).

ბიწმენდელი **ბედუკაძეები** ქაისხევიდან არიან (ხუთი ოჯახი). გადმოსახლებულა პაპა ივანე. ბიწმენდში მოსახლეობენ **აფციაურები**, რომლებიც აქ მოსულან არა გუდამაყრიდან, არამედ ჭილანთკარიდან. ბიწმენდში **წიკლაურები** და **ჩოხელები** ჭართლის სოფელ საჩალისჭალიდან გადმოსახლდნენ XX ს-ის 60-იან წლებში.

სოფელ ახატანში მკვიდრობენ **მელიქიშვილები**, რომლებიც ხანდოდან გადმოსულან. 100 წლის მთხრობლის გიორგი ივანეს ძე მელიქიშვილის სიტყვით, "ისინი ბატონის ხიზნები იყვნენ". მელიქიშვილები ხანდოდან ახატანში გადმოსახლებულან 1863 წელს. გადმოსახლებულა მთხრობლის მამა ივანე. ახატანში მკვიდრობენ აგრეთვე **ვეშაგურები**, **ნადიბაიძეები** და **წიკლაურები**. 1873 წელს ახატანში მოსახლეობდნენ: **ვეშაგურები**, **ჩიტაურები**-ჭართლიდან, **ნაზღაიძე**, **გვიანიშვილი**, **წიკლაური**, **ქავთარაშვილი**, რომელიც 1866 წელს გადმოსახლებულა მთიულეთის სოფ. ქავთარეთიდან. ახატანში ცხოვრობენ **ღარიბაშვილებიც** (30 კომლი). ეთნოგრაფიული მასალებით, "ახატანში ღარიბაშვილები ვართ გადმოხვეწილი ქისტის ხამხაძის შთამომავალნი. 150 წელი იქნება, რაც ჩვენი წინაპარი ახატანში მოსულა. ტონჩასთან ახლოს უცხოვრიათ. აქვე გვაქვს სალოცავი "სამება ოქროსკარიანი". ცნობისათვის, ძირად ხამხაძეები მკვიდრობენ თიანეთშიც, მაგალითად, **რიგიშვილები**, **აბრამიშვილები**.

წინამძღვრიანთკარელი (ადრე არჯაკელი ერქვა) **ჭიკაშვილები**, ადრე ჭიკაიძეები იყვნენ, გადმოსახლებულნი არიან მთიულეთიდან. აქვე სახლობენ ქაისხევიდან მიგრირებული **ინაშვილები** და პავლეურელი **გულბათაშვილები**. 1873 წელს სოფ. არჯაკელში მკვიდრობდნენ: **ბექაური** (ორი კომლი); ჩოხელი (ერთი კომლი); **წიკლაური** (სამი კომლი); გულბათაშვილი (ორი კომლი); გუდამაყრის სოფელ დუმაცხოდან 1867 წელს გადმოსახლებული **ხარხელაური**;

ამავე წელს გუდამაყრის სოფ. დიდებაანთკარიდან გადმოსახლებულან **დიდებაშვილები**, რომელთა დედა-გვარიც ბექაური იყო; **ბუჩუკური**, რომელიც გვიდაქედან 1866 წელს გადმოსახლებულა; **ამირიძე**-მთიულეთის სოფელ ამირთკარიდან 1866 წელს, **ჟიჟიაშვილები** (ძირად ქეთარაძეები) - 1866 წელს ხორხიდან. მთხრობელ ჟიჟიაშვილის თქმით, მათ პაპას პირველად მიწური გაუკეთებია. გადმოუტანია საგვარო სალოცავის "წიფორის წმინდა გიორგის" ნიშიც. იმავე პერიოდში ხორხიდან ჟიჟიაშვილები წეროვანსა და წილკანშიც გადმოსახლებულან.

წინამძღვრიანთკარში მკვიდრობენ **რომელაშვილებიც**, რომლებიც ასევე შიდა ქართლის მთიანეთიდან, ოღონდ ლიახვის ხეობიდან არიან გადმოსახლებულნი. მთხრობელის სიტყვით, "პაპის პაპები ჯავიდან გადმოსახლებულან. მზითევში გამოტანებულები ვართ. ჩვენი გვარის სალოცავია "არბო წმ. გიორგი" (თედო დავითის ძე რომელაშვილი, 80 წლის, 1979 წ.).

სოფელ გალავანში მკვიდრობენ გუდამაყრელი **წიკლაურები** და **ჩოხელები**, **კობაიძეები** – მთიულეთიდან, **დორეულები** – ქსნის ხეობიდან. **ჩოხელები** აქ ჭილანთკარიდან მოსულან.

გალავანში მოსახლეობენ **ბორძიკულები**, რომლებიც ასევე ძირად მთიულები არიან, ეთნოგრაფიული მასალა: "ბორძიკული ერთი კომლი ვართ ამ რაიონში, მამაჩემი გაზრდილა ერთი ობლადა. წინამძღვრიანთკარში მოჯამაგირედ ყოფილა. წამოსულა მთიულეთიდან, კობათკარიდან. ბიძაშვილები იქა მყვანან, კობიათკარში". XVIII ს-ში ბორძიკულების გვარი დუშეთში მკვიდრობდა. 1781 წლის არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების აღწერაში აღნიშნული გვარი მოხსენიებულა წინდუშეთში: "აზნაურ კობიაშვილ ივანეს ყმა, ბორძიკული დავითა" (ჯავახ. 1967. გვ. 139). 1873 წ. სოფ. გალავანში (ძველი ბოკოწინი) მოსახლეობდა თითო კომლი **ობგაიძე** და **კობაიძე**. გურამიანთკარში მოსახლეობდა "ისაკ შალვას ძე პავლეური", რომელიც ჭართლის სოფელ ჯიქურაულთკარიდან გადმოსახლებულა 1866 წელს. ამავე წელს გუდამაყრის სოფ. წინამხარიდან მიგრირებულა "მახარე აფციაური".

საგურამოს სოფელ ჯიღაურასა და ზაქაროში **ძაგანაშვილები** მოსახლეობენ. ეთნოგრაფიული მასალებით, ძაგანაშვილები მთიულეთიდან, ხადას ხეობის სოფელ წკერედან არიან მიგრირებული. XVIII ს-ში ისინი მთიულეთში მკვიდრობდნენ (ძაგნიძე, ძაგანაური) და გვარი შეიცვალეს ზაქაიძედ, ბარში მიგრირებულებს კი ძველი გვარი შერჩათ. ძაგანაშვილები ბოლო დრომდე სალოცავად ხადაში დადიოდნენ. უფრო ადრე კი ძაგანაშვილთა წინაპარი ძაგანაურები ხადაში ხევიდან ყოფილან გადმოსახლებულნი. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ძირად მოხევეები არიან გალავანში მოსახლე **მოხევიშვილები**, რომელთა ადრინდელი გვარია ჩქარეული. ისინი გალავანში ყველაზე ადრე მოსულან. მოხევიშვილების გვარი ცხოვრობს სოფელ მისაქციელშიც. გადმოცებით მათი ადრინდელი გვარი სამქანაშვილი ყოფილა. სამქანაშვილები კი ხევის სოფელ ფანშეტის მკვიდრნი არიან. მოხევიშვილების ორი კომლია მოსხენიებული მისაქციელის 1880 წლის აღწერაში (სცსსა, 254-2-236). ისინი აქ 1843 წლის შემდეგ უნდა იყვნენ მოსული, რადგან 1843 წლის აღწერაში მოხევიშვილები მისაქციელის აღწერაში ფიქსირებული არ არიან. გალავანში მკვიდრობენ ასევე ხევიდან გადმოსახლებული **გოდერძიშვილებიც**. საძოვრის გულისათვის ორ კაცს თორმეტი კაცი მოუკლეს და ამის გამო გადმოსახლებულან სნოდან. გოდერძიშვილები 1907 წელს გადმოსახლებულან.

პაპას გიგუცას ყოლია აქაური ქალი ცოლად-კახობერაშვილი და ამიტომ მოვიდნენ აქ". გალავანში მოსახლე **ატაშვილებიც** ხევიდან არიან მიგრირებული, სოფ. ხურთისიდან. თავდაპირველი გვარია წიკლაური. "ატაშვილების წინაპარს ხევში კაცი შემოკვდომია. რომ არ ეპოვათ ატაშვილად დაწერილა". ხევიდან არიან გადმოსახლებული ბიწმენდში მოსახლე **სულიაურებიც**. XIXს-ის შუა ხანებში ხევის სოფელ არშიდან სამი ძმა აყრილა. ერთი ერწოს სოფელ ხევსურთსოფელში დასახლებულა, მეორე ბიწმენდში, მესამე-გარე კახეთში. მთხრობელის სიტყვით, «ჩვენი პაპის სოლომონის მამა-პავლე სიღარიბესა და საღატაკეს გამოექცა იქიდან».

ბარში, ბაზალეთის სოფელ ბაგაში არიან გადასახლებული გერგეტელი სუჯაშვილები, რომლებსაც გვარი შეუცვლიათ. ისინი ახლა **ცქიმანაურის** გვარს ატარებენ. ეთნოგრაფიული მასალა: "სუჯაშვილები ხევში თურმე მოჭარბებული ხალხი იყო. ადგილმამული არ ჰყოფნიდათ. ამიტომ ერთი მათგანი წამოსულა და სოფელ ბაგაში დასახლებულა, სადაც მას თავისი გვარი ცქიმანაურით შეუცვლია". 1781 წელს ბაზალეთში (საშაბუროს) ცქიმანაურის სამი ოჯახი მივიდრობდა (ჯავახ. 1967. გვ. 130-131), ე.ი. ცქიმანაურ-სუჯაშვილების ხევიდან ბარში მიგრაცია XVII-XVIII სს. მიჯნაზე უნდა იყოს საგულვებელი.

მოხევე ქოსელ-ფიცხელაურების განაყრები არიან ქაისხევის (არაგვის ხეობის მთისწინეთი) სოფ. ზოტიკნიანთკარში მოსახლე **ბულაურები**. ერთი მთხრობელის თქმით, მათი ადრინდელი გვარი ქოსელი იყო. მეორესი-ფიცხელაური. ეთნოგრაფიული მასალა: "მამაჩემი იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენაო მოხევეებიდან ვართ ჩამოსულიო. ადრე ფიცხელაურები ვყოფილვართ. კაცს ჰქვივნებია "ბულო" და აქედან წამოსულა ბულაური". შიდა ქართლში გადმოსახლებულ ბულაურთა ნაწილი მჭედლიშვილის გვარსაც ატარებს. 1886 წ. საოჯახო სიებით ზოტიკიანთკარში ბულაურების თერთმეტი ოჯახი მკვიდრობდა. ხევიდან გადმოსახლებულად თვლიან თავს გარე კახეთის სოფ. პატარძეულსა და ქსნის ხეობაში მოსახლე ფიცხელაურებიც. ქსნის ხეობელი ფიცხელაურები აზნაურები იყვნენ. გვარში დაცული გადმოცემით მეფეს მოხევე ფიცხელაურებისათვის ქსნის ხეობაში მამული და აზნაურობა უბოძებია.

ხევიდან აზნაურთა წრის შევსების სხვა მაგალითიც გვაქვს. ბაზალეთის სოფელ საშაბუროში **შაბურიშვილები** ცხოვრობდნენ. ისინი ხევიდან არიან მიგრირებული. ეთნოგრაფიული მასალა: "სოფ. ბაგაში მეტწილად შაბურიშვილებია. ჩვენ მოხევეები ვართ. ეგრე იტყვიან ხოლმე ჩვენი მამა-პაპა. ყოფილა ერთი მაგარი კაცი. აქ ბოდორნასთან სადმე მომხდარა ბრძოლა. მაგრა უომია იმ კაცს. შადური ყოფილა. მეფეს მამულები მიუცია ბაზალეთში. აქ დასახლებულა და შაბურიშვილის გვარი მიუღია. ბაგაში შაბურიშვილები ოც კომლამდე ვიქნებით. ჩვენი გვარის კაცი სხვაგან არსად მინახია. ძირითადად საშაბუროს ფარგლებში ვართ. ნაგლიანი, ბაგა და საშაბურო სეართოდ საშაბურო იყო წინათ". (აკაკი სოლომონის ძე შაბურიშვილი, 47 წლის, 1977 წ.). აზნაური შაბურიშვილები გიორგიევსკის ტრაქტატის დანართშიც არიან მოსხსენიებულნი (ქსძ. 1965, გვ. 485): ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი, რომელშიც აზნაურ შაბურიშვილების გვარი საშაბუროს არის მოხსენიებული, 1669 წლით თარიღდება (ქსძ. 1970. გვ. 551, 559). ამრიგად შაბურიშვილები ხევიდან ბარში საკმაოდ დიდი ხნის გადმოსახლებულები ჩანან. დოკუმენტების მიხედვით შაბურიშვილებს "დაბალი საერისთაო" ეჭირათ.

ეთნოგრაფიული მასალებით, ძირად ჩქარეულები არიან დუშეთში მოსახლე სეპერგულები. ჩქარეულების გვარიდან შტო-ნაყარი გვარის-სეპერგულების ხევიდან მიგრაციის მიზეზი მესისხლეობაა. მესისხლეობის გამო ხევიდან გადმოსახლებულა აგრეთვე კავთისხეველი, ნიჩბისელი და ძეგველი **ხიზანიშვილების** წინაპარიც, რომელთა ადრინდელი გვარი ასევე ჩქარეული ყოფილა.

XIX ს-ში ბაზალეთის სოფ. ჩრდილელიანთკარში გადასახლებულან მოხევე **გუჯარაიძეები, ხულელიძეები** და **ჩაბაკაურები**. როგორც ირკვევა, აქ მოხევეთა ამ გვარების გადმოსახლება აზნაურ ჩრდილელების მეშვეობით ხდებოდა. მათ მთაში მკვიდრი ყმები ბარში გადმოუყვანიათ.

ჭოპორტში ცხოვრობენ მთიულეთიდან მიგრირებული **ნარიმანიძეები**, **ირიაულები**, **ნაზღაიძეები**, **ბუთხუზები**, **ქავთარაძეები**, ხანდოელი **ვეშაგურები** და ჭართლელი **შალვაშვილები**.

მცხეთის რაიონის სოფ. ზეიდლიანთკარში მოსახლე **ქუმსიშვილები** მთიულეთიდან არიან გადმოსახლებული, სოფ. კაიშაურებიდან. "ისინი თავიანთ რძალსა და ქალს ლომისაში გარევენ ხოლმე".

სოფ. ბაგაში (ბაზალეთი) მკვიდრობენ ხანდოელი **დავითურები** (ორი ოჯახი) და მისაქციელიდან გადმოსული **ჩოხელები**. 1873 წლის აღწერით, აქვე მოსახლეობდნენ ხანდოელი **ლაზვიაშვილები** (5კომლი), **გვრიტიშვილები** (2 კომლი) და გუდამაყრელი **წიკლაურები** (ერთი კომლი).

თანიაშვილებისა და ბარათაშვილების სალოცავია ციხისძირის მთაზე არსებული სალოცავი "ტეხის ჯვარი". ეს ორი გვარი არაგვისპირში მკვიდრობს.

ლაფანაანთკარში **კობაიძე** "მოსულია მთიულეთის ცხავატიდან", **წიკლაური**-გუდამაყრიდან.

ერედაში **ბეგოიძეები** და **ზაქაიძეები** ხადადან მიგრირებულან. აქვე მოსახლე **თეზელაშვილები** კი ცხრაზმის სოფ. დაბაკნეთიდან არიან გადმოსახლებულნი. ამ სოფელში ქსნისა და არაგვის ხეობის მთიანეთიდან მოსული სხვა გვარებიც მკვიდრობენ: **გულაშვილები, პავლიაშვილები**, **ნავროზაშვილები**, **ირიაულები**, **მიდელაშვილები**. 1873 წლის აღწერით ერედაში მოსახლეობდნენ **ბუჩაშვილები** (იგივე გიგაურები). ბუჩაშვილები მოსახლეობენ აგრეთვე დუშეთსა და კობიანთკარში. ჭართალში დღეს არის სოფ. ბუჩანთკარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ოდესღაც ბუჩაშვილებს უნდა ეცხოვრათ. ეთნოგრაფიული მასალებით, ჭართლის სოფელ ბუჩანთკარს ადრე კოლოტა რქმევია. მართლაც, 1774 წ. აღწერაში ჭართალში დასახელებულია სოფ. კოლოტა (თაყაიშვილი, 1907, გვ. 481). მაგრამ ბუჩაშვილები დღეს აღარ მოსახლეობენ ჭართლის ამ სოფელში. მათი აქ ადრე მოსახლეობის მიმანიშნებელი მხოლოდ სოფლის (ბუჩანთკარი) სახელიღაა. ეთნოგრაფიული მასალა: "ბუჩაშვილები გადმოსულები ვართ ჭართლიდან. ამ სოფელს დღესაც ბუჩანთკარი ჰქვია. იქ ეხლა ჩვენი გვარისები აღარ არიან. არაგვის ერისთავმა გაათავისუფლა თამაზ ბუჩაშვილი აზნაურ კობიაშვილების ყმობისაგან და მისცა მიწა მლაშესა და დუშეთში. გაანთავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან და მხოლოდ ლაშქრობა და ნადირობა დაუტოვა. ამჟამად ვცხოვრობთ კობიანთკარსა და დუშეთში. ჩვენი გვარის ხალხი ცხოვრობს აგრეთვე გარე კახეთის სოფელ გიორგიწმინდაში. ჩვენი სალოცავი ხატია "მთავარანგელოზ წმინდა გიორგი" ჭართალში. კურატებით ეხლაც ხშირად დავდივართ". 1781 წლის აღწერით, ბუჩაშვილები ბარში მოსახლეობდნენ საშაბუროსა (ბაზალეთი) და წინდუშეთში

(ჯავახ. 1907, 130,139). ჭართლიდან გადმოსახლებული ძირად ბუჩაშვილები არიან ქსნის ხეობის სოფ. ქურთაში და სოფ. წირქოლში მოსახლე **ხრიკულები**. 1774 წ. ხრიკულები ორივე ამ სოფელში მკვიდრობდნენ (ჯავახ. 1967, 197).

ახალდაბაში მოსახლეობენ: **ნადიბაიძე**, **პატაშური**, **დიდებაშვილი**, **ქავთარაძე**, **გვრიტიშვილი**. 1873წ. ახალდაბაში იყვნენ: პატაშური (6 კომლი), დიდებაშვილი (7 კომლი), ნადიბაიძე (6 კომლი), გვრიტიშვილი და ქავთარაძე (თითო კომლი).

მთიულ-გუდამაყრელები მოსახლეობენ სოფლებში: ქსოვრისი, ახმაჯი, ოძისი, ერედა, წილკანი, ნაოზა, მეჯვრისხევი, ვილდა, ქვემო ჭალა. ქვემო ჭალაში მთიულეთიდან, გუდამაყრიდან და ქსნის ხეობის მთიანი ნაწილიდან გადმოსახლებულ სხვადასხვა გვარებს გარდა (**აბულაძე**, **ბერიანიძე**, **ბიბილაშვილი**, **ილურიძე**, **კორინთელი**, **მაჭარაშვილი**, **ობგაძე**, **ოღაძე**, **პავლიაშვილი**, **როსტიაშვილი**, **სისაური**, **წიკლაური**, **გელხაური**) მოსახლეობს გვარი **ხანდოველი**.

აღაიანსა და ავჭალაში მოსახლე **შამანაურები** ძირად კაიშაურები არიან. მათი წინაპარი მთილეთიდან გადმოსახლებულა. შიდა ქართლის ბარის სოფლებში - კირბალსა და ბერშუეთში მოსახლეობენ **თაყაძები**, რომლებიც ეთნოგრაფიული მონაცემებით მთიულეთიდან გადმოსახლებულან (გამოქცეულან). მათი ადრინდელი გვარია ნაზღაიძე. გვარის სალოცავია ლომისა.

მიგრაციაქმნილია **ზანდუკელების** გვარი სოფელ არანისში, რომლებიც გუდამაყრის სოფელ ზანდუკიდან არიან გადმოსახლებული. აზნაურ ზანდუკელთა გვარი პირველად საისტორიო საბუთში 1669 წელსაა აღრიცხული (ქსძ, 1970. გვ. 552), რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ მათი გუდამაყრიდან ქართლში მიგრაცია XVIIს-ის წინარე პერიოდში მოხდა. 1774 წ. ალევშიც ცხოვრობდნენ ზანდუკელები, მაგრამ ისინი განსხვავებით არანისელებისაგან გლეხები იყვნენ. 1873წ. ალევში ზანდუკელის გვარსახელი აღარ გვხვდება. წერილობითი და ეთნოგრაფიული მონაცემებით დღეს აქ მოსახლე **თანდილაშვილები** არიან ზანდუკელთა შთამომავალნი.

1873 წ. ფრეზეთში ოთხი ოჯახი **ირიაული** მკვიდრობდა. ერედაში **ფოცხვერაშვილები** სოფ. პავლეურიდან მოსულან.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში (1920-იან წლებში) ჩამოსახლდნენ მთიულ-გუდამაყრელები წითელსოფელში: **ნათობიძე**, **კედელაშვილი**, **ამირიძე**. საკრამულაში მოსახლე ნათობიძეების განაყრები **ბეჟანიშვილის** გვარს ატარებენ.

ბაზალეთში მოსახლეობენ: **დიდებაშვილი**, **ბექაური**, **დორეული**, **ლალიაშვილი**. ლალიაშვილები ჭართლიდან არიან მიგრირებული: "ჩვენი გვარისები ეხლაც არიან ჭართალში. იქ მთა იყო. აქ მინდორი დიდი იყო, წყალი, ტყე. იქ ვიწრო, მთა-კლდიანი ადგილები იყო. საცხოვრებელი ადგილი არ იყო და წამოვიდნენ აქა. ლალიაშვილები დუშეთში რვა კომლი ვართ, ბაზალეთში - თვრამეტი."

ბაზალეთელი **დიდებაშვილები** გუდამაყრის სოფ. კიტოხიდან არიან მამაპაპით. "წინდაწინ ძირითადი გვარი ბექაური ყოფილა."

1873 წ. ბაზალეთში დიდებაშვილები ორი ოჯახი მკვიდრობდა, რვა ოჯახი - ლალიაშვილი, ზაქაიძე - ერთი, ფოლადაშვილი - ოთხი, ილურიძე - ოთხი, როსტიაშვილი და არგანაშვილი - თითო.

ქუბრიანთკარში მოსახლეობენ: **მიგრიაული**, **ნათაძე**, **აფციაური**, **გვრიტიშვილი**, **ნათობიშვილი**, **საქიძე**.

ზემო ბულაჩაურში მოსახლე **წიკლაურები** გუდამაყრელები არიან, მაგრამ ისინი, თავდაპირველად, შირაქში გადასახლებულან და შემდეგ იქიდან, "უწყლობისა და უტყეობის გამო", ზემო ბულაჩაურში გადმოსულან. **ჭიკაიძეები** და **ვეშაგურები** კი XX ს. 20_იან წლებში არიან ჩამოსული. ნადიბაიძეები მთიულეთიდან ჯერ მწითურებში (ძაგნაკორაშია) ჩამოსულან და 40 წლის წინ გადმოსულან ზემო ბულაჩაურში. ასევე ღარისწყალადან არიან ჩამოსულები **ჯუხარაშვილები**. 1873 წ. ბულაჩაურში მოსახლეობდნენ: **ნაზღაიძე** (1); **ზაქაიძე** (1); **ქუმსიშვილი** (გადმოსახლდა 1866 წელს კაიშაურებიდან); **ბუჩუკური** (გადმოსახლდა 1862-1863 წწ. სამი კომლი გვიდაქედან); **ქარჩაიძე** (წარმოშობით მთიულეთის სოფ. ლაკათხევიდან. გადმოსახლდნენ ერწოს სოფელ სიმონიანთხევიდან. მკვიდრობენ მჭადიჯვარშიც); **ნადიბაიძე** (გადმოსახლდა ერწოს სოფელ საყდრიონიდან 1865 წ.); **ჩობალაური** (გადმოსახლდა 1864 წ. გუდამაყრიდან); **წიკლაური** (გადმოსახლდა გუდამაყრის სოფ. ფახვიჯიდან 1866 წ.).

სოფელ მაღრანში (ისტორიული ძაგნაკორას ერთ-ერთი სოფელი) ცხოვრობენ გუდამაყრელი **აფციაურები** (3კ.), **ჩოხელები** (1კ.) და წიკლაურები (14კ.), აგრეთვე: მთიული **ქავთარაძეები** და ხანდოელი **ჯუხარაშვილები**. წიკლაურები აქ ქერიანთკარიდან არიან გადმოსული, სადაც ისინი XIX ს-ში ბუჩუკურებთან ერთად მოსახლეობდნენ.

სოფ. აბანოსხევში მოსახლეობენ: **აფციაური** (5 კომლი), **მწითური** (14 კომლი), **ბუთხუზი** (3 კომლი), **კედელაშვილი** (4 კომლი), **ბუჩუკური** (6 კომლი), **ქარჩაიძე** (6 კომლი), **ბექაური** (1 კომლი), **წიკლაური** (3 კომლი), **ჩიტიშვილი**, **სუარიშვილი**; ლაფანაანთკარში: **ქავთარაძე** (2), **ნადიბაიძე**, **ხუციანიძე** (2 კომლი ჭართლიდან), **კობაიძე**, **წიკლაური**, **აფციაური**; ქერიანთკარში: **ქარჩაიძე** (2 კომლი), **ბუჩუკური** (6 კომლი), **ნარიმანიძე** (2 კომლი), ნოჯაში-**კობაიძე** და **ბუჩუკური.**

ბაზალეთის სოფ. ბაგაში მოსახლეობს ერთი კომლი **ბაშარიძე**. ადრე აქ ისინი სოფ. ხიდაში მკვიდრობდნენ (ხუთი კომლი). გადმოსახლებული არიან ქსნის ხეობის ბარის სოფ. ოძისიდან. ადრინდელი გვარია ბაშარული. ბაშარულების თავდაპირველი საცხოვრისი კი არის მთის სოფელი დაბაკნეთი. მათი ძირი-გვარია წიკლაური. "საქმე გახლაფორთებიათ და გამოქცეულან. მღვდელი მოუკლავთ იქა." ბაგაშივე მოსახლეობენ: **ნადიბაიძე** (5 კომლი), **ჩოხელი** (7 კომლი), **დავითური** (5კომლი). ქსნის ხეობის ბარის სოფელ ლამისყანაში ცხოვრობენ **მასიკაშვილები**, რომლებიც ქსნისავე ხეობის მთიდან, სოფ. ბაშართიდან არიან მიგრირებული. ეთნოგრაფიული მასალებით, იქ თეზელაშვილები ყოფილან. მოურავი შემოკვდომია წინაპარს და გამოქცეულა. თეზელაშვილს არ შევირთავთ ცოლად არავითარ შემთხვევაში" (მასიკაშვილი ილია ვასილის ძე, დაბად. 1924 წელს, 1984 წელი).

დუშეთის რაიონის სოფ. ჭილურტში მოსახლეობენ მთიული **ნაზღაიძეები**. მთიულეთში ჩაწერილი მასალა: "მაგათ საკუთარი ნიშიც კი აქვთ დიდი ლომისის. როცა ვერ ახერხებენ მოსვლას, იქ ლოცულობენ. არც მამაჩემს არ ახსოვდა მაგათი გადასახლება. კიდევ არიან აღაიანში. ესენიც მაგათდროინდელი წასულებია". 1873წ. ჭილურტში მოსახლეობდნენ: **ნაზღაიძე** (5 ოჯახი), **ილურიძე** (2 ოჯახი), გუდამაყრელი (1 ოჯახი), **ჩოქური** (1 ოჯახი).

შიდა ქართლის ბარში დიდი რაოდენობით მოსახლეობენ ჭართლიდან გადმოსახლებულები. ზემოთ ასეთი რამდენიმე გვარი (ხუციანიძე, ლალიაშვილი,

ღუნაშვილი, ბუჩაშვილი) გვქონდა დასახელებული. ჭართალი, ძირითადად, დასახლებულია **გიგაურებით** (ხევსურეთიდან) და გიგაურყოფილი სხვადასხვა გვარებით: **ციხელაშვილი**, **შალვაშვილი**, **ხარებაშვილი**, **გუდაშვილი**, **ჩიტაური**, **გოგიშვილი**, **კოტორაშვილი**, **პაპიაშვილი**, **ჯიქური**, **ბულალაური** (გიგაურების ხევსურეთიდან ჭართალში გადმოსახლების შესახებ დაწვრილებით იხ. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. გვ. 14).

ზემოთ ჩამოთვლილი გვარები საკმაოდ არიან განსახლებული შიდა ქართლის ბარის სოფლებში. გიგაურები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ სოფელ იკოთში, ბერბუკში (1781 წ. აღწერაში შეყვანილია "ბერბუკელი გიგაური მეკომლე ხელთუბანს" - ივ. ჯავახ. 1967, გვ. 252). ისინი ჭართლიდან არიან გადმოსახლებულნი. ამასთანავე, შემდეგში იკოთელი გიგაურებისაგან სხვა გვარებიც გამოსულან: **თორელაშვილები**, **მაწიაშვილები**, **მამამთავრიშვილები**, **როსტევანიშვილები** (ზოგი როსტევანოვად იწერება), **გიგნიაშვილები**, **ჩიტაშვილები**. მთხრობელი გადმოგვცემს: "მამამთავრიშვილები სუფთა გიგაურები არიან. მაგათ პაპა მღვდელი იყო. 80 წელია რაც გადაიკეთეს გვარი. პაპის სახელზე გადავიდნენ ეგენი. მაწიაშვილის წინაპარი ძალზე გაწიებული, გამხდარი კაცი ყოფილა და ადგნენ და დაეწერნენ მაწიაშვილად. თორელაშვილები თორელის სახელის მიხედვით მოდიან. 1873 წელს იკოთში მაწიაშვილების 3 ოჯახი, თორელაშვილებისა და მამამთავრიშვილების თითო ოჯახი მკვიდრობდა. ამავე დროს იკოთში ერთი კომლი გიგნიაშვილი და ორი კომლი ჩიტაშვილი ცხოვრობდა (სცსსა, 254-3-258).

ჭართლელთა საეთო სალოცავს "დედაღვთიშობელს" იკოთში ვენახი ჰქონდა, საიდანაც ჭართალში ხატობას კულუხი მიჰქონდათ. ამ ვენახს თავად იკოთელი გიგაურები უვლიდნენ, რომლებსაც ვენახი ხატისათვის შეუწირავთ.

დუშეთის მახლობლად სოფ. არღუნში მოსახლეობენ **ჯიქურებ**ი (25 ოჯახი), რომელთა ძირი-გვარია გიგაური და გადმოსახლებული არიან ჭართლიდან. ასევე ძირად გიგაურები არიან არაგვისპირელი **ჯიქურაულები**, რომლებიც თავდაპირველად ჯიქურები ყოფილან. 1781 წ. არაგვისპირში მოსახლეობდა "მოყალნე ჯიქურაული ხიტელას შვილი ხიზანა და გოგია" (ჯავახ. 1967. გვ. 126). გიგაურყოფილები არიან არღუნელი **ჯანგირაშვილებ**ი, თუმცა მათი მცირე ნაწილი ძირად პავლეურელი პეტრიაშვილების შთამომავლები არიან. 1781 წელს არღუნში ოთხი კომლი ჯანგირაშვილი მოსახლეობდა (ჯავახ. 1967, გვ. 133).

არანისის ახლოს მდებარე სოფ. ქადაგიანებში **ქადაგიძეები** მოსახლეობენ. ეთნოგრაფიული მასალებით, ქადაგიძეები ჭართლიდან გადმოსახლებული ძირად გიგაურები არიან.

დუშეთის სახლობლად მდებარეობს სოფ. პირმისაანი, რომელშიც **პირმისაშვილები** მკვიდრობენ. "ეს პირმისაშვილები გვარად გიგაურებია, ჭართლიდან გადმოსახლებულები, ჭართლის გიგაურების სახლიკაცები. პირმისაანთ მკვიდრი სალოცავი ჭართლის ღვთისმშობელია". გადმოცემით, "სოფელ პირმისაანებში უწინდელ დროში ცხოვრობდა თურმე ორი ვაჟკაცი ბეჟანიშვილი, რომლებიც გველეშაპსა ჰგავდნენ. ისინი კახეთში წასულან და მათ ნასახლარზე პირმისაანი დასახლებულან". 1781 წლის აღწერის თანახმად, პირმისაშვილები ბაზალეთსა (“პირმისაშვილი ზაქარია") და ზენდუშეთში

("პირმისაშვილი შალვა და თანდილა", "პირმისაშვილი პაპუნა") მოსახლეობდნენ (ჯავახ. 1967. გვ. 131,133).

ზემო აშში მოსახლეობენ **ფრიდონაშვილები**, რომელთა წინაპრებიც აქ ეთვალისიდან გადმოსულან. ეთვალისში ახლაც მოსახლეობენ ფრიდონაშვილები. მთხრობლის სიტვით, "ფრიდონაანები გვარად გიგაურები არიან".

გიგაურები ყოფილან **ნანიანნი** (ნანიაშვილები), რომლებიც ზემო აშში საგურამოდან მოსულან: ორივე გვარი საგიგაუროს აძლევდა ჭართალში. ეთნოგრაფიული მასალა: "გინდა ლობიო მიგეცა, ფული თუ არ გვქონდა, მაგასაც გვიშვებდნენ. თითო კომლს ყველას უნდა მიეცა. გაზაფხულით, ამაღლებას, მაისში მოდიოდა. მნათეებს მივცემდით ხოლმე. დღეობის წინა დღეს ჩამოვივლიდით ჭართლიდან და ვინც გიგაური იყო ყველას შემოივლიდნენ. ვინც მისცემდა-მისცემდა, ვინც არა და არაფერი. ზემო აშში-ფრიდონანი და ნანიანი, ვეძათხევში-ქაფიანი, ქაისხევში-ნამგალაურები.." '"გრემისხევის თავზეც არის საგიგაურო ხატი და იქიდანაც მოდიოდნენ. საცა გიგაურები იყვნენ, საგიგაუროს აგროვებდნენ". მთხრობელთა სიტყვით, საგიგაუროს აგროვებდნენ მცხეთამდე ვინც გიგაურები იყვნენ მათგან. მსგავსი მოვლენა მთიდან სხვა გადმოსახლებულ გვარებში არსად დაგვიდასტურებია. ამ სოციალურ მოვლენაში უნდა დავინახოთ ის, რომ საგიგაუროს აკრეფით ჭართლიდან გადასახლებულ გიგაურებსა და გიგაურყოფილ სხვა გვარებს არ დაეკარგათ კავშირი და ერთობა თავდაპირველ საცხოვრისთან.

ძირად ჭართლელი გიგაურები არიან **ფერხულები**, ეთვალისელი **ჩანადირები**, **ღანიაშვილები** და **მელიწკაურები**, მისაქციელელი-**მახარაშვილები**, არღუნელი-**მერაბიშვილები**. 1781 წ. არღუნში ერთი კომლი მერაბაშვილი მოსახლეობდა. ჭართლიდან გადასახლებული გიგაურები მოსახლეობენ, აგრეთვე ქსნის ხეობის სოფელ საძეგურში. ძირად გიგაურები ყოფილან ახალგორელი **გათენაშვილები**. მთხრობლის სიტყვით, "ჩვენი სახლიკაცები არიან კავთისხევშიც, მისაქციელშიც. გიგაურებს სახლიკაცებს ვეძახით. საცა არ გინდა, ძალიან მეტი წილი ეგენია. ჭართლიდან არიან ძირითადად".

სოფელ მეჯვრისხევში მოსახლეობენ **დათვიაშვილები**, რომლებიც ასევე გიგაურები ყოფილან. ისინი აქ არაშენდიდან გადმოსახლებულან. გიგაურები ყოფილან, აგრეთვე, მექვაბიანთუბნელი **მაჭარაშვილებიც**. ეთნოგრაფიული მასალა: "დათვიაშვილი შერქმეულია. ჩემს მამამთილის ძმას ბატონმა დაარქვა დათვიაშვილი. ნამდვილი გვარია გიგაური. აქ რომ გიგაურებია, იმათთან ნათელმირონობა გვაქვს, რაკი გვარი შეგვიცვალა ბატონმა. კირბალელი დათვიაშვილები აქედან არიან წასულები. მამამთილის წინაპარი კარგი მონადირე ყოფილა. დაიჭირა დათვი და ბატონს კარზე დაუბა. მაშინ ბატონს უთქვამს: "ეს დათვიაშვილი იყოსო".

ძირად გიგაურები არიან არაგვისპირელი **თათიკიშვილები**. 1781 წელს თათიკიშვილები (მაშინ თათიკიძეები) სოფ. ყვავილის მკვიდრნი იყვნენ. ჭართლელი გიგაურებიდან შტონაყარი გვარია აგრეთვე ყარსიმაშვილები, რომლებიც 1781 წ. საშაბუროს მოსახლენი იყვნენ ("ყარსიმაშვილი ცოტა, ნასყიდა, ღთისია, რუსია"; "ყარსიმაშვილი კაცურა, გოგია" - ჯავახ. 1967. გვ. 131). ეთნოგრაფიული მასალა თათიკიშვილების შესახებ: "გიგაურები ვყოფილვართ თათიკიშვილები. ჭართლიდან ჩამოსულები ვართ ძველად. ლეკიანობა რომ ყოფილა, ხალხს მთაში გაუწევია, მერე დაბრუნებულა ისევ. პაპის პაპა წასულა

აქედან ჭართალში ლეკიანობის გამო" (თედო ისაკის ძე თათიკიშვილი, 82 წლის, 1977 წ.).

გიგაურობას ამბობენ ზემო ბულაჩაურში მოსახლე **კავთელიშვილები**: "კავთელიშვილები ზემო ბულაჩაურში 11 კომლია. ჩვენი გვარი, პირველად ვყოფილვართ გიგაურები. მთიული გიგაურები ვართ. ყოფილა ერთი გმირი, რომელსაც სახელი რქმევია კავთელი გიგაური. ლეკიანობის დროს კავთელის და მოუტაციათ ლეკებს და დის ძებნაში კავთელი დაკარგულა. მას შემდეგ კავთელის შვილები დაეწერნენ კავთელიშვილებად" (ვალერიან ილიას ძე კავთელიშვილი, 50 წლის, 1977წ.).

სოფელ ყვავილში ცხოვრობენ **საღირაშვილები**. ეთნოგრაფიული მონაცემებით "საღირაშვილები გადმოსახლებული ვართ ჭართლიდან. ძირეულად ჩვენ საღირაშვილები არა ვართ, ძირად ვართ გიგაურები". საღირაშვილების წინაპარი საღირ გიგაური ლეკებს გაუტაციათ. ოთხი-ხუთი წლის შემდეგ მას ტყვეობისათვის თავი დაუღწევია, საქართველოში დაბრუნებულა, ქართლის აღნიშნულ სოფელში დასახლებულა და მის შთამომავლებს საღირაშვილის გვარი მიუღიათ. ყვავილში დასახლებამდე საღირაშვილებს ეთვალისსა და ტონჩა-გრამისხევში უცხოვრიათ. 1781 წლის აღწერის დავთარში ისინი ამ სოფლებში არიან აღრიცხული. ეს გვარი საისტორიო საბუთებში უფრო ადრეც გვხვდება ქართლის სოფლებში (1454წ, 1537წ, 1610წ.), მაგრამ არც საისტორიო და არც ეთნოგრაფიული მასალები არ გვაძლევენ საშუალებას ხსენებული საღირაშვილები ერთმანეთს დავუკავშიროთ.

სოფელ ქსოვრისში დიდი რაოდენობით მოსახლეობენ **ლოხიშვილები**. ეთნოგრაფიული მასალა: "ლოხიშვილი კაცის სახელზეა. ნამდვილი ჩვენი გვარია გიგაური. ლოხიშვილები არიან კიდევ საგურამოში, მეჯვრისხევში, ძეგვში. ესენიც გიგაურებია და ჩვენი სახლიკაცებია".

სოფელ წილკნის ძველ მოსახლეებად ითვლებიან **ლაშაურები**. ეთნოგრაფიული მასალით, "ჩვენი ნამდვილი გვარი გიგაური ყოფილა. ერთხელ თურმე ერთი წილკნელი ბერი საკალმასოდ წასულა მთაში და იქიდან წამოუყვანია უპატრონო ბავშვი; წილკანში აღუზრდიათ და აქვე დარჩენილა გალავნის შიგნით. ცოლიც შეურთავს და იმ ობლიდან გამრავლებულა ლაშაურების გვარი".

ამრიგად, ჭართლიდან განსახლებული გიგაურები და გიგაურყოფილი დღეს სხვადასხვა გვარის მატარებელნი მრავლად მოსახლეობენ შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში. მათი მიგრაცია ჭართლიდან დაწყებულა თითქმის მაშინვე როგორც კი ხევსურეთის ორი სოფლიდან ისინი XVII ს-ის დასაწყისში აყრილან. საყურადღებოა, რომ ჭართალშიც და შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში განსახლებული გიგაურები და ძირად გიგაურები ლოცულობენ ფშაველთა საერთო სალოცავს "ლაშარის ჯვარს". ახალ საცხოვრისში მათ ბევრ ადგილზე ამ სალოცავის ნიშიც აქვთ გადმოტანილი. ხევსურეთში დარჩენილი გიგაურები კი, რომლებიც სოფ. ბლოში ცხოვრობენ, ლაშარის ჯვარს არ ეყმობოდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით ხევსურეთში გიგაურები ფშავიდან იყვნენ გადასახლებული. ჩანს, ჭართალში გადასახლებულმა გიგაურებმა არ დაივიწყეს მამა-პაპათა სალოცავი. ზემოთ ნათქვამი გვქონდა, რომ გიგაურთა საგვარეულო ხატობის დროს აგროვებდნენ ე.წ. სიგიგაუროს. ჭართლიდან მოყოლებული მცხეთამდე. ეს მოვლენა სოციალური თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია. საგვარო სალოცავის დღეობის დროს, საგიგაუროს შეგროვება ერთგვარად

ჰკრავდა გიგაურთა ძველ თემს, გიგაურთა დიდ გვარსა და ამ გვარიდან შტონაყარ რამდენიმე ათეულ გვარს სოციალურ ერთობას უნარჩუნებდა. ამავე კონტექტსშია განსახილველი შემდეგი ეთნოგრაფიული მასალაც: "გიგაურები და გიგაურებიდან გამოსული სხვადასხვა გვარები ერთმანეთს დახმარებას ვუწევდით; თუ საჭირო იყო, ფულით, თუ საჭირო იყო პურით მივეხმარებოდით. გიგაურებს თუ ვინმე რამეს დაუშავებდა, დამნაშავე საგვაროდ წარმოსდგებოდა. ბედნიერი დღე იყო, თუ უბედური დღე იყო- დაუძახებდით, თავისას არ ვკარგავდით, - ჩვენია, ჩვენი სახლიკაცია ესაო, იმაზე არ გაუშვებდით".

მთიულ-გუდამაყრელთა შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში მიგრაციას კარგად ადასტურებს XVIII და XIX სს. მოსახლეობის აღწერის მასალები. ბევრ სოფელში მოსახლეობდნენ მთიულ-გუდამაყრელები, რაც აშკარად ჩანს არა მარტო გვარსახელებით, არამედ იმითაც, რომ ბევრი პირველსაცხოვრისის მიხედვით იწერება: "ხადელი", "ცხაოტელი" (ხადა და ცხავატი მთიულეთის ნაწილებია, ტერიტორიული ერთეულებია), "მთიული", "გუდამაყრელი", "ხანდოელი", "ჭართლელი" (ხანდო და ჭართალი მთიულეთის სამხრეთით მდებარე დამოუკიდებელი ტერიტორიული თემები იყო).

XVIII ს. პირველი მეოთხედის აღწერით ძაგნაკორაში მოსახლეობდა "ბუჩუკური თანდილა" (ჯავახ. 1967. გვ. 52); "ბრაჭული ბერი აზადი. მისი განაყოფი პაპუნა" (გვ. 53) - ქაისხევიდან. საცხაოტლოში (არაგვის ხეობის მთისწინეთი) - "მიდელაშვილი გამახარე. ამისი განაყოფი ნასყიდა" (გვ. 85). საყურადღებოა თვით ტოპონიმი "საცხაოტლო" (შდრ. "ცხავატი"). 1781 წ. აღწერით ციხისძირში მკვიდრობდა "ბურდულის სახელო ბურდული ღარიბა" (გვ. 121), ანანურში: "ბოგანო ხადელი ქვიცური ჭრელა" (ქვიცურები იგივე სისაურები არიან); "ბოგანო ხადელი გოჭის ობლები გოგია და ნიკოლოზ"; "ნადიბაიძის სახელო ოგბაძე ლომი"; "მისი სახელო ჩოქური ივანე"; "ბერიას შვილი ბედოიძე გიორგი" (გვ.122). სოფ. აშსა და არაგვისპირში მოსახლეობდნენ პავლეურები, რა თქმა უნდა სოფელ პავლეურებიდან მიგრირებულნი: "პავლეური ანდრიას ობოლი" და "პოვლეური ძნელას შვილი დათუნა, ბერი, წესიერი, გიორგი" (გვ. 126, 128). პავლეურები მოსახლეობდნენ აგრეთვე საშაბუროში-"პავლეური ბოგანო ბერის შვილი ხიზანა" (გვ. 130). უნდილაანთკარში (ბაზალეთშია) აღირიცხებოდნენ "ბოგანო ცხაოტელი ფოცხვერის შვილი რუხია, მამუკა"; "ბოგანო მთიული ბექაური ხოსრო" (გვ. 125). 1781 წელს აშში ცხოვრობდნენ: "ბოგანო ძეველური ავთანდილის შვილი დათუნა, ივანე"; "ბოგანო ბრაჭული შერმაზანის შვილი ისე"; ბოგანო სეთურიძე ბაღათარას შვილი გლახა"; "ბოგანო ხანდოელი ნადირას შვილი ივანე"; "ბოგანო ხანდოელი ივანეს შვილი გიორგი"; "ბოგანო ხადელი ხოსროს შვილი ივანე" (გვ. 128). აფხავში (ეს დღევანდელი ზემო აშია) აღრიცხული იყვნენ "ბოგანო ხანდოელი ხუტა"; "ბოგანო ქსნისხეველი პირცეცხლის შვილი გივი"; ბოგანო ცხაოტელი ელისბარის შვილი თამაზა" (გვ. 129). ბოდორნაში ცხოვრობდა "ბატატიძე თათარას შვილი შიო და ელისბარ" (გვ. 129). ბატატიძეები მთიულეთიდან იყვნენ მიგრირებული, სადაც XVIII ს-ში იყო სოფელი "ბატატიანთკარი". ტოპონიმი ახლაცაა შემორჩენილი. სოფელ საშაბუროში (ბაზალეთშია) ბევრი იყო შიდა ქართლის მთიანეთიდან მიგრირებული: "ბოგანო ხანდოელი თათარას შვილი ბერი"; "ბოგანო ხანდოელი ლაზუას შვილი მამუკა". "ბოგანო ბრაჭული მღვდელი ლუკა"; "ამირიძე ბერი"; "პატაშური გოგია"; "ჭიკაძე გლახა, ივანე"; “ჭიკაძე აღდგომელი" (გვ. 130-131). ზენდუშეთში ცხოვრობდნენ: "ბოგანო ხანდოელი

კომლი ირემას შვილი ივანე"; "ბოგანო ხანდოელი ლაზარე"; "ბოგანო ხანდოელი ჯუხარას შვილი კიკოლა"; "ხიზანი ქსნისხეველი წიპტაური გიორგი" (გვ. 134). წიპტური ძირად წიკლაურია. ჭილურტის აღწერიდან შეიძლება დავასახელოთ "გიგაური ბეჟანის შვილი გოგია, ივანე, დათუნა"; "სისოური ბერიას შვილი პატარკაცი". დუშეთში აღრიცხულნი იყვნენ: "ბოგანო ხადელი ირიაული ხიზანა"; "სახასო ბოგანო სუნტიძე მამუკა"; "სახასო ბურდულის სახელო ბიბიაშვილი ხოსრო"; " "სახასო ბოგანო ოგბაიძე გაგა"; "სახასო ბოგანო ბურდულის სახელო ხუცის შვილი გივი"; "ხანდოელი ბოგანო ვაჟიკას შვილი კურდღელა". "ხიზანი ქსნისხეველი გამხიტასშვილი გოგია და ბერუა". ბევრი იყო მიგრირებული სასახლის დუშეთში: "ბოგანო ხანდოელი გოგიას ობოლი გახა; "ბოგანო ხანდოელი ირემას შვილი გიორგი"; "ბოგანო ხადელი სეთურიძე გივი, ნიკოლოზ, გიორგი მადანჩი"; "ბოგანო ქავთარაძე ცხაოტელი ივანე"; "ბოგანო ნადიბაიძის სახელო წიკლოური გიორგი"; "ბოგანო ნადიბაიძის სახელო ჩოქური ივანე და ბერი"; "ბოგანო ბურდულის სახელო თეთრაულის შვილი გამახარე"; "ბოგანო ხანდოელი ცოტიას შვილი ბერუა"; "ბოგანო ხანდოელი ნათობიძე დემეტრე"; "ბოგანო ხადელი ნაცვლის შვილი თამაზა"; "ბოგანო გუდამაყრელი ჩობალაური ქოჩა" (გვ. 135). წინდუშეთში ცხოვრობდნენ: "ბოგანო ნადიბაიძის სახელო გვიანიძე გამახარე"; "ბოგანო ამისივე სახელო მაჩურიძე შალვა" (გვ. 137); "ინაურის შვილი პატარკაცი"; "ბოგანო გუდამაყრელი ბექაური ლომნია"; "ბოგანო გუდამაყრელი ჩობალაური ვაჟიკა"; “ბოგანო გუდამაყრელი ბექაური თათარი"; "ბოგანო გუდამაყრელი ბექაური ჯაბანი"; "ბოგანო ხანდოელი დათოს შვილი ვაჟიკა" (გვ. 139).

ზემოთ ქსნის ხეობის მთიანეთიდან მიგრირებული ზოგიერთი გვარიც იყო დასახელებული. არაერთი მაგალითი გვქონდა მოყვანილი მთიულ-გუდამაყრელების ქსნის ხეობის როგორც მთაში, ისე მთისწინეთსა და ბარში მიგრაციისა. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ 1774 წლის ქსნის ხეობის აღწერიდან. შველიეთში აღირიცხებოდა "ბოგანო ხადელი არაგვის ერისთავის ყმა ნადიბაიძე გივი" (გვ. 185). გავაზში აღრიცხული იყო "ხიზანი ბუქური არაგვის მოურავის ყმა ხადელი დათუას შვილი პაპა" (გვ. 186). ყველდაბაში - "ამირიძე ღარიბას შვილი დათუნა", უკანუბანს- "ნარიმანიძე ნიკოლას შვილი სულხან და ბერი" (გვ. 190), მახიარეთს - "ლაზუანთ პარსალის შვილი ბერი" (გვ. 191), ლაზუაშვილი ხანდოელა. თოხთის აღწერიდან: "ბუქური ბერის შვილი გიორგი, მახარებელი, ბექაური და გიუნა"; "ხიზანი ბუქური არაგვის ერისთავის ყმა დათუნა" (გვ. 191); "ხიზანი გუდამაყრელი ბუქური შეუძლებელი დათუნა"; "ხიზანი ხანდოელი მარტია" (გვ. 212). ზოდეხში მკვიდრობდა "ხიზანი არაგვის ერისთავის ყმა გუდამაყრელი ხარხელაური ელო" (გვ. 199), დადიანეთში - "ხიზანი არაგვის ერისთავის ყმა ხადელი ივანე"; "ხიზანი არაგვის ერისთავის ყმა ხანდოელი ხიზანა" (გვ. 192), ცხაოტს - "ხიზანი არაგვის ერისთავის ყმა ხადელი ჩოქურის შვილი ვაჟიკა" (გვ. 194). ლამისყანის (ქსნის ხეობის ბარი) სხვადასხვა გვარებს შორის გვხვდება "წიკლაური ბერის შვილი დავითა" (გვ. 200). ქსნის ხეობის 1781 წლის აღწერიდან: საქორეთში - "ხიზანი არაგვის ხადელი ბერი" (207), შველეთში - "ხიზანი ხადელი სეთურთკარელი მეშველაიძე დათუნა და გლახა" (208), უკანუბანში - "ხადელი ბერი", "ხადელი სულხანა"; "ბოგანო ხადელი ღთისია"; "ბოგანო ხადელი დათუნა" (213), უფუეთში - "ხიზანი არაგვის ხადელი ნაზღაიძე" (215); მონასტერში - "ხიზანი არაგვის ხადელი ნასყიდა" (215); ცხაოტში - "ხიზანი არაგვის ხადელი იოსებ" (216).

ყვავილში მოსახლეობდნენ "ხიზანი ქსნისხეველი შერმადინი ოთარა"; "ხიზანი ქსნისხეველი შერმადინი გიორგი"; "ხიზანი ქსნისხეველი შერმადინი ღვთისავარ" (გვ. 127), ქაისხევში - "ხიზანი ქსნისხეველი ბუნტური ბალია"; "ხიზანი ქსნისხეველი ზანგურიშვილი გიორგი".

ქ. გორის XVIII ს. პირველი ათეული წლის აღწერის დავთარში მოხსენებულია "ბუჩუკური ბერიკა" (გვ. 259); "ბუჩუკური დათუნა" (გვ. 260); "არაგვის ერისთავის ყმა ტერმინასა ხუცესი" (გვ. 263).

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ მოსახლეობის აღწერის დავთარში მიგრირებული მთიელები უმეტეს შემთხვევაში "ბოგანოსი" და "ხიზნის" სოციალური კატეგორიებით არიან ჩაწერილი. საბას განმარტებით, "ბოგანო-უაგარაკო გლეხია", ე.ი. გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა აგარაკი, ე.ი. "ყანური ან სახნავი მიწა, მინდორი" (დ. ჩუბინაშვილი). ბოგანოს ასევე უაგარაკო გლეხად, ეულად, ტაბარუკად მიიჩნევს დ.ჩუბინაშვილი. "ტაბარუკი" გლეხი ახალ მოსულია. ერთი სიტყვით, ბოგანო არის ახლად მოსული გლეხი, რომელსაც სახნავი მიწა ჯერ არ გააჩნდა. ასე განმარტავდა ამ ტერმინს ნ.ბერძენიშვილი. თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში იმასაც ესმის ხაზი, რომ ბოგანოთა კატეგორია შემდეგ უნდა გაზრდილიყო მკვიდრ ყმათა გაღარიბების ხარჯზე (ჯამურია, 1955, გვ, 122-123). ჩენს მიერ მოყვანილი აღწერის დავთრებიდან ამონაწერები ამ დებულებას მხარს არ უჭერს. აღწერის დავთრებზე დაკვირვება უდავოდ გვიჩვენებს იმას, რომ როგორც ბოგანო, ისე ხიზანი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასახლებულია, მიგრანტია. არც ერთ მკვიდრ გლეხს "ბოგანო" არა აქვს მიწერილი. ადგილობრივი, მკვიდრი გლეხი ყოველთვის მიწაზე იჯდა, - ეს მიწისმფლობელის ინტერესებში შედიოდა. ადგილზე მკვიდრი გლეხის, ყმის გაბოგანოება წარმოუდგენელი იყო. "ხიზანი" საბას განმარტებით ლტოლვილია; დ. ჩუბინაშვილიც ასევე განმარტავს "ხიზანს" - "სხვაგნით მოსული ან ლტოლვილი დედა-წულითურთ მტერთა ან სენთა დამრიდებელი". დროთა განმავლობაში, ეს ბოგანო-ხიზნები, უმეტეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მკვიდრებად იქცეოდნენ; მათი მიწაზე დასმით თვით ფეოდალი იყო დაინტერესებული, მაგრამ ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითები სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებასაც იძლევა. აღმწერი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ბოგანოსა და ხიზანს, ირკვევა, რომ ყველა შემთხვევაში ბოგანო მიწერილი აქვთ იმ გლეხებს, რომლებიც ერთი ფეოდალური ორგანიზაციის ფარგლებში არიან მიგრირებული. კონკრეტულ შემთხვევაში არაგვის საერისთაოს მთიანი პროვინციებიდან (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) ბარის პროვინციებში, ანუ დაბალ საერისთაოში ჩამოსახლებულნი ბოგანოს სოციალური კატეგორიის მატარებელნი არიან. ასეთი მიმართულებით გადასახლებული არც ერთი ხიზნად არა ჩაწერილი. ხიზნად ჩაწერილი არიან ერთი ფეოდალური ერთეულიდან მეორე ფეოდალურ ერთეულში გადასახლებულნი. კონკრეტულად, არაგვის ხეობის მთიანი პროვინციებიდან (არაგვის საერისთაოდან) ქსნის ხეობაში (ქსნის საერითაოში) გადასახლებული გლეხი და ქსნის ხეობიდან არაგვის საერისთაოს დაბლობ ნაწილში გადასახლებული გლეხი ხიზანია. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც აღნიშნულია, რომ "ხიზანი გაქცეულია ერთი ბატონიდან მეორესთან, იმის მიწაზე ზის და ღალას უხდის" (ჯამბურია, 1955, გვ. 121). მაგრამ, ჩვენი მხრივ, დავსძენთ, რომ ხიზანი მხოლოდ ერთი მებატონისაგან მეორესთან გაქცეული გლეხი არ შეიძლება ყოფილიყო. ხიზნის, ისე როგორც ბოგანოს რიგებში შეიძლება მთის

უბატონო თემებიდან გადმოსახლებულებსაც შეევსოთ, მაგალითად: ხევსურეთიდან, ფშავიდან, თუშეთიდან. ძირითადად ხიზნები იყვნენ გადმოსახლების პირველ ეტაპზე მაჩაბლების მიწა-წყალზე დასახლებული ოსები. აქ მოსული ოსები, გადმოსახლებულნი ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან ფაქტიურად თავისუფალი მთიელი მეთემეები იყვნენ.

მაგრამ ბოგანოსთან დაკავშირებით ერთი კითხვა ისმის - ერთი ფეოდალური ორგანიზაციის ფარგლებში გადასახლებული რატომ იყო ბოგანო? მთის ხეობებიდან არაგვის ბარში ჩამოსახლებული ერთი ბატონის ყმა რატომ იღებდა ბოგანოს სტატუსს? ფეოდალი თავისივე ყმას რატომ მკვიდრად არ სვამდა მიწაზე? ჩვენი ვარაუდით, მიგრანტის მკვიდრად მოწყობას გარკვეული დრო სჭირდებოდა და, რაც მთავარია, მთის რეგიონებიდან გადმოსახლებულნი ფეოდალის ნებართვის გარეშე, თავისით უნდა ყოფილიყვნენ აყრილ-გადმოსახლებულნი.

თვალს თუ გადავავლებთ XIX ს-ის კამერალური აღწერის მასალებსა და საოჯახო სიებს, აშკარად გამოჩნდება ამ საუკუნეში შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობის მიგრაცია შიდა ქართლის ზეგანსა და ბარში. შეიძლება ითქვას, რომ არ იყო სოფელი, სადაც არ მოსახლეობდნენ, ან არ იყვნენ გადმოსახლებული მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ჭართლიდან, ხანდოდან, ქსნისხევიდან. შეიძლება დამატებით, შერჩევით, კიდევ რამდენიმე სოფელი და ზოგიერთი გვარი ჩამოვთვალოთ. რომლებშიც 1873 წელს შიდა ქართლის მთიელები (მთიულები, გუდამაყრელები, ხადნოელები, ჭართლელები) მკვიდრობდნენ: არჩოეთი (ლალიაშვილი, ამირიძე, კედელაშვილი, პატაშური); ბოდორნა (სეთური); ბოდავი (ობგაძე), გოროვანი (ჭიკაიძე), დამპალო (ნაზღაიძე); ძალისი (ბეგოიძე-მთიულიშვილი); კოტორაანთკარი (კობაიძე, ბექაური, ყველაშვილი-თოხთიდან 1866 წ.); კარბეული (ნადიბაიძე); მისაქციელი (პატაშური, ზაქაიძე, გომური); მლაშე (ნარიმანიძე, ოღაძე); მუხრანი (ხორხელი, ზაქაიძე); მჭადიჯვარი (ნადიბაიძე, ქარჩაიძე, არგანაშვილი); ნავდარაანთკარი (ჭართალელი, ჩანადირი, სისაური); ნატახტარი (წიკლაური, ჩოხელი). საკრამული (მნათობიძე, დავითური, ამირიძე, დარძული, სეთური, ნარიმანიძე, სვიანიძე, სისაური); წეროვანი (ჟიჟიაშვილი, სეთურიძე), წილკანი (ზაქაიძე, წიკლაური, აფციაური, ხანდოველი, ქავთარაძე, ბუჩუკური, პატაშური, ამნიაშვილი-ბუჩუკური გვიდაქედან, ძველური, ნაზღაიძე, ჭართალელი), ჭილურტი (ნაზღაიძე, ილურიძე, გუდამაყრელი, ჩოქური), შანკევარი ანუ არაშენდა (ვეშაგური, ქავთარაძე), აღაიანი (ქავთარაძე, ხადელი, არგანაშვილი, კაიშაური, ნაზღაიძე); ატენი (ბუთხუზი, შუღლიაშვილი, თოფჩიშვილი, შატაკიშვილი, თინიკაშვილი, მიდელაშვილი, შერმადინი. ესენი ყველანი ქსნის ხეობელი მთიელები არიან); ბერბუკი (ხადელი, წიკლაური, ილურიძე, გიგაური); პატარა გორიჯვარი (ვეშაგური); ქვემო სობისი (ხადელი, გიგაური, ილურიძე) და სხვ.

ამრიგად, ასეთია არასრული მასალები შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის ბარში მოსახლეობის მიგრაციისა. ეს პროცესი, ჩვენი მასალებით, აშკარაა XVII საუკუნიდან, თუმცა იგი უფრო ადრეც მიმდინარეობდა, რის დამადასტურებელიც უნდა იყოს შიდა ქართლის ზეგანსა და ბარში მთიულთა საერთო სალოცავის - "ლომისას", გუდამაყრელთა სალოცავის - "პირიმზე ფუძის ანგელოზის", მთიულეთის ცხავატის ისტორიული თემის სალოცავის - "ცეცხლიჯვრის", ჭართლელთა საერთო სალოცავის - "ჭართალ წმინდა გიორგის" "ჭართალის ღვთისმშობელის" ნიშნების არსებობა. ამის დასტური უნდა იყოს

მსგავსი ტოპონიმების (ჭოჭოხი-ჭორჭოხი, ხოზა–ხოზუეთი, დუმაცხო, ჩობალაური, ჩაბარუხი, წიფორი) არსებობა მთასა და ბარში, რასაც ცალკე სპეციალური კვლევა ესაჭიროება.

ზემოთ მიმოხილული მასალებიდან კარგად გამოჩნდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობა ინტენსიურად გადასახლდებოდა არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში (ქაისხევი, ბაზალეთი, ხორხი, საგურამო, ბულაჩაური, ძაგნაკორა, ტონჩა-გრემისხევის მხარე), ქსნის ხეობის მთისწინა და ბარის ზოლში. დასავლეთით მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაცია ლეხურას და მეჯუდას ხეობებამდე ვრცელდებოდა და თითქმის გორამდე აღწევდა. გორის დასავლეთით უფრო ინტენსიური იყო ლიახვის ხეობის ზემო წელის მოსახლეობისა და იმერეთის მოსახლეობის მიგრაცია. მთიელთა ბარისაკენ სწრაფვა ინტენსიური იყო მთელი XVII-XVIII სს-ის მანძილზე. იგი განსაკუთრებით დაჩქარდა XIX ს. და გრძელდებოდა XX ს_ში. XIXს_ის შუა ხანებიდან მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაციის მიმართულებამ შიდა ქართლიდან ქვემო ქართლში გადაინაცვლა.

შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციაში შესაძლებელია უფრო ინტენსიური და ნაკლებ ინტენსიური პერიოდების, სხვადახვა ტალღების გამოყოფა. ასეთი ტალღოვანება დაკავშირებული იყო ქვეყანაში მშვიდობიანობა-ომიანობის პერიოდებთან, რაც ჯერ კიდევ დიდ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს ჰქონდა შემჩნეული.

გადასახლების მიზეზთაგან შეიძლება დავასახელოთ: ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი, მესისხლეობა და კლასობრივი წინააღმდეგობა, მთიულ-გუდამაყრელთათვის დამახასიათებელი ეს მესამე ფაქტორი უცხო იყო ფშავისა და ხევსურეთისათვის. მთავარი მიზეზი მოსახლეობის ბარისკენ გადასახლებისა მთიულეთ-გუდამაყარშიც ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი იყო. მთიულთა მიგრაცია ბარისკენ XIX საუკუნეში დააჩქარა აგრეთვე სამხედრო გზის მშენებლობასთან დაკავშირებულმა ბეგარამ. გადასახლების მიზეზებზე უფრო დაწვრილებით შემაჯამებელ დასკვნით ნაწილში გვექნება მსჯელობა.

* * *

ზემოთ დასახელებული გვქონდა რამდენიმე გვარი, რომლებიც მეჯუდას და ლეხურას ხეობის მთიან ნაწილში ცხოვრობდნენ და რომლებსაც მთიულურ-გუდამაყრული წარმომავლობა ჰქონდათ. ეს გვარებიც უკვე XVIII ს-ში შესაბამისი ხეობების ბარის სოფლებში იყვნენ განსახლებულნი. ორივე ეს ხეობა თითქმის მთლიანად დაიცალა ქართველი მთიელებისაგან XVIII-XIX სს. მიჯნაზე. მათი ნასახლარ-ნასოფლარები კი XIX ს. მეორე ნახევარში ლიახვის ხეობის მთიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა დაიკავეს.

დავასახელებთ კიდევ რამდენიმე გვარს, რომლებიც ლეხურასა და მეჯუდას ხეობების მთიანი მონაკვეთიდან ბარში გადასახლდნენ. მეჯვრისხევში არიან გადახლებული სოფ. ქოლოთიდან **სარაულები**, **ხომიზურები**, **კეკელაშვილები**, **ლოთეშვილები**. ეს უკანასკნელნი კასპშიც მკვიდრობენ. სოფ. ქოლოთთან ახლოს იყო სოფელი საკაჭიურო, რომელშიც თავის დროზე **კაჭიურები** ცხოვრობდნენ. ლეხურას ხეობის უკიდურესი ზემო წელის წოლდის მკვიდრი გვარებიც (**ჩიტაშვილი**, **ხადელიშვილი**, **იარდალაშვილი**, **ხაშუშიძე**,

მწიკვლაური...) XVIII ს-ში მეჯვრისხევში იყვნენ გადასახლებულნი. ლეხურას ხეობის სოფელ წირიდან არიან მეჯვრისხევში ჩამოსახლებული **ბიბილაშვილებიც**. ამავე სოფელში XVII ს. მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ **იოსებიძეები** და **აბრიაშვილები** (კაკაბაძე, 1921, გვ. 1,3), რომლებიც ბარის სოფლებში გადასახლებულან. ლეხურას ხეობისავე სოფ. წუბენში XVII ს-ში მკვიდრობდნენ "მოხევიშვილი გრიგოლ", "მთიულიშვილი რამაზა" (იქვე, გვ. 4), რაც მათ მოხეურ და მთიულურ წარმომავლობაზე მიუთითებს. ეს და სხვა გვარებიც (მაგ. **ფიდიურები**) XVII-XVIII სს-ში შიდა ქართლის ბარის სოფლებში განსახლდნენ.

1781 წლის მეჯვრისხევის აღწერაში ცხრა კომლი ბიყრელი **ბეგიაშვილია** მოხსენიებული (ჯავახ. 1965, გვ. 224-225). დღესაც ბეგიაშვილები მეჯვრისხევში ერთ დიდ უბნად არიან დასახლებული (ჩარხისუბანი). ბიყარი კი მეჯუდას ხეობის მთაშია. თუმცა ბიყარი ბეგიაშვილთა თავდაპირველი საცხოვრისი არ ყოფილა. ეთნოგრაფიული მასალებით, "ჩვენ წინაპრებს სულ თავდაპირველად უცხოვრიათ ქნოღოში (პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელი - რ.თ.). მერე იქიდან წამოსულან ჩვენი მამა-პაპანი და ბიყარში უცხოვრიათ. მერე იქიდან კიდევ ქვევით ჩამოსულან ღრომში. ღრომიდან მეჯვრისხევში მოსულან. ქნოღოდან ბატონებს გამოქცევიან. ქნოღოდან ბეგიაშვილების მთელი გვარი აყრილა და ბიყარში დასახლებულა. ბიყრიდან კი იმიტომ აყრილან, რომ ოსები ეცემოდნენ თურმე თავზე". მთიდან (ქნოღოდან) ჩამოსახლებულ ბეგიაშვილებს მოგვიანო პერიოდში მეჯვრისხევში ხატის ნიში ჩამოუტანიათ. ამ ხატის ყმანი არიან აგრეთვე ქსუისელი **ჯავახიშვილებიც**.

სოფ. ბიყარში სხვა გვარის ქართველებსაც უცხოვრიათ, რომლებიც ასევე მეჯვრისხევში გადმოსახლებულან. 1781 წ. მეჯვრისხევის აღწერაში დასახელებული არიან: "ბიყრელი ჯიხვიშვილი ბერუა", "ბიყრელი ფიდიური", "ბიყრელი ხუტურიშვილი პაპუნა და ღვინია" (ჯავახ. 1965, გვ. 225).

მეჯუდას ხეობიდან – ისროლისხევიდან არიან მეჯვრისხევში მიგრირებული **ელიაურები**. ისინი ჭურთიდან გადმოსახლებული ილურიძის შთამომავლად ითვლებიან.

1781 წ. მეჯვრისხევის აღწერაში ჭალისუბნელი (მეჯუდას ხეობის მთაშია) **ფსიტიძეების** ოთხი კომლია მოხსენიებული. დღეს ფსიტიძეები ახალუბანში ცხოვრობენ. ფსიტიძეების ადრინდელი გვარი აფციაური ყოფილა. დღეს ფსიტიძეები მეჯუდახ ხეობის სოფელ ჭალისუბანში "სამებობის" დღეობაზე დადიან.

მეჯვრისხევში მოსახლეობს **ვეშაპურების** გვარიც. ისინიც შიდა ქართლის მთიელები არიან და გადმოსახლებულან მეჯუდას ხეობის სოფ. ვეშაპურიდან (დღეს ნასოფლარი), რომელიც სოფ. მახისთანაა. ვეშაპურები ეხლაც სალოცავად მეჯუდას ხეობის მთაში წინაპართა ნასოფლარში არსებულ სალოცავ "მიქელ გაბრიელზე" დადიან (ამ სალოცავს ადგილობრივი მოსახლეობა "ვეშაპურთ ეკლესიასაც" უწოდებს). ვეშაპურების აყრა-გადასახლების მიზეზი, ეთნოგრაფიული მასალით, ბატონის მიერ ჭირნახულის წართმევა ყოფილა. მოსავლის წამრთმევები ვეშაპურებს სულ დაუხოციათ და მას შემდეგ ისინი აყრილან და გაფანტულან. მეჯვრისხევს გარდა დასახლებული არიან გარეჯვარშიც. ვეშაპურების გვარი მეჯუდის ხეობის სოფ. მახისის მკვიდრებად დასახელებულია XVII ს-ის მეორე ნახევრის დავთარში: "ქ.ბატონის ამილახორის ყმა მახისს მახნია ვეშაპური კუამლი ა, თავი დ. იმისი განაყოფი ქურციკი

თოფითა, კუამლი ა, თავი გ." (კაკაბაძე, 1921, გვ.6). მახისში სხვა ქართული გვარების წარმომადგენლებსაც უცხოვრიათ. ზემოთ დასახელებულ სამილახვროს დავთარში მახისის მოსახლეებად დასახელებული არიან "დათუნა ფაკაური" და "შიუკა ფაკაური" (გვ.7). **ფაკაურები** ფლავში გადასახლებულან. 1818 წლის აღწერით ისინი ფლავში მკვიდრონდნენ. ხოლო 1842 წლის აღწერით ფლავისმანში მოსახლე გიუნაშვილების ძირი-გვარი ფაკაური ყოფილა (სცსსა, გვ. 254, 1951).

მეჯუდას ხეობის სოფ. ბენდერში უცხოვრიათ **ხახუტაშვილებს**, რომლებიც სხვათა მსგავსად დღეს მეჯვრისხევში მოსახლეობენ. ბენდერიდან ხახუტაშვილების გადასახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. მიგრანტს სახელად ზაქარა რქმევია, რომელიც ერისთავთან მოჯამაგირედ დამდგარა. ხახუტაშვილები დღესაც ბენდერში წმინდა გიორგის სალოცავზე დადიან. ხახუტაშვილები ბენდერიდან მეჯვრისხევში XVIII ს. გადმოსახლებულან. 1781 წ. მეჯვრისხევში ნახსენებია "ბენდერელი ხახუტაშვილი ხახუტა" (ჯავახ. 1967. 225).

მეჯუდას ხეობის სათავიდან არიან გადმოსახლებული აგრეთვე ახალუბანში მოსახლე **ცხადიაშვილები**.

ისროლისხევიდან არიან მიგრირებული **ციცაგები**, **კვირიკაშვილები**. ციციგები ჩამოსახლებული არიან მეჯვრისხევსა და ციცაგიანთკარში. ისროლისხეველი **ნადირაშვილები** კი არცევში არიან გადასახლებული. აქედანვე ერედვში არიან საცხოვრებლად გადასახლებული **ბერუაშვილები**, **დათიაშვილები**, **ნინიკაშვილები**. ისროლისხევში იყო ფიდიურთა თავდაპირველი სამკვიდრებელი. აქ დღეს ნასოფლარსაც ("ფიდიაურიანთკარი") მიუთითებენ. აქედანვე არიან **დვალიშვილები**, **სალუქაშვილები**. სალუქაშვილები, რომლებიც დღეს მეჯვრისხევში მოსახლეობენ, თავდაპირველად ისროლისხევის სოფელ ატენის მკვიდრნი იყვნენ. საისტორიო საბუთებით კარგად ჩანს მათი მეჯუდას ხეობის მთიდან ბარისაკენ მიგრაცია. 1781 წლის აღწერით ამ გვარისანი მთაში, ისროლისხევის სოფ. ატენში მკვიდრობდნენ (ჯავახ. 1967, I, გვ. 205). ამავე დროს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გადასახლებული იყო მეჯუდისავე ხეობის სოფ. ღრომში. 1799 წლის განჩინებიდან (სალუქაშვილებისა და ყანჩელების მამულის საქმეზე) ირკვევა, რომ ღრომის მამული სალუქაშვილებს დიდი ხნის წინ ყანჩელებისაგან ჰქონიათ ნასყიდი. ახლა კი იმავე მამულზე ყანჩელებმა ოსები დაასახლეს და ეს უკანასკნელნი კუთვნილ მამულს სალუქაშვილებს არ ანებებდნენ (ქსძ, 1977, გვ. 145-146). ოსთა მთიდან მოწოლამ ბოლოს სალუქაშვილები მაინც აიძულა ღრომი დაეტოვებინათ და მეჯვრისხევში გადასახლებულიყვნენ. სალუქაშვილები შიდა ქართლის მთიდან ქვემო ქართლში გადასახლებულან. 1721 წლის აღწერით ქვემო ქართლის სოფ. გორინჯუკს ცხოვრობდა "სალუქაშვილი სალუქა" (თაყაიშვილი, გვ. 83). მეჯუდას ხეობის მთიდან არიან ზემო ავჭალაში გადმოსახლებულნი **ბუტიკაშვილები**. ეთნოგრაფიული მასალებით, XX ს-ის 20-იან წლებამდე ბუტიკაშვილები ზემო ავჭალელ ლომიშვილებთან (იგივე ბერიტაშვილებთან) ერთად სალოცავად მეჯუდას ხეობის სათავეში სალოცავში, "შარაო წმინდა გიორგი" დადიოდნენ. ამავე დროს, ისიც ირკვევა, რომ მეჯუდას ხეობის სათავეში ბუტიკაშვილები თავის დროზე გუდამაყრიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. შიდა ქართლის მთიდან ზემო ავჭალაში გადმოსახლებას ბუტიკაშვილები ალექსანდრე მეფის სახელს უკავშირებენ. პირველად ეს გვარი ("ბუთიკაშვილი გიორგი") ზემო ავჭალაში 1801 წლის აღწერაშია დასახელებული. 1818 წლის აღწერით

სალუქაშვილებს ისროლისხევიდან გადასახლებულებს ვხვდებით სოფელ კირბალში. ამ აღწერის მიხედვით შიო და გლახა სალუქაშვილების ოჯახი მთიდან ბარში 19 წლის წინ ე.ი. 1799 წელს გადმოსახლებულა (სცსსა, 254-1-545,542, გვ. 157-159). აქვე ციცაგები 3 წლის წინ, ე.ი. 1815 წელს გადმოსახლებულან. ქსნის ხეობიდან (ქარჩოხიდან) პავლიაშვილი იოსები კირაბლში 6 წლის წინ, ე.ი. 1812 წელს მიგრირებულა. ისროლისხეველი ხოსრო და ბერუა ციცაგები სოფ. ახალუბანში 1826 წელს გადმოსახლებულან (იქვე, გვ. 195), ხახა და ბერუა ხახაშვილები - 1813 წელს.

ასე რომ, XVIII ს-ის ბოლოსათვის თითქმის მთლიანად დაიცალა ქართველი მთიელებისაგან შიდა ქართლის ორი მნიშვნელოვანი ხეობის - ლეხურასა და მეჯუდას - სოფლების მოსახლეობა. მხოლოდ ორიოდე სოფელში შემორჩნენ ქართველი მთიელები. ქართველ მთიელთა ნასოფლარებში კი ოსი მიგრანტები დასახლდნენ XIX ს-ში. ოსები დასახლდნენ შიდა ქართლის დიდი და პატარა ლიახვების ხეობების ქართველთა ნასოფლარებშიც, ოღონდ შედარებით ადრე, XVII ს-ის შუა ხანებიდან.

ამრიგად, საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს, რომ შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობა ბარში გადასახლებისას თავისავე ხეობას მოუყვებოდა, ხეობის მთიანი მონაკვეთიდან ამავე ხეობის მთისწინეთსა და ბარში გადმოსახლდებოდა. მაგალითად, 1781 წლის აღწერაში ქსნის ხეობის ბარის სოფელ ლამისყანაში მოხსენიებული არიან "ბოგანო ქარჩოხელი თინიკაშვილი ივანე. ღვთისია და ბერი" (ჯავახ. 1967, გვ. 224).

მაღრან-დვალეთის (დიდი ლიახვის ხეობის უკიდურესი ზემო წელი) და საერთოდ დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მთიანეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: "ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან" (ქც, 1973, გვ. 363-364). დიდი და პატარა ლიახვების ხეობებიდან აგრეთვე დვალეთიდან ქართული მოსახლეობის აყრის მიზეზებზე სხვა ნაშრომში ("საქართველოში ოსთა მიგრაციისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები") გვაქვს საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა შიდა ქართლის მთიანეთის, მდ. დიდი ლიახვისა და მდ. პატარა ლიახვის ზემო წელის მოსახლეობისაგან დაცლა, მთიელთა ბარში მიგრაცია ბარის რეგიონების მოსახლეობის შემცირებას, მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან მწარმოებელთა შემცირებას მიაწერა. რა თქმა უნდა, ამან ბევრად შეუწყო ხელი შიდა ქართლის მთიელთა ბარში ერთდროულ ჯგუფურ გადასახლებას, მაგრამ ძირითადი მიზიზი მაინც ის იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან გამრავლებული ოსები აწვებოდნენ ქართველ მთიელებს. ისინი ლაშქრობებით, მეკობრეობით მოიწევდნენ სამხრეთისაკენ. ამის გამო, XV ს-ში ჯერ დვალეთის პროვინცია დაიცალა ქართველი მთიელებისაგან და XVI ს-ში მაღრან-დვალეთი და შიდა ქართლის მდინარე დიდი და პატარა ლიახვების ხეობები. ეთნოგრაფიული მასალებით შესაძლებლობა გვეძლევა გავარკვიოთ ზოგიერთი ის გვარი, რომლებიც ოდესღაც დასახელებული მთის პროვინციებში ცხოვრობდნენ. ძირად დვალები არიან გერგაულები, ბეღელურები, ბიგულოვები, ბიგანები (ბიგანიშვილები), ქესაურები, ხაბარელები, ხაჩიურები, ხაჩიძეები. დვალეთიდან არიან წარმოშობით შიდა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლებული ჩოჩიშვილები,

ჯოჯიშვილები, ოქროპირიძეები და თედელურები. ეთნოგრაფიული მასალა: "ჩოჩი, ჯოჯი, ოქროპირი და თედე ძმები ყოფილან, ნარადან მოსულან. ოქროპირი დისევში მოსულა და აქ დასახლებულა და მის შთამომავლობას ოქროპირიძე დაერქვა, ჩოჩი ორტევში დასახლდა და ამათგან ჩოჩიშვილები წარმომავლობენ, თედე ვანათში დასახლდა და იმათგან თედელური წარმოიშვა, ხოლო ჯოჯი ჯოჯიანთკარში დაფუძნდა, ვანათს ზემოთ და მის შთამომავლობას ჯოჯიშვილი ეწოდა". სამწუხაროდ, დვალი ჩოჩიშვილების ნაწილი ოსურ ეთნიკურ გარემოში აღმოჩნდა, რამაც მათი გაოსება გამოიწვია. შიდა ქართლის მთიელები, მდ. ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში ცხოვრობდნენ თავის დროზე **ინაურები**, **ხადურები**, **ლომაურები**, **ჩიფჩიურები**. ჩიფჩიურები თავდაპირველად ჟბის მკვიდრნი იყვნენ, საიდანაც ჯერ ზონკარში ჩამოსახლებულან და ზონკარიდან-ბელოთში. საისტორიო საბუთებით ირკვევა, რომ XVIII ს-ში ორივე ლიახვის ხეობის ზემო წელში ჯერ კიდევ იყო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა. ამის შესახებ სათანადო მითითება აქვს გიულდენშტედსაც. 1799 წლის ერთი განჩინებით შესაძლებლობა გვაქვს მაღრან-დვალეთში მცხოვრები ერთი ქართული გვარის გამოვლენისა. ოღონდ ის უკვე შიდა ქართლის ბარში, მეჯვრისხევის მახლობლადაა ჩამოსახლებული. განჩინებაში მოწმედ და დამსწრედ დასახელებულია "მაღდანდორელელი ხინჩილაშვილი თოფი, იმისი მამა შიო" (ქსძ. 1974, გვ. 146). ხინჩლაშვილები, მამა-შვილი შიო და თოფი ნამდვილად ქართველი მთიელები არიან. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას ანთროპონიმული დაკვირვება იძელვა. ასეთი ოსური გვარი (ხინჩლაშვილი) საერთოდ არ არსებობს და არც არსებობდა. ხონჩლაშვილი ქართული გვარია და ასეთი ოსური სახელი (ხინჩლა) არც ერთ საბუთში არა გვაქვს ფიქსირებული. ხინჩლა ქართველ მთიელებში (ბოლო დრომდე ხევსურებში, ფშაველებში, თუშებში, მოხევეებში, გუდამაყრელებში) გავრცელებული სახელი იყო.

თ ა ვ ი II.
მთიულ-გუდამაყრელთა ერწო-თიანეთში მიგრაცია

ცნობილია, რომ 1614 წელს შაჰ-აბასმა კახეთი მოაოხრა. პირველი და უკანასკნელი დიდი შეტაკება ყიზილბაშთა ჯარსა და ქართველებს შორის ერწო-თიანეთში, ჟალეთში, მოხდა. შაჰის ჯარებმა მთლიანად დაარბიეს ერწო-თიანეთი. აქედან მათ 30.000 ტყვე და 40.000 მსხვილფეხა საქონელი გაუყვანიათ (სინ, 1973, გვ. 264-265). ჩანს რაოდენ მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად განვითარებული იყო საქართველოს ეს კუთხე. ერწო-თიანეთის გადარჩენილი მოსახლეობის მცირე ნაწილი XVII-XVIII სს-ში კახეთში გადასახლდა. აქ კი გაპარტახებულ, ნასოფლარებად ქცეულ "ქვეყანაში" XVII-XVIII-XIX საუკუნეებში ქართველი მთიელები ეფუძნებოდნენ. განსაკუთრებით ინტენსიური იყო კახეთის მთისწინეთში (ერწო-თიანეთში) ფშავ-ხევსურეთის ნამატი მოსახლეობის მიგრაცია (თოფჩიშვილი, 1984). ერწო-თიანეთში გადმოსახლდებოდნენ მთიულ-გუდამაყრელებიც.

მოვიყვანოთ მთიულ-გუდამაყრელთა ერწო-თიანეთში მიგრაციის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მასალა. ივრის ხეობის მარცხენა მხარეს, სოფელ დულუზაურების მეზობლად მდებარეობს სოფელი კვერნაულა. ადრე

იგი გორიმზვარელის სახელს ატარებდა: "სოფელ კვერნაულას ადრე გორიმზვარელი ერქვა. ამას პანკელიანებიც ჰქვია. მთიულეთიდან ჩამოსულან **პანკელაშვილები**". კვერნაულაში დღეს პანკელაშვილები ხუთი-ექვსი კომლის რაოდენობით მოსახლეობენ. არც XVIII და არც XIX საუკუნეების აღწერის დავთრებში ერწო-თიანეთში პანკელაშვილების გვარი არა გვხვდება. თუმცა, როგორც ირკვევა, მათ წინაპრებს ჯერ კიდევ 270 წლის წინათ უცხოვრიათ თიანეთში. მთხრობელი ნიკო ალექსის ძე პანკელაშვილი (66 წლის, 1974 წელი) გადმოგვცემს, რომ "პანკელაშვილები ძირად ვართ მლეთიდან, მთიულები. ძირითადი გვარია ბურდული. ჩვენს წინაპარს კაცი შემოკვდომია მთაში და გამოქცეულან. მთიდან ჩამოვიდნენ მცხეთაში და შეიცვალეს გვარი, დაეწერნენ **მცხეთელაძედ**. მერე წოწოლა მცხეთელაძე წამოსულა და ლიშოში დამდგარა. კვერნაულაში მდგარან ჩარგლელები, შავერდაშვილების პაპები. იმ ჩვენ პაპას მოსწონებია კვერნაულა. გამოსულა ჩვენი პაპა კვერნაულაში, უცემავ და უკან გაურეკავ. კვერნაულაში დარჩენილა მხოლოდ ილიკო შავერდაშვილის (ახლა 85 წლისაა) პაპა მარცვალა. ჩემ მონათვლამდე იწერებოდნენ მცხეთელაძედ. მერე შეუცვლიათ გვარი და პანკელაშვილად დაწერილან. რატომ დაეწერნენ პანკელაშვილად ვერ ვიცი". კვერნაულელი პანკელაშვილების წინაპრებს, რომ ლიშოში (ლიშო ივრის ხეობის მარჯვენა ნაპირზეა) უცხოვრიათ XVIIIს. პირველ მეოთხედში, ამას მოწმობს იმდროინდელი მოსახლეობის აღწერა, რომელშიც ორი კომლი მცხეთელაძეა დასახელებული: "მცხეთელაძე პაპია" და "მცხეთელაძე ზურა" (ჯავახ. 1967, გვ. 42). XIX ს-ის დასაწყისში თიანეთს დავით ბატონიშვილის ყმად მოხსენიებული არიან: "მცხეთელაძე გიორგი, შვილი ლეგა"; "მცხეთელაძე ირემა. ძმა დავით. ფარეში ივანე"; "მცხეთელაძე ფოლადი. შვილი გლახა" (ბოჭორიძე, 1927). 1843 წლისათვის ქვემო თიანეთში მცხეთელაძეები თოთხმეტი კომლის რაოდენობით არიან. ამ დროისათვის ისინი უკვე ლიშოდან კვერნაულაში (მაშინდელ გორიმზვარეში) გადასულები ჩანან. გორიმზვარის 1843 წლის აღწერაში მოხსენიებული არიან: "მცხეთელაძე მცხეთელაძე. მცხეთელაძე ზურაბ, მცხეთელაძე ნინია" (სცსსა, 254-1-2092). ამრიგად, თიანეთის სოფელ კვერნაულაში მცხოვრებმა პანკელაშვილებმა ორჯერ შეიცვალეს გვარი: ბურდული→მცხეთელაძე→პანკელაშვილი. ამასთანავე, მათი წინაპარი ჯერ ბარში (მცხეთაში) დასახლებულა, შემდეგ კი მთისწინეთში (თიანეთში), რაშიც აშკარად ჩანს მიგრანტი მთიელის ბარის პირობებთან შეუგუებნლობა. მთიდან გადმოსახლებული დასახლებას არჩევდა ისეთ რეგიონში, რომელიც ბუნებრივ-კლიმატური და გეოგრაფიულ-რელიეფური თვისებებით მთას, თავდაპირველ საცხოვრისს უახლოვდებოდა. ასეთი რეგიონი კი მთისწინეთი, ამ შემთხვევაში ერწო-თიანეთი იყო. ივრის ხეობაში მოსულ მცხეთელაძე-პანკელაშვილებს სოფელ ლიშოში მაშინვე გადმოუტანიათ თავიანთი სალოცავის "ლომისას" ნიში.

მცხეთელაძეებად თვლიან თავს აგრეთვე ზემო თიანეთში, სოფელ ალაჭანში მცხოვრები **ბიჩელაშვილები**, რასაც, ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად მოწმობს XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრები, რომელშიაც ბიჩელაშვილები მეორე გვარით-მცხეთელაძით არიან მოხსენიებულნი (სცსსა, 254-1-2092). ბიჩელაშვილების ძირად მთიულობის მიმანიშნებელია აგრეთვე ის, რომ ისინი "ლომისას" ხატის ყმად თვლიან თავს. სოფელ ალაჭანში აქვთ "ლომისას" სალოცავის ნიში. ბურდულ-მცხეთელიძეები ყოფილან აგრეთვე კვერნაულაში მცხოვრები **ფოლადაშვილებიც**. მთხრობლის სიტყვით, "ფოლადაშვილები, ბიჩელაშვილები და პანკელაშვილები ერთნი ვართ,

წოწოლას შთამომავლები. ერთი მამისაგან მოვდივართ. ესენიც ლოცულობენ ლომისას, ჩვენსავით, ერთნაირად. წინათ დავდიოდით მლეთაში წელ-გამოშვებით. ეხლა აღარა. ლიშოში ლომისას ნიში ჩვენ პაპას წოწოლას გადმოუტანია. მას ლომისას ჯვარი დაჰქონებია გუდით. ბიჩელაშვილებმა, პანკელაშვილებმა და ფოლადაშვილებმა არ შეიძლება, რომ ერთმანეთში ქალი გაათხოვონ. ასეთი შემთხვევა დღემდე არ მომხდარა. ფოლადაშვილები და პანკელაშვილები სოფელში არეულად ცხოვრობენ, უბან-უბან არ არიან დასახლებული. ფოლადაშვილების წინაპარს სახელად ფოლადა რქმევია, პანკელაშვილებისას - პანკელა". მართლაც, 1801 წლის აღწერაში თიანეთში მცხოვრებ ერთ-ერთ მცხეთელაძეს ფოლადა ერქვა სახელად.

XVIII ს-ის წინარე ხანაში არიან საკვლევ რეგიონში მოსული **ბუწანკალურები**. მათი წინაპარი მთიულეთის სოფელ მლეთიდან გადმოსახლებულა. ადრინდელი გვარი ნაზღაიძე ყოფილა. მესისხლეობის გამო, სამი ცოლ-შვილიანი ძმა გადმოსახლებულა, თიანეთში გვარი შეუცვლიათ და ბუწანკალურად დაწერილან. გვიან ბუწანკალურებს გამოეყო **ყურშავიშვილების** გვარი. ბუწანკალურებისა და ყურშავიშვილების მთიულეთიდან თიანეთში გადმოსახლების ეთნოგრაფიული მასალა: "მლეთაში დავდივართ სალოცავად ლომისობას. სამი ძმანი ყოფილიყვნენ, მამაც ყოლიყოთ. სამივე ცოლ-შვილიანები იყვნენ. ამ ძმებმა გარეკეს ცხვარ-ძროხა გასაყიდად და ფული ბევრი მოიტანეს. ერთი მათი სოფლელი გარყვნილი ბიჭი ყოფილიყო და ამხანაგებიც ყოლოდა. ადგნენ და მივიდნენ ოჯახში, ვინც საქონელი გაყიდა იმათთან. შინ არავინ იყო, სამი რძლის მეტი. დაუძახეს, ქალო, კარები გაგვიღეო. რა გინდა, ამ დროს სიარულისა არ არისო; დილით მოდით, თუ საქმე გაქვთო. არა, ცოტა რამ საქმე გვაქვს და გააღე კარები ცოტა ხნითო; მაინც არ მოეშვა ეს ბიჭი. მაშინ ჩვენი წინაპარი, ის კაცები, სამივე ძმა მთაში იყვნენ, ცხვარში. მთიულური სახლი ხომ იცი? ერთი სართული მიწაშია, მეორე ზემოდან. ახალი ნაკეთები იყო ეს სახლი და დამთავრებული არ იყო. იატაკი დაგებული არ ჰქონდა. იფიქრეს რძლებმა და თქვეს: ესენი საკეთილოდ არ იქნებიან მოსულები. გადაწყვიტეს, რომ უნდა მოკლან ეს ბიჭი. უმცროსი რძალი კარებში ჩადგა ხანჯლით. შედგა თუ არა იმ მეზობელმა კაცმა ფეხი კარებში, ქალმა-უმცროსმა რძალმა მუცელში ჰკრა ხანჯალი და ფეხის გადაბიჯება ვეღარ მოასწრო, სარდაფში ჩავარდა. შემდეგ მისი ამხანაგი შევიდა და იმასაც და მესამესაც იგივე დღე დაადგა. ერთი იმავე სოფლელი იყო და ორი გარესოფლელი. ისინი საქურდლად დადიოდნენ, ფული უნდა გაეტანათ. რძლებმა მომხდარი ამბავი გააგებინეს თავიანთ პატრონებს და მამამთილს. მერე მოვიდნენ ეს სამი ძმანი და ნახეს ეს სამი კაცი მკვდარი და თქვეს: ჩვენ აქ აღარ გვედგომებაო. წინათ სისხლის აღება ყოფილიყო. წამოვიდნენ მთიულეთიდან თავიანთი ბინა-ბარგით. ერთი ზემო თიანეთში დასახლდა მწიკვლიანთკარში. ის ბუწანკალური გახდა. ვინც აქ დასახლდა, თიანეთში, ისიც ბუწანკალური გახდა. რევოლუცია რომ მოხდა, ჩვენი პაპა თევდორე ბუწანკალურად ეწერა და ნიკოლოზი რომ გადავიდა, მას შემდეგ ვეწერებით ყურშავიშვილად. **ყურშავიშვილი** იქიდან მოდის, რომ ჩემი პაპის-თევდორეს მამას ყური ჰქონიყო შავი და მისთვის ყურშავი ეძახათ. სულ ადრინდელი გვარი კი ნაზღაიძეა. ჩვენი სალოცავი არის ლომისა. კიდევ ვლოცულობთ "თავლაღს". "თავლაღი" ლომისას ნიშია, სოფელ დოლოშასა და ხეობასთან ახლოს. თავლაღს ბუწანკალურებსა და ყურშავიშვილებს გარდა ეყმობიან **ტიბუნაშვილები** (სოფელი ტუშურები). ხევისბერი თავლაღში ტიბუნაშვილი უნდა ყოფილიყო. ეს

სამი გვარი, - ბუწანკალურები, ყურშავიშვილები და ტიბუნაშვილები, - ქალს არ ვათხოვებთ ერთმანეთში".

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში თიანეთის სოფელ ქაშოში მოსახლეობდა ჯარიაშვილის ყმა "ბუწანკალური ზურაბა", თიანეთის მოურავის ყმა "ბუწანკალური შუშანა" (ჯავახ. 1967, გვ.44). ე.ი. ბუწანკალურების მთიულეთის სოფელ ზემო მლეთიდან თიანეთში გადმოსახლება XVII ს-ში მოხდა. ამასთანავე, მიგრირებულებმა ორჯერ შეიცვალეს გვარი: ნაზღაიძე→ბუწანკალური→ყურაშვიშვილი.

ერწოს სოფელ ნადოკრაში მოსახლეობენ ქავთარაძეები. ქავთარაძეების ამ შტოს წინაპარი ხევსურეთის სოფელ ქმოსტიდან გადმოსახლებულა. მისი გვარი ბურდული ყოფილა: "მესისხლეობის გამო გადაიხვეწა მთიულეთში და გვარი შეიცვალა". გადმოსახლებული დასახლდა ხანდოში, სადაც ხარ-ქვაბით შეეყარა ქავთარაძეებს. ხანდოდან მთხრობელის ლევან ანდრიას ძე ქავთარაძის (73 წლის, 1974 წელი) პაპა ჩამოსახლებულა ჯერ საგურამოში, სადაც სიცხეს შეუწუხებია და გადასულა ერწოში, სოფელ ნადოკრაში. იმ დროს მთხრობელის მამა 10-15 წლის ყოფილა (გარდაცვლილა 85 წლის 1936 წელს), ე.ი. ერწოში საგურამოდან ქავთარაძეების ეს ხევსურული შტო XIX ს-ის შუა ხანებში გადმოსახლებულა. ძირად ხევსური ქავთარაძეების შთამომავლები ნადოკრაში ახლა 6 კომლია. დანარჩენი ქავთარაძეები კი მთიული ქავთარაძეები არიან სოფელ წიფორიდან.

ერწოს სოფელ მელიასხევში მოსახლეობენ **სუარიშვილები**, რომლებიც ზემო თიანეთის სოფელ ხარტიშოდან არიან ჩამოსახლებულები. მათი ერთი შტო სოფელ თოლენჯში **ხოსროშვილებად** იწერება. სუარიშვილები მთიულეთიდან არიან მიგრირებულნი, სადაც ისინი სუარიძის გვარს ატარებდნენ.

ერწოს სოფელ ხევსურთსოფელში მოსახლეობენ **პავლიაშვილები**, რომლებიც ეთნოგრაფიული მონაცემებით, მლეთიდან გადმოსახლებულან და რომელთა ადრინდელი გვარი ბურდული ყოფილა. მთხრობლის სიტყვით, "მესისხლეობის გამო გადმოსახლდნენ და იმიტომ გამოიცვალეს გვარი".

ივრის ხეობის ზემო წელში, სოფელ არტანში მოსახლეობენ **ბურდულებ**ი, რომლებიც აქ ფშავის სოფელ ჭიჩოდან ჩამოსახლებულან. ეთნოგრაფიული მასალებით, "ჩემ მახსოვრობაში ზემო არტანში ბურდულები რვა კომლი იყო. ბატონყმობის დროს გამოექცნენ ბატონობას მლეთიდან. დაუხოციათ ბატონები. სამი ძმა ყოფილა. იმათ ყოლიათ ცოლ-შვილი, რომელთაგან ერთი ულამაზესი ქალი ყოფილა. ეს ბატონებმა გაიგეს და უნდათ თავისთან წაიყვანონ. ბურდულები ფშავში, ჭოჩოში გადასახლდნენ, რადგან მიუვალი ადგილია. მიუყვანია საკლავი, ხატში შეფიცვიან, თქვენი ძმები ვიქნებითო. თავიანთი ცოლ-შვილით შეეფიცნენ ჭიჩოვლებს. ჭიჩოს ხატის ყმანი ვართ. ლომისობასაც ვლოცულობთ. ჩვენი ბურდულების ნაწილი ხუციშვილადაც იწერება".

ზემო თიანეთის სოფელ ლახატოში მთიულეთიდან გადმოსახლებული **დარძულიძეები** მკვიდრობენ, რომლებიც მთიულეთში დარძულად იწერებოდნენ. გადმოსახლებულა მთხრობელის პაპის მამა-ადია დარძული. დარძულების გადმოსახლების მიზეზი ყოფილა "გზის ბეგარი. შეწუხებულა. ღარიბი ყოფილა". მთიულეთსა და თიანეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დარძულები ხევსურეთიდან გადმოსახლებულან და მათი ადრინდელი გვარია ჭინჭარაული. ლახატოში დარძულიძეებთან ერთად ხანდოელი **დავითურებიც** გადმოსახლებულან.

ქვემო თიანეთის სოფელ ბაღიანებში მოსახლეობენ **როსტომაშვილები**. როსტომაშვილები ძირად მთიულები არიან, რომელთა ადრინდელი გვარი სეთური ყოფილა. წინაპარი სოფელ სეთურებიდან წამოსულა. როსტომაშვილების წინაპრის გადმოსახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. ეთნოგრაფიული მასალებით, მას "ოსებთან ჰქონია დავა მთაზე და იმ ჩვენს წინაპარს დაუხოცია ოსები და ჭართალში გამოქცეულა; დასახლებულა ჭართალში. ის იყო პაპაჩემის მამა-როსტომი, რომლის სახელზედაც მოდის ჩვენი გვარი როსტომაშვილი. ჭართალში რომ ცხოვრობდნენ მესისხლეებს გაუგიათ და ერწოს სოფელ სიმონიანთხევზე წამოსულან. იმის შთამომავლები ვართ როსტომაშვილები. როსტომაშვილების სალოცავი არის ლომისა-ეხლაც აქ დავდივართ".

სიმონიანთხევში მოსახლეობენ **მთიულიშვილები**, რომლებიც მთიულეთიდან არიან მოსული. სოფლის თავზე არის "ლომისას" ნიში, სადაც მთიულიშვილები ლოცულობენ. მთიულიშვილების ადრინდელი გვარია ზაქაიძე. მთიულიშვილების წინაპარ ზაქაიძის გადმოსახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. მთხრობლის პაპის პაპას "ვიღაც კაცი შემოკვდომია და სიმონიანთხევში ჩამოსახლებულა". ჩამოსახლების შემდეგ გვარი გამოიცვალეს და მთიულიშვილად დაეწერნენ.

ზემო თიანეთის სოფელ წიკვლიანთკარში **გვინდაძეები** ცხოვრობენ. მათი წინაპარი გუდამაყრიდან ყოფილა. გუდამაყრის სოფელ ზანდუკიდან ის ტყვედ ლეკებს წაუყვანიათ. ტყვის გამოხსნის შემდეგ, გვინდაძეების წინაპარი ზანდუკში აღარ დაბრუნებულა და დასახლებულა ზემო თიანეთში. XVIII ს-ის პირველი მეოთხედის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, გვინდაძეების სამი კომლი ძაგნაკორაში მოსახლეობდა (ჯავახ. 1967, გვ. 53). გვინდაძეების სალოცავი ხატია "თავლაღი" სოფელ ხეობის მახლობლად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ხატის ყმები არიან კიდევ ტიბუნაშვილები (სოფ. ტუშურები), ბუწანკალურები და ყურშავიშვილები (დაბა თიანეთი). ეთნოგრაფიული მონაცემებით, თავლაღის წმინდა გიორგის მეორენაირად "უღლისის წმინდა გიორგის" უწოდებენ (არსენა გიორგის ძე გვინდაძე, დაბად. 1876 წელს, 1975 წელი).

სოფელ ჟეზოტაში მკვიდრობენ **ზაველურები** (1974 წელს 7 კომლი), რომლებიც ძირად მთიულები არიან. მათი წინაპარი მლეთიდან გადმოსახლებულა. ეთნოგრაფიული მასალა: "მლეთაში ვიკითხე: ზაველურები სად ცხოვრობენ? ერთმა მოხუცმა კაცმა მითხრა-იყვნენ და აღარ არიანო. ზაველურების სალოცავია ლომისა".

ერწოს სოფელ დორეულებში (ადრინდელი წიაბეთი) ცხოვრობენ **ჭიკაიძეები**. ჭიკაიძეებს თავიანთი გვარის სალოცავი-"მთაწმინდა" დორეულებში მთიულეთიდან გადმოუტანიათ. გადმოსახლების შემდეგ 6 თაობას ითვლიან. მთხრობლის სიტყვით, "იქ უვარგისი, ფინთი, ფაფხი ადგილი იყო, ფერდა იყო-საცხოვრებლად ძნელი. სახნავი არ ჰქონდათ საკმარისი და იმიტომ გადმოსახლდნენ. აქ კი ადგილი ხელსაყრელი და ცარიელი იყო". სოფელ დორეულებში ძირითადად დორეულები და დორეულებიდან შტო-ნაყარი გვარები, - **ზამთარაშვილები**, **სისოშვილები**, **ზაზაშვილები**, - მკვიდრობენ. ეს გვარებიც შიდა ქართლის მთიანეთიდან, ოღონდ ქსნის ხეობიდან (ჭურთა) არიან გადმოსახლებული XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე. აქედანვე არიან ერწო-თიანეთში, მეჯვრისხევსა და ყვარელში გადასახლებული **ბუჯიაშვილები**, რომლებიც XVIII ს-ში ბუჯიძის გვარსახელს ატარებდნენ.

მთიულეთიდან მიგრირებულები სოფელ ჩაბანოშიც გვხვდებიან, კერძოდ, **ბუთხუზაშვილები**. ისინი გერად მოყოლილებია. აქვე ცხოვრობენ ხანდოდან გადმოსახლებულა **ლაზვიაშვილები**, აგრეთვე **ოგბაიძეები** და **ნაზღაშვილები**. ყურადღება მისაქცევია, რომ მთიულეთიდან გადმოსახლებულები ხშირად გვარის სუფიქსს იცვლიან-ბუთხუზი ბუთხუზაშვილად იქცა, ნაზღაიძე-ნაზღაშვილად.

მთიულებს გარდა, XIX საუკუნის შუა ხანებამდე ერწო-თიანეთში გუდამაყრელებიც ინტენსიურად გადმოსახლდებოდნენ. XIX ს-ის პირველ ნახევარში გუდამაყრიდან ერწოს სოფელ საყდრიონში **ხახაშვილების** წინაპარი გადმოსახლებულა. ხახაშვილების ადრინდელი გვარია ჩოხელი, თავდაპირველი საცხოვრისიც შესაბამისად ჩოხი იყო. ეთნოგრაფიული მასალა: "ექვსი თაობაა გადმოსახლების შემდეგ. ჩხუბი მოსვლიათ. ვიღაც კაცი მოუკლავთ და იმათ წამოსულან და გვარი შეუცვლიათ. სალოცავი ხატია ჩოხის წმინდა გიორგი".

გუდამაყრიდან XIX ს-ის პირველ ნახევარში სოფელ დუმაცხოდან ერწო-თიანეთში **აფციაურები** გადმოსახლებულან, აგრეთვე ბექაურები. 1843 წლის საოჯახო სიებიდან ირკვევა, რომ სოფ. სიმონიანთხევიდან "გელა ბექაური" საგურამოში გადასახლებულა (სცსსა, 254-1-2092). 1801 წლის აღწერაში თიანეთში აღრიცხულია "დიდებაშვილი სეხნია" (ბოჭორიძე, 1927), რომლებიც გუდამაყრიდან იყვნენ მიგრირებული XVIII ს-ში. ამავე დროს მოსულან **კენკიშვილებიც**. XIX ს-ის პირველ ნახევარში ხანდოდან მიგრირებულან **მოთიულები**, მთიულეთიდან-**ზაქაიძეები**, **იორამიშვილები**, **მელიაშვილები**, **ნადიბაიძეები**, **პატაშურები**.

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ხანდოდან მოსახლეობის მიგრაციაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ ვაგრანეთს მთავარეპისკოპოსის ყმად დასახელებული არიან "ჯანდოელი თათარა", "ჯანდოელი გიორგი", "ჯანდოელი დათუნა" (ჯავახ. 1967, გვ. 47). 1801 წლის მოსახლეობის აღწერაში თიანეთში ხიზნებად დასახელებული არიან "მთიული ჯამალი. ძმა მიქა"; "მთიული ღთისია"; "მთიული პაპია"; "მთიული დავით. ძმა ივანე"; "მთიული ივანე. ძმა შამხალა" (ბოჭორიძე, 1927).

ერწოში მოსახლე **ბერელაშვილები** ლოცულობენ მთიულეთის სალოცავ "ქაშუეთის წმინდა გიორგის", რომლებიც 1843 წლის საოჯახო სიების მიხედვით ერწო_თიანეთის სახელმწიფო გლეხები იყვნენ (სცსსა, 254-1-2092). ასევე "ქაშუეთის წმინდა გიორგის" ეყმობოდნენ **წიწაკაშვილები** და **ხუზმიაშვილები**. ცნობილია, რომ "ქაშუეთ წმინდა გიორგის" სალოცავი არის მთიულეთის სოფ. გვიდაქეში, სადაც ბუჩუკურები მოსახლეობენ (თოფჩიშვილი, 1985, გვ. 88). ასე რომ, ბერელაშვილები, წიწაკაშვილები და ხუზმიაშვილები მთიულეთიდან გადმოსახლებული ძირად ბუჩუკურები არიან.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მთიულეთიდან და გუდამაყრიდან ერწო-თიანეთში მოსახლეობის მიგრაცია XIXს-ის შუა ხანებამდე ძირითადად გაჟონვითი ხასიათის იყო. ეს პროცესი უფრო დაჩქარდა XIX ს-ის მეორე ნახევარში.

მთლიანად მთიულეთიდან მიგრირებულებით იყო დასახლებული სოფელი ბურიანი, თუ არ ჩავთვლით ერთ ძველ მოსახლეს "ბერო სიმონიშვილს" (სცსსა, 254-2-248 ა.). 1850-იან წლებში ჭართლიდან ბურიანში მოსულან ქავთარაძეები (Თკომლი), ჭართალში კი ისინი მთიულეთის სოფელ წიფორიდან იყვნენ მოსული. გუდამაყრის სოფელ მაქართიდან ბურიანში აღნიშნული

დროისთვის გადმოსახლდნენ **თლოშიაურები** (ორ ოჯახი). აქავე სოფელ ნადიბაანიდან გადმოსულა "ბერი ნადიბაიძე", "ადამ ნადიბაიძე" - ვაშლოვნიდან, "სოსია წიკლაური" - სოფელ ჩობალაურთიდან (სცსსა, 254-2-248 ა.).

სოფელ მკევლიანში მთიულ-გუდამაყრელთა ჩამოსახლება ჯერ კიდევ XIX ს-ის პირველ ნახევარში დაწყებულა. აღნიშნული პერიოდისათვის აქ მოსახლეობდნენ დიდებაშვილები და ბექაურები. 1850-იან წლებში მკევლიანში გუდამაყრიდან "შალვა დიდებაშვილი" გადმოსახლებულა. ამას გარდა მკევლიანში მთიულ-გუდამაყრელები ერწოს სხვა სოფლებიდანაც გადმოსულან: XIXს-ის 50-იან წლებში ნაქალაქარიდან-აფციაურები (ოთხი კომლი), თოლენჯიდან-"ზაქარია ქავთარაშვილი", ხოლო ქვემო ქართლიდან, მანგლისიდან - "გივი წიკლაური" და "ადამ თლოშიაური". მკევლიანში მთიულ-გუდამაყრელები ფშავლებთან ერთად მოსახლეობდნენ.

XIX-ის მეორე ნახევარში სოფელ ცხვარიჭამიაში ნადიბაანთკარიდან "ნინია ნადიბაიძე" მიგრირებულა, ხოლო ერწოს სოფელ ვეძათხევიდან მას ორი ოჯახი თანამოგვარე დამატებია. 1850-იან წლებში სოფ. ჭილანთკარში გადმოსახლებულან ქავთარაძეები (ორი კომლი) ქავთართსოფლიდან, აფციაურები-ცხვედიათიდან, გიგაურები-ჭართლიდან. ჭილანთკარში ერწოს სოფელ ჭუჭულიანთკარიდან გადმოსახლებულა გუდამაყრელი “შიო წიკლაური”.

სოფელ ბალებისხევში მთიულ-გუდამაყრელები ხევსურებთან ერთად მოსახლეობენ. აქ 1850-იან წლებში გუდამაყრის სოფელ დიდებათსოფლიდან "თათარა დიდებაშვილი" და "იოსებ ნასყიდაშვილი" მოსულან, ხოლო დუმაცხოდან და ცხვედიათიდან-აფციაურები. ეთნოგრაფიული მონცემებით, "ბალებისხეველი დიდებაშვილები ძირად გუდამაყრიდან ვართ. მოსული ვართ დიდებათსოფლიდან. შიმშილობა ყოფილა და ამიტომ გადმოსახლებულან ჯერ ქართლში, მუხათგვერდში დასახლებულან, მუხათგვერდიდან კი ერწოში-ბალებისხევში. იკვლივში ყოფილა ერთი ჩვენი ბიძაშვილი და იმას მოურეკია ჩვენები, აქ კაი საცხოვრისიაო. თათარა ერქვა ვინც ბალებისხევზე მოვიდა. ჩემი პაპა იყო თათარა. დიდებაშვილების სალოცავია "პირიმზე ფუძის ანგელოზი”. სალოცავად დიდებათსოფლის ბოლოზე დავდივართ. აქ დიდებაშვილები საბატონო ხიზნებად ყოფილან. ბატონ ოზიაშვილის ადგილი იყო. ახატნის ბატონი იყო ის. იჯარას იხდიდნენ (ვანო ბეჟანის ძე დიდებაშვილი, 87 წლის, 1974 წელი). დიდებაშვილებს ეს გვარი გადმოსახლების შემდეგ მიუღიათ. მთაში ბექაურის გვარს ატარებდნენ. "დიდებანი" კი ბექაურთა გვარის დანაყოფი, მამიშვილობა იყო. სოფელიც გვარის დანაყოფის სახელს ატარებდა. ასე იქნა ძირი-გვარიდან (ბექაური) ახალი გვარი (დიდებაშვილი) მიღებული-მამიშვილობა გარდაიქმნა გვარსახელად.

გუდამაყრელი **ბექაურები** 1873 წლისთვის მიგრირებულან ერწოს სოფელ კვერნაულაში (სცსსა, 254, 3. 278). გადმოსახლებულ ბექაურებს გუდამაყრიდან სალოცავის - "პირიმზე ფუძის ანგელოზის" ნიში გადმოუტანიათ. მას ლოცულობენ აგრეთვე კვერნიულელი **დიდებაშვილები** და **წიკლაურები**, 1873წ. აღწერაში კვერნაულაში მიგრანტებს შორის დასახელებულია აგრეთვე "იმედა დიდებაშვილი" (სცსსა, 254-2-248 ა.).

მთიულები მიგრირებულან ერწოს სოფელ ნადოკრაში, კერძოდ ფასანაურიდან - "ივანე აბრამის ძე ქავთარაძე", სოფ. ქვეშეთიდან - "ბესიკო გლახაშვილი" და "ანდრია გლახას ძე მოსახლიშვილი".

სიონთგორში 1881 წელს მანგლისიდან გადმოსულა საცხოვრებლად "ივანე გიგოლას ძე **ობგაიძე**" (სცსსა, 254, 3, 1750). ეთნოგრაფიული მასალა: "ჩემი დედაკაცის პაპები-ობგაიძეები მანგლისში მთიდან გადმოსულან. იქ ჩემი სიმამრი დაობლებულა და გადმოსულა ერწოში, სოფელ ნაქალაქარში თავის ბიძაშვილებთან, ბოლოს კი სიონაგორში ჩასიძებულა" (შალვა თოლექას ძე ბასილაური, 71 წლის, სოფ. კვირისხევი, 1974წ.).

1886 წელს ხადას ხეობიდან საყარაულოში გადმოსახლებულა "ნინია გიორგის ძე მიდელაური" (სცსსა, 254, 3, 1750). იმავე წელს ერწოს სოფელ ვეძათხევში მთიულეთიდან მოსულა ნარიმანიძეების ერთი ოჯახი (იქვე).

სოფელი დევენაანთხევი ჯერ კიდევ XIX ს-ის პირველ ნახევარში დასახლებული იყო გუდამაყრელი **ხარხელაურებით**. 1850-იან წლებში აქ მოსახლე ხარხელაურებმა შემოიკრიბეს ბიძაშვილ-ნათესავები სოფელ დიღმელაურიდან (XXს-ში ეს სოფელი სიონის წყალსაცავმა დაფარა): "დიდება ხარხელაური" და "პავლე ხარხელაური" (სცსსა, 254-2-248 ა.) დევენანთხევშივე 1870 წელს გადმოსახლებულა მთიული "გაბრიელ იოსების ძე ნარიმანიძე" (სცსსა, 254, 3, 273). XIX ს-ის პირველ ნახევარში იყო მთიულ-გუდამაყრელებით დასახლებული სოფელი ნაქალაქარიც. აქ საკმაო რაოდენობით მოსახლეობდნენ: **აფციაურები**, **ბექაურები**, **დიდებაშვილები**, **პატაშურები**, **წიკლაურები**, **ობგაიძეები**, **ჭიკაიძეები**... XIX ს-ის 50-იანი წლებიდან ნაქალაქარში კვლავ მიმდინარეობდა მთიულ–გუდამაყრელთა მიგრაცია. გუდამაყრის სოფ. კიტოხიდან სამი კომლი ბექაური მოსულა, მაქართიდან და ბაკურხევიდან-თითო ოჯახი წიკლაური, დოლასქედიდან და ჭართლიდან - ორი კომლი გიგაური, დიდებაშვილები-ხორხიდან და ქვემო ქართლის სოფელ ნამტვრევანიდან, ბურდულაძე-მლეთიდან, ქავთარაძე-ქავთარანთკარიდან, ობგაიძე-გოგნაურთიდან, ტატიშვილი-ქვეშეთიდან, სუარიძე - 1863 წელს ხორხიდან, 1865 წელს ცხვედიათიდან-აფციაური, 1865 წელს მახარე გიგაური-მთიულეთიდან და 1862 წელს ადამ წიკლაური-გუდამაყრიდან, 1876 წელს ლუთახუბიდან-"ვეფხვია მახარეს ძე წიკლაური" (სცსსა, 254-2-248 ა, 254-3-273).

ვაგრანეთში XIX ს-ის 50-იან წლების დასაწყისში მთიულეთიდან ორი კომლი მოსულა: "გიორგი ქავთარაძე" - ქავთარაანთსოფლიდან და "ელიზბარ ჩოხელი" - დოლასქედიდან. თრანში 1865 წელს ხორხიდან "ხორხელა აფციაური" მოსულა, 1883 წელს კი ლუთხუბიდან-"ანთაური" (სცსსა, 254-3-274, 1752).

ტოლათსოფელში 1879 წელს ლუთხებიდან მიგრირებულა "თათარა გოგიას ძე წიკლაური", 1878 წელს კი კოტორაანთკარიდან - "ჭართალელი". "ტოლათსოფელში მოსახლე წიკლაურები ძირად ლუთხებიდან ვართ. ჩვენი სალოცავი ხატია "პირიმზე ფუძის ანგელოზი" (ისაკ სიმონის ძე წიკლაური, 74 წლის, 1974 წელი). 1850-იან წლებში ჭართლიდან ერწოს სოფელ კუპრიანთკარში საცხოვრებლად გადმოსულა "გიორგი გიორგის ძე წიკლაურის" ოჯახი.

სოფელ იკვლივში მთიულ-გუდამაყრელები XIXს-ის პირველ ნახევარში დასახლდნენ (დიდებაშვილები, წიკლაურები, სვიანიძეები...). მათი მიგრაცია XIXს-ის მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა. 1864, 1868, და 1870 წლებში იკვლივში გუდამაყრიდან დიდებაშვილების ოთხი ოჯახი გადმოსახლებულა (სცსსა, ფ. 254, ან 3, საქ. №273). აქვე დიდებაშვილები (ორი ოჯახი) 1861 და 1870 წლებში კევლიანიდან მიგრირებულა. გუდამაყრიდან იკვლივში წიკლაურები ("შალვა წიკლაური", "მამუკა წიკლაური", "დავით წიკლაური") 1864 და 1867 წლებში ჩამოსახლებულან. "ადამ გახას ძე წიკლაური" კი 1870 წელს კევლიანიდან

მიგრირებულა", 1870 წელს იკვლივში ცხვედიათიდან-"ხიზანა მარტიას ძე აფციაური", 1884 წელს ხადადან - "დავით მიდელაური" და 1882 წ. - "ივანე ბექაური" (სცსსა, 254-3-740).

თიანეთის სოფელ ბოკონში ძირითადად ფშავლები ცხოვრობდნენ, მაგრამ XIXს-ის მეორე ნახევარში აქ მთიულებიც დამკვიდრებულან. კერძოდ, 1876 წელს სოფელ კაიშაურიდან ოთხი ოჯახი მიდელაური გადმოსახლებულა, ხოლო ერთი კომლი უფრო ადრე - 1840 წელს. ბოკონში 1878 წელს ქარჩაიძეების ერთი ოჯახიც მოსულა.

XIX ს-ის მეორე ნახევარში მთიულები ხარჭიშოსა და ხარმახადში დამკვიდრებულან. კერძოდ, 1850-წლებში ხორხიდან გადმოსახლებულან: **ვაჟიკაშვილები** (3 ოჯახი) და **სუარიშვილები**. 1863 წელს ხორხიდანვე მიგრირებულა "ზაქარია ბეჟანის ძე სუარიშვილი", სოლო სოფელ იორიდან 1886 წ. - მჭედლიშვილი.

ფშავლებთან ერთად მოსახლეობდნენ მთიულები სოფელ ლახატოში, სადაც 1850-იან წლებში ხანდოდან მიგრირებულა დავითურების ოთხი ოჯახი. იმავე პერიოდში დასახლებულან ლახატოში **დარძულიძეები** და **წიკლაურები**. 1860 წელს კი მოსულა **ქარჩაიძე**.

მთიულ-გუდამაყრელები ცხოვრობდნენ აგრეთვე ერწო-თიანეთის სოფლებში: ბაადანში, ორხევში, სიონში (**მოთიაშვილი**, **პატაშური**, **გიგაური**, **ქავთარაძე**, **შარმიაშვილი**...), გორანაში (**წამალაშვილი**, **კაიშაური**), მელიასხევში (**პატაშური**, **წამალაშვილი**, **წიკლაური**). მელიასხევში მოსახლე წიკლაურები წარმოშობით გუდამაყრის სოფელ ბახანიდან არიან. ისინი XIXს-ის შუა ხანებში გადმოსახლებულან. მთხრობელის სიტყვით, "მთელი მთიელი ხალხი აიყარა და გადმოვიდნენ იქიდან. იქ აღარ უნდოდათ ცხოვრება. ერთი წამოსულა, მოსწონებია ადგილი და გადმოსახლებულან. ზურგით ეზიდებოდნენ ყველაფერს და იმიტომ გადმოვსახლდით".

სოფელ ტოლთსოფელში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ გუდამაყრის სოფელ ლუთხუბიდან მიგრირებული **წიკლაურები**. მათი ნაწილი ერწოში XX ს-ის 20-იან წლებში ჩამოსახლებულა: "იქ გვერდა ადგილები იყო, აქ ვაკე ადგილია და ამიტომ ჩამოვსახლდით. მოგვარეები ცხოვრობდნენ აქ. ეს ადგილი ნაყიდი ჰქონდათ მამა-ბიძებს. ცხვარი რომ ჩამოართვეს, მამულიც წაართვეს და გადმოსახლდნენ. ჩვენ ნაყიდობაზე ახლა 40-60 კომლი ცხოვრობს. იქ მთაგორიანი ადგილებია, მუშაობა ძნელია და ამიტომ გადმოსახლდა მთის ხალხი. მაგრამ მთის ხალხი გვჯობია ახლა ცხოვრებით. ახლა აქ ერთ ძროხას ძლივს ვინახავთ, ერთ ძროხას ძლივს ვაძოვებთ".

მთხრობელის პაპას XX ს-ის დასაწყისში სოფელ ტოლათსოფელში ადგილი თავადისაგან შეუძენია. საყურადღებოა ამ ოჯახის შესახებ ცნობები ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით: "დიდი ოჯახი გვქონდა. ოცდაათ კაცამდე ვიყავით ოჯახში. გვყავდა 7000 სულამდე ცხვარი, მერე გავიყარენით და 2000 სული შეგვხვდა. საქონელი 30 სულზე მეტი არ გვყოლია, ცხენი-80. ნაყიდობა რომ გვქონდა ერწოში გუდამაყრელ წიკლაურებს, მაშინ აქ მუდმივად არავინ არ ვცხოვრობდით. თავად ჩამოვდიოდით და ვახვნევინებდით, მუშახელს ვქირაობდით. აქ საქონელი ყავდა ხალხს და იმათ ვახვნევინებდით პურზე. ტოლათსოფელში მუდმივად იყო ოჯახით წამოსული მხოლოდ ჩვენი ბიძაშვილი და ის ადევნებდა თვალს აქაური მეურნეობის წარმოებას. ტოლათსოფელში მოწეული ჭირნახული მთაში მოჰქონდათ ოჯახში". ეთნოგრაფიული

თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ მიგრანტმა თავისი ადგილი და მიწა მთაში ბიძაშვილს დაუტოვა.

მთიულები მოსახლეობდნენ აგრეთვე ჯიხოში, მაჟალოიანში, უკუღმართში, საყაროულოში. ამ სოფლების მთიულები XX ს-ის 50-იან წლებში გარე კახეთის სოფელ სართიჭალაში გადასახლდნენ. სართიჭალაში ახლა ისინი ერწოს სოფლების მიხედვით უბნებად არიან დასახლკარებულნი. სიონის უბანში **ჭიკაიძეები** და **იორამაშვილები** მკვიდრობენ. სართიჭალაში გადასახლებამდე სიონში ჭიკაიძეების ექვსი კომლი ყოფილა. მთიულეთიდან სიონში გადმოსახლებულა მთხრობლის პაპა ციხელა, რომელსაც თავადისაგან ადგილი უყიდია. იორამაშვილები 15 ოჯახი იყო სიონში გადასახლებამდე. ისინიც ძირად მთიულები არიან. მათ ჭიკაიძეებთან ერთად უყიდიათ სიონში მიწა. საყარაულოში მოსახლეობდნენ ხადას ხეობიდან გადმოსახლებული **ბენიაიძეები** და **მიდელიაურები**.

სოფელ თრანში მოსახლე წიკლაურების უმეტესობა ძირად ხევსურია. მეორე ნაწილი კი გუდამაყრის სოფელ ლუთხუბიდან 1993 წელს მიგრირებულა: "ადგილმდებარეობა კლდეები, მთები იყო იქ და გადმოვედით მინდორზე. კახეთში იმიტომ არ დავსახლდით, რომ აქაური ჰაერი და მთის ჰაერი ერთი და იგივე იყო. ვეღარ ძლებდა მთის ხალხი ბარის ქვეყანაში". ვერ შეჰგუებია ბარის კლიმატს. მაგალითად დღეს მაგრანეთში მცხოვრები ბექაურების ხუთი ოჯახი. ისინი ჯერ კახეთის სოფელ თეთრწყლებში დასახლებულან, მაგრამ შემდეგ ერწოს (მთისწინეთი) სოფელ მაგრანეთში გადმოსულან საცხოვრებლად.

ზემოთ ითქვა, რომ დიდი რაოდენობით მოსახლეობენ მთიულ-გუდამაყრელები ზემო ნაქალაქარში. საინტერესოა, რომ ადგილობრივ ზემო ნაქალაქარს "მთიულთხევსაც" უწოდებენ. ერწოს მთიულობას მთიულთა საერთო სალოცავის "ლომისას" ნიში გადმოტანილი აქვთ სოფელ საყდრიონის მახლობლად. ობგაიძეებმა 1960-იანი წლების დასაწყისში "ლომისას" ნიში (ქვა და ჯვარი, პატარა დროშა) ჩამოიტანეს ზემო ნაქალაქარში. ამავე სოფელში, 1950-იან წლებში აფციაურებს გუდამაყრიდან გადმოუტანიათ თავიანთი საგვარო სალოცავის-“დუმაცხოს საღვთო მაღალის" ნიში. გუდამაყრის ძირითადი ხატის "პირიმზე ფუძის ანგელოზის” ნიში არის სოფელ ალოტის მახლობლად, რომელიც თავის დროზე გუდამაყრიდან მიგრირებულ წიკლაურებს გადმოუტანიათ.

ერწო-თიანეთში ხევიდან გადმოსახლებულებიც მკვიდრობენ, რომელთა მიგრაცია აქ განხორციელდა, როგორც XVIII, ისე XIX საუკუნეში. სოფელ გორანაში მცხოვრები **გუგუჩაშვილები** ხევიდან არიან გადმოსახლებულნი. ეთნოგრაფიული მასალებით, მათი ადრინდელი გვარია ელიაძე. "თათრის ომის შემდეგ სიონიდან მოსულა გუგუჩა (გუგუა). ქისტი შემოკვდომია და იმეებს გამოქცევია". ძირად მოხევეები არიან გორანელი **ბღარაშვილებიც**. ისინი დღესაც სალოცავად ყაზბეგში "სპარსის წვერის ანგელოზში" დადიან. გორანაში ხევიდან გადმოსახლებული სხვა გვარიც მკვიდრობს. გორანელი **ჯაბანაშვილების** ადრინდელი გვარია კურკუმელი. გადმოსახლებული არიან ხევის სოფელ ყანობიდან. ჯაბანაშვილები თავიანთ სალოცავად ასახელებენ "კობის წმინდა გიორგის" და "არყის წმინდა გიორგის" სოფელ ყანობში. ხევიდან არიან მიგრირებული სიმონიანთხეველი **მოხევიშვილები** და **ნაბიჯაშვილები**. ეთნოგრაფიული მასალებით, ისინი ერთმანეთის განაყრები არიან. სოფელ გორანის 1843 წლის აღწერაში შეყვანილი არიან "დავით მოხევე", "ბერო მოხევე",, "ზარიბეკ მოხევე", "ივანე ელიკაშვილი-მოხევე" (სცსსა, 254-1-2042). გასარკვევია

ისინი გორანაში დღეს მოსახლე სხვადასხვა გვარების წინაპრები არიან, თუ სიმონიანთხევში მოსახლე-მოხევიშვილების (ეს ორი სოფელი ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს).

ერწოსავე სოფელ საყდრიონში **რუხიაშვილების** გვარისანი მოსახლეობენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, რუხიაშვილებიც ხევიდან გადმოსახლებული კაცის შთამომავლები არიან. 1974 წელს 78 წლის მთხრობელისაგან ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით "ხევიდან აიყარნენ ჩხუბის გამო. ჩემი ჩათვლით ექვსი თაობაა, რაც წინაპარი გადმოსახლდა. რუხიაშვილების სალოცავია "კობის წმინდა გიორგი". ვინც გადმოსახლდა რუხია ერქვა და კაცის სახელზე დაეწერნენ. რუხიაშვილების მოგვარეები, განაყრები არიან **ცისკაროვები**. ისინიც მოხევეები არიან. ცისკარა და რუხია "ბიძაშვილები ყოფილან". ერწო-თიანეთში მოხევეთა მიგრაციის დამადასტურებელია რამდენიმე ამონაწერი XVIIIს-ის დასაწყისისა და 1801 წლის აღწერის დავთრებიდან: "მოხევე ივანე ბოგანო" XVIIIს. პირველ მეოთხედში ცხოვრობდა ჟალურს (ჯავახ. 1967. გვ.46). თიანეთის აღწერაში შეტანილია "გუგუჩაური ბაიდო", რომელიც ზემოხსენებული გუგუჩაშვილების წინაპარია. 1801 წ. აღწერაში "მოხევე ანდრია, "მოხევე გლახა, "მოხევიშვილი ივანე. ძმა ბერი და ბეჟან" (ბოჭორიძე, 1927, გვ. 144-145). ხევიდან გადმოსახლებული ზემოთ დასახელებული გვარები (გუგუჩაშვილი, ბღარაშვილი, ჯაბანაშვილი, მოხევიშვილი, ნაბიჯაშვილი, რუხიაშვილი, ცისკარაშვილი) შეყვანილი არიან XIX ს-ის ერწო-თიანეთის ყველა კამერალურ აღწერაში. ჯაბანაშვილების წინაპარი კურკუმელი კი 1821 წლის აღწერაშია აღრიცხული (სცსსა, 201-1-687). 1873 წ. ნადირაანთხევის აღწერაში სულიაურები არიან დასახელებული.

ასეთია ზოგადად მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაციის ეთნოისტორია ერწო-თიანეთში. ძირითად დასკვნებამდე მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ფშავ-ხევსურებთან შედარებით ერწო-თიანეთში მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაცია ნაკლებ ინტენსიური იყო, განსაკუთრებით XIX ს-ის წინა პერიოდში. ჯგუფური გადასახლების სახე მიეცა მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის ერწო-თიანეთში მიგრაციას XIX ს-ში.

თ ა ვ ი III.
მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაცია ქვემო ქართლში

საქართველოს პროვინციათაგან ყველაზე მეტი რბევა-აწიოკება, აოხრება, გაპარტახება, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ამოვარდნა (ამოწყვეტა თუ სხვაგან გადასახლება) შეიძლება ითქვას ქვემო ქართლმა განიცადა. მოშენდებოდა თუ არა ქვემო ქართლი მწარმოებელი მოსახლეობით, აღორძინდებოდა თუ არა ნასოფლარები, მას ახალი და ახალი უბედურება ატყდებოდა თავზე. თითქმის ამოვარდა მოსახლეობა ქვემო ქართლში XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად. XV ს-ის პირველ ნახევარში ალექსანდრე I-ის ღონისძიებების შედეგად საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად ქვემო ქართლიც ნაწილობრივ მოშენდა. იგი "უკაცრიელ ადგილებს" "კაცრიელ ადგილებად" აქცევდა; იზიდავდა მწარმოებელ მოსახლეობას სხვადასხვა მხრიდან და არც მთის ნამატ მოსახლეობას ივიწყებდა. XVI საუკუნე

უმძიმესი იყო ქართლისათვის. კახეთში კი ამ დროს შედარებით სიწყნარე იყო და აღმშენებლობითი ცხოვრება მიმდინარეობდა. ეს კი თავის მხრივ როგორც ქვემო, ისე შიდა ქართლის მოსახლეობის მიგრაციას იწვევდა კახეთში.

ქვემო ქართლის დემოგრაფიულ სიტუაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა აგრეთვე თავად ბარათაშვილთა სახლში მიმდინარე ბრძოლებიც (ჯამბურია, 1955, გვ. 78-79). ამ ფეოდალური ერთეულის აოხრებაში "მნიშვნელოვანი წილი უნდა მიუძღოდეს იმ ბრძოლებსაც, რომელიც წარმოებდა XVII ს-ის პირველი მეოთხედის ქართლში ტახტის პრეტედენტებსა და სპარსელების წინააღმდეგ" (ჯამბურია, 1955, გვ. 79). დიდ სამშენებლო სამუშაოებს ატარებდნენ ადგილობრივი ფეოდალებიც. მაგალითად ასეთ პიროვნებად ცნობილია ყაფლან ორბელიშვილი, რომელიც 1671 წელს გარდაცვლილა. მისი საფლავის ქვის ეპიტაფია გვამცნობს, ყაფლანის დიდი სააღმშენებლო სამუშაოების შესახებ: "ქ. წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა მე, ორბელის შვილმან ყაფლან, მეორეთ შევამკე მონასტერი ესე (საუბარია ფიტარეთის მონასტერზე, - რ.თ.) და ბარსა და მთაში მტრისაგან გაოჯრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელა (61). და ამას გარეთ შენი მამებარა სოფელი იზ(17) (ჩიტაია, 1926, გვ.119). ე.ი. სპარსეთიდან დაბრუნებულ ყაფლანს სათავადოს ტერიტორიაზე მხოლოდ 17 სოფელიღა დახვედრია, რომელშიც მოსახლეობა იყო. დანარჩენი დაცლილი იყო გლეხობისაგან და ამ პიროვნებამ 61 სოფელი ააღორძინა, 61 სოფელში სხვა მხრიდან მოიყვანა, თუ აქედან გაქცეული გლეხები უკან დააბრუნა. გ.ჯამბურიაც შენიშნავს, რომ "61 სოფლის "აშენება" დაახლოებით 40 წლის მანძილზე (1627-1671) არ არის პატარა საქმე ერთი სათავადოს ფარგლებში" (ჯამბურია, 1955, გვ. 79).

1721 წლის აღწერის მიხედვით ქვემო ქართლი ასე თუ ისე შედარებით მოშენებულია; მოსახლეობა თხლად, მაგრამ მაინც თითქმის ყველა სოფელში იყო განსახლებული. მაგრამ ამ მხარეს ხანგრძლივი მშვიდობა მაინც არ ეწერა. XVIII ს-ის პირველ ნახევარში ჯერ "ოსმალობამ" (1723-1735 წწ.) და შემდეგ "ყიზილბაშობამ" (1735-1747წწ.) მთლად გაავერანა ქვემო ქართლი. ოსმალობასა და ყიზილბაშობას თან ლეკიანობაც ერთვოდა. ასე რომ, XIX ს-ის დასაწყისს საქართველოს ეს კუთხე დემოგრაფიულად განადგურებული შეხვდა.

აქედან გამომდინარე ქვემო ქართლი და მისი მოსახლეობა ქართულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ჯერ კიდევ 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერის დავთარი. შემდეგ უნდა დავასახელოთ იას. ლორთქიფანიძის ოთხ წიგნად დაბეჭდილი ნაშრომი (1935, 1938). ეთნოგრაფთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ.ბოჭორიშვილის გამოკვლევას ქვემო ქართლის ერთ-ერთი ხეობის-ალგეთის მოსახლეობის შესახებ, რომელშიც უნიკალური ეთნოგრაფიული მასალაა თავმოყრილი აქ მოსახლე გვარების სადაურობა-წარმომავლობის შესახებ (ბოჭორიშვილი, 1956, გვ. 160-173). ქვემო ქართლის ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის შესწავლის ცდა აქვს მოცემული ჯ.სონღულაშვილს. ამავე დროს ავტორი აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის მიგრაციას შეეხო მთიანი რეგიონებიდან.

XIXს-ის დასაწყისიდან, ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ, შესაძლებლობა შეიქმნა ქვემო ქართლში მოსახლეობის მიგრაციისა. ამ მხარის "უკაცრიელი ადგილების" "კაცრიელ ადგილებად" ქცევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს მთიანეთის მოსახლეობამაც, კერძოდ, შიდა

ქართლის მთიელებმა (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ქსნისხევი), თუმცა, როგორც ჩანს, ქართველი მთიელებით ამ მხარის აღორძინება წინა საუკუნეებშიც ხდებოდა. მაგალითად 1776 წლის ერთი განჩინება გამოგვადგება, რომლითაც "სარდალ-სალთხუცესი ორბელიანი დავით და ამილახორმდივანბეგი იესე ორს კომლს სისვაურს დავითსა და თევდორეზედ ჩიოდნენ" (ქსძ, 1974, გვ. 10-11). ორბელიანი დავითი ჩივის, რომ ჩემი ორი კომლი სისვაური "ზემო ქართლს იდგნენ (ე.ი. გადასახლებული, აყრილი იყვნენ ქვემო ქართლიდან) და იქიდან ვიმსახურებდით". სოფელ კოდის აშენებას მივყევი ხელი და ზემო ქართლში ვინც კი მყავდა ყმა, ყველანი ავყარე და წამოვიყვანე და კოდაში დავასახლე, მათ შორის სისვაურებიო. სისვაურებმა კი "აყრა იწყინეს და ამილახორის ყმობა დაირქვესო". ამილახორიც იჩემებდა სისვაურებს და პასუხობდა, რომ "სისვაური დავითა და თევდორე ჩემი მემკვიდრე ყმანი არიანო, ნაწრეტს ნასახლებიო". ამჯერად ჩვენ არ გვაინტერესებს თუ უშუალოდ მართლაც ვისი ყმები იყვნენ სისვაურები, ორბელიანის, თუ ამილახვრის. საბუთიდან აშკარად ჩანს საქართველოში მთის მოსახლეობის ბარში მიგრაცია. ცხადია, რომ ქართველი მთიელი სისვაურები თავდაპირველად არც ორბელიანის და არც ამილახორის ყმები არ იქნებოდნენ. მთიდან გადმოსახლებულნი ხან შიდა ქართლში სახლდებიან და ხან ქვემო ქართლში. აყრილი და გაქცეული გლეხები, რომ მართლაც ბევრი ჰყავდათ ორბელიანებს აშკარაა. იას. ლორთქიფანიძის გამოანგარიშებით 1721 წლის აღწერით საყაფლანიშვილოში აღწერილი მოსახლეობის 29% აყრილი იყო (ლორთქიფანიძე, 1938, გვ. 109).

შიდა ქართლის მოსახლეობის და საერთოდ მთიელთა მიგრაციის დამადასტურებელი უნდა იყოს ქვემო ქართლში ტოპონიმებიც, რომელთაგან, პირველ რიგში "დვალთა" შეიძლება დავასახელოთ, რომელიც XIV-XV სს-ში მიგრაციაქმნილი ტოპონიმია დვალების დვალეთიდან აყრის დროს, როდესაც მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსები აწვებოდნენ. აქვე იყო სოფლები: წინანაური (შდრ. "ანანური" არაგვის ხეობაში); წობა (ქციის ხეობაში. შდრ. "წობენი" არაგვის ხეობაში); ზემო ოძისი (ოძისი გვაქვს ქსნის ხეობაში), ხოზეთი (ხოზუეთი-ქსნის ხეობის მთაში), წიფორი (დმანისის ხეობაში. წიფორი შიდა ქართლის მთაში ორი გვქონდა, ერთი მთიულეთში და მეორე პატარა ლიახვის ხეობაში, რომელიც მოგვიანებით ოსებმა "ჩიფრანად" აქციეს), ერწო (ერწო ივრის ხეობის მთისწინეთში. საყურადღებოა, რომ 1721 წლის აღწერით ქვემო ქართლის სოფელ ერწოში ჩეკურაშვილების გვარი მკვიდრობდა, რომლებიც ივრის ხეობის ტაფობის-ერწოს ძირძველი მკვიდრნი იყვნენ. აქ ტოპონიმის მიგრაცია, რომელიც მოსახლეობის მიგრაციით იყო გამოწვეული, ეჭვს არ უნდა იწვევდეს). თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სეხნია ტოპონიმები ყოველთვის ქვემო ქართლში მოსახლეობის მიგრაციის დამადასტურებელი არ უნდა იყოს, ზემოთ ხომ ითქვა, რომ ქვემო ქართლიდან სხვადასხვა მიმართულებით მთელი გვიანშუასაუკუნეების მანძილზე მწარმოებელი მოსახლეობის აყრა-გადასახლება ხდებოდა.

ქვემო ქართლში მთიულ-გუდამაყრელებით დასახლებული სოფლები ძირითადად გვხვდება თრიალეთის ქედზე, როგორც მის ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კალთებზე. ამ თავშიც ძირითადად შესწავლილია ამ რეგიონში მთიელთა მიგრაცია.

ბეჩიანთსოფელში 1873 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით (სცსსა, 254-3-239) მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებულები

მკვიდრობდნენ 12 კომლის რაოდენობით (104 სული). ძირითადად ჭარბობდნენ გუდამაყრელები. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ მთიულები ბეჩიანთსოფელში ძირითადად მიგრირებულნი იყვნენ XIX ს-ის პირველ ნახევარში, თუმცა მათი აქ მიგრაცია არც XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეწყვეტილა. ზემოთ აღნიშნული კამერალური აღწერის მონაცემებით, ბეჩიანთსოფლის მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებულ გვარებს შორის შეიძლება დავასახელოთ: **აფციაურები** (2 კომლი), **ბექაურები** (2 კომლი), **წიკლაურები** (2 კომლი), **ბუბუნაურები** (1 კომლი), **ოგბაიძეები** (2 კომლი). ჩამოთვლილთ 1869 წელს კიდევ დაემატათ თითო ოჯახი ოგბაიძე და ბექაური. ეს უკანასკნელნი, როგორც გადმოგვცემენ, გუდამაყრის სოფელ ცუცქუნაურთიდან იყვნენ მოსული. ბეჩიანთსოფელში მოსახლეობდა აგრეთვე ჭართლიდან გადმოსახლებული **გიგაურების** ორი კომლი.

არაგვის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი ქვემო ქართლის სოფელ ვანეთის (დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონი) მკვიდრნი, რომელთა აქ მიგრაცია XIX საუკუნის შუა ხანებში მომხდარა. ამ დროს აქ გადმოსახლებულ მთიელ-გუდამაყრელებს (**წამალაშვილები**, **ზაქაიძეები**, აფციაურები) 1868 წელს დაემატა მთიულეთის სოფელ გოგნაურთიდან გადმოსახლებული **კედელაშვილის** ერთი ოჯახი.

ოთხო კომლი **კედელაშვილი** მოსახლეობდა ქვემო ქართლის სოფ. ვარდისუბანში (ანუ შავსაყდარში). სამი მათგანი ადრინდელი გადმოსახლებული ჩანს, ხოლო ერთი ოჯახი 1867 წელს გადმოსახლებულა გარე კახეთის სოფელ კაკაბეთიდან. ამ შემთხვევაში ჩვენ მეორად გადასახლებასთან გვაქვს საქმე. ცნობილია, რომ კედელაშვილები მთიულეთის სოფელ გოგნაურთის მკვიდრნი იყვნენ.

დღევანდელი თეთრი წყაროს სოფ. ვაშლოვანში ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად ცხოვრობენ ჭართლიდან გადმოსახლებული **გიგაურები** (1873 წელს-სამი ოჯახი). მათ შორის ორი ოჯახი მეორე გვარითაც (**გიჟბერაშვილი**) მოიხსენიება, რაც ერთეული შემთხვევაა ქვემო ქართლში XIX საუკუნეში გადმოსახლებულ მთიელთაგან გვარსახელის შეცვლისა. საერთოდ, წინა საუკუნეებში მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციას არცთუ იშვიათად მოსდევდა გვარის შეცვლა, რაც გარკვეული სოციალური ფაქტორებით იყო განპირობებული. შიდა ქართლის მთიანეთიდან სოფ. ვაშლოვანში სხვა გვარებიც იყვნენ გადმოსახლებული, მაგალითად, **ხადურები** (XIX ს-ის პირველ ნახევარში). ხადურების თავდაპირველი საცხოვრისი ლიახვის ხეობაა.

დღევანდელი თეთრწყაროს რაიონის სოფელ ღვევში 1873 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით მკვიდრობდნენ გუდამაყრიდან და ხანდოდან მოსული გვარები. გუდამაყრელი **წიკლაურები** ორი კომლი იყვნენ, **აფციაურები**-შვიდი, ხანდოელი **მელიქიშვილები** კი ორი. ამავე სოფელში მოსახლეობდა **ზანგურაშვილების** ორი ოჯახი, რომლებიც ქსნისხევიდან იყვნენ მიგრირებული. დასახელებული გვარების ქვემო ქართლში მიგრაცია XIXს-ის 30-იან წლებში მომხდარა.

ალგეთის ხეობის სოფელ გოლთეთში ძირითადად შიდა ქართლის მთიანი ზონიდან (ქსნის ხეობა) გადმოსახლებულნი მკვიდრობენ. შეიძლებოდა დაგვესახელებინა: **ტიკურიშვილები** (1873 წლის მონაცემებით სამი კომლი), **ხრიკულაშვილები** (ორი კომლი), **ბასილაშვილები** (სამი კომლი), **მახარაშვილები** (ორი კომლი) და სხვ. მათი აქ გადმოსახლება XIX ს-ის 40-50-იან წლებში

მომხდარა. გადმოსახლების შემდეგ ზოგიერთი გვარსახელი - შვილი ფორმანტით გაფორმდა. ქსნის ხეობის სოფ. წირქოლსა და ქურთაში მოსახლენი ხრიკულის გვარს ატარებდნენ, გოლთეთში დასახლების შემდეგ კი ხრიკულიშვილებად დაეწერნენ.

სოფელ გოლოეთში სხვებთან ერთად ცხოვრობენ **ბეკარაშვილები**, რომლებიც **მახარაშვილებთან** ერთად, წირქოლიდან გადმოსახლებულან. ბეკარაშვილების ძირი-გვარი ძელყორაშვილი ყოფილა. ძელყორაშვილების გვარიდანაა გამოყოფილი აგრეთვე **ბიტიაშვილების** გვარი. ქსნის ხეობაში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, ძელყორაშვილები თავის მხრივ **გუთნიაშვილების** გვარიდან გამოყოფილან (თოფჩიშვილი, 1987,გვ. 39), ხოლო ქვემო ქართლელი ბეკარაშვილები თავდაპირველ გვარად **ირემაშვილს** ასახელებენ. მთხრობლის თქმით, ბეკარაშვილები ბოლო დრომდე დადიოდნენ სალოცავად ქსნის ხეობაში: "პაპაჩემს თედოს ყავდა კურატი. ის წირქოლისათვის შეუთქვია. ეს კურატი 5-6 წლის გამხდარა, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, არ წაუყვანიათ ხატში. ხარი გოლთეთის ტყეში გავარდა, კბენა ისწავლა. გავარდა ნადირივით. იმიტომ გავარდა კურატი, რომ თავის დროზე არ წაიყვანეს ხატში. თედომ უთხრა თავის შვილს, წადი, თუ დაიჭირე, დაიჭირეო, თუ არა და ესროლე თოფი და სოფელში მაინც დავარიგოთ ხორციო. კურატი მამაჩემს დაუჭერია მეზობელი **ბეჟუაშვილის** დახმარებით (ბეჟუაშვილებიც წირქოლიდან იყვნენ მოსული). წასულან ჩვენები ამ კურატით წირქოლში. იმავე დღეს ვერ მოასწრეს მისვლა და მეორე დღეს მივიდნენ. სოფლის პირზე მისალოცია და იქ დაუკლავთ. სალოცავში არ დაუკლავთ, ზევით. მამა-შვილებს ტყავი წამოუღიათ სალოცავიდან. ოთხად გაუყვიათ ტყავი მამასა და მის სამ ვაჟს. ამოისხეს ქალამნები და იმით დადიოდნენ. მამაჩემი დაინიშნა. მეც კარგად მახსოვს, რომ დედაჩემს გულისწასვლა ჰქონდა. მკითხავთან წავიდნენ. მკითხავთან ბევრი ხალხი ყოფილა. როცა მისულან, მკითხავს დაუძახია, ყველაზე გაჭირვებული ეგ არის და პირველი მოვიდესო. შესულა დედაჩემი და მკითხავს დაუყვირია: "მე ვარ წირქოლის წმინდა გიორგიო, ვერა გტანჯამ, ვერა გხრუკავო?! შენ ქმარს, ვისაც გული ეწვის, იმის გულისათვის გტანჯამო. შენმა ქმარმა, ვინც კურატი მოიყვანა, დაკლაო და ტყავი წამოიღო, ფეხზე ქალამნად ჩაიცვესო; როგორც ძაღლის ხორცი არ მიმიღია, ისე ამის ხორციო. წადით, წაიყვანე ცხვარი წითელი ბანტითაო და ფეხშველა ფეხით შემოუარეთ. მოვიდა დედაჩემი (დედა იყო ღოუბნელი ქალი, გვარად ყელბერაშვილი) და თქვა: მკითხავმა ასეთი რამ მითხრაო; წირქოლი სად არის, არაფერი ვიციო. მამაჩემს გაახსენდა, რომ სწორია ყველაფერი, რაც უთქვიათ. წაიყვანეს ცხვარი ჩემს ხსოვნაში, დაკლეს და მორჩა და მორჩა. იქ ცხვრის დაკვლა და მორჩენა ერთი იყო. იმის შემდეგ მიდიოდნენ 2-3 წელიწადში ერთხელ, ხუთწელიწადში მაინც, როგორც მოუხდებოდათ. ცხვარი მიგვყავდა ხოლმე. ერთხელ კიდევ ერთი წლის მოზვერი ვიყიდე და თვითონ წავიყვანე" (მიხეილ ვლადიმერის ძე ბეკარაშვილი, 68 წლის, 1979 წელი).

ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალიდან კარგად ჩანს, სალოცავის საშუალებით, როგორ ინარჩუნებდა კავშირს მიგრანტი მოსახლეობა და მათი შთამომავლობა წინაპართა საცხოვრისთან. ეს გარემოება მთაში დარჩენილ ნათესავ-თანამოგვარეებთან ურთიერთობასაც უწყობდა ხელს.

1873 წელს სოფელ გოხნარში სამი კომლი მკვიდრობდა, რომლებიც 1867 წელს მთიულეთიდან იყვნენ მოსული: **ებრალიძე**-სოფ. სეფედან და **ქავთარაშვილები** (იგივე ქავთარაძე) ჭართლის სოფელ ვაშლოვანიდან. პატარა

ენაგეთში ცხოვრობდა მთიულეთიდან მიგრირებული **აბულაძეების** ერთი კომლი.

დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ზირბითში 1873 წელს მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებული ექვსი ოჯახი მკვიდრობდა. ერთი კომლი, გვარად **მძელური**, მოსული იყო ხადას ხეობიდან, ხოლო **წიკლაურები** (ოთხი ოჯახი) და **აფციაურები** (ერთი ოჯახი) - გუდამაყრიდან. ეს გვარები ზირბითში XIXს-ის პირველ ნახევარში დამკვიდრებულან.

მთიულ-გუდამაყრელები XIX საუკუნის შუა ხანებში დასახლებულან მანგლისშიც. შეიძლება დავასახელოთ შემდეგი გვარები: აფციაური (1873 წელს შვიდი კომლი), **წიკლაური** (ოთხი კომლი), **ოგბაიძე** და **ქავთარაძე** (თითო კომლი).

შიდა ქართლიდან იყო გადმოსახლებული მოსახლეობა სოფ. ნამტვრევანში. გუდამაყრიდან აქ იყვნენ მოსული: **წიკლაურები** (1873წ.-2 ოჯახი), **აფციაურები** (3 ოჯახი), **იგრიაულები** (ერთი ოჯახი). მთიულეთიდან ნამტვრევანში მოგრირებულა **ქავთარაშვილების** ოჯახი. აქვე მოსახლეობდა ფშავიდან გადმოსახლებული **გაბიდაური**. მთიელთა ნამტვრევანში მიგრაცია XIX ს-ის შუა ხანებამდე მომხდარა.

სოფელ წავკისში 1873 წელს ოთხი ოჯახი **დორეული** მოსახლეობდა, რომელთა თავდაპირველი საცხოვრისიც შიდა ქართლის მთიანეთის ქსნის ხეობის შენაკად ჭართულას ხეობაა. დორეულები წავკისში XIXს-ის შუა ხანებში დამკვიდრებულან.

ქვემო ქართლის სოფელ წვერში 1873 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით მოსახლეობდნენ ხანდოდან გადმოსახლებული **მელიქიშვილები** (ოთხი კომლი) და **ჯანიაშვილები** (1 კომლი). აქვე მკვიდრობდნენ გუდამაყრელი **წიკლაურები** (ორი ოჯახი). ყველა ჩამოთვლილი გვარი წვერში XIX ს-ის პირველ ნახევარში დამკვიდრებულა.

საკვლევი რეგიონიდან იყო მოსული მოსახლეობა და დამკვიდრებული აგრეთვე სოფელ წყრულეთში. შეიძლება დავასახელოთ: **აფციაურები** (1873 წელს ორი ოჯახი), **ჩოხელები**, **ძელურები** (**ძელურიშვილები**). ჩამოთვლილი გვარები წყრულეთში XIX ს-ის პირვლ ნახევარში დამკვიდრებულან. მაგრამ მთიულ-გუდამყრელთა წყრულეთში დამკვიდრება XIX ს-ის მეორე ნახევარშიაც გრძელდებოდა. ორი ოჯახი **შარუმაშვილი** (იგივე **შარმაიძე**) მიგრირებულა წყრულეთში 1869 წელს. წყრულეთის მკვიდრები იყვნენ აგრეთვე მთიული **ნაზღაიძეები**. XX ს-ის 50-იან წლებში ეს სოფელი დაიცალა მოსახლეობისაგან.

სოფ. ჩხიკვთაში, ადგილობრივ ქართველებთან ერთად 1873 წლის მონაცემებით, ცხოვრობდა **გაგელიძეების** ოთხი ოჯახი. გაგელიძეების სამკვიდრებელი ქაისხევი იყო, სადაც ისინი გუდამაყრიდან იყვნენ მოსული.

ქვემო ქართლში მთიულ-გუდამაყრელებით დასახლებულ ერთ-ერთ მოზრდილ სოფელს შამთა წარმოადგენდა, რომელთა აქ 'ჩამოსახლება მიმდინარეობდა, როგორც XIX საუკუნის პირველ, ისე მეორე ნახევარში. მთიულეთიდან მხოლოდ ერთი გვარი - **ნარიმანიძე** იყო გადმოსახლებული, დანარჩენები გუდამაყრიდან იყვნენ მოსული: ბექაურები, **წიკლაურები** და **აფციაურები**. ყველა ჩამოთვლილი გვარი შამთაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში დამკვიდრებულა. მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა, აქ მათი მიგრაცია შემდეგაც გრძელდებოდა. მაგალითად, 1870 წელს შამთაში გუდამაყრის სოფელ ფახვიჯიდან გადმოსახლებულა გიორგი იგრიაული, 1868 წელს გუდამაყრისავე

სოფელ დიხჩოდან-გიორგი წიკლაური; ერთი წლით ადრე ხანდოდან-ივანე გვრიტიშვილი. გუდამაყრელი გლახა წიკლაური 1865 წელს შამთაში უშუალოდ გუდამაყრიდან როდი მოსულა, არამედ გორის მაზრის სოფელ ბოდენიდან. ამავე მაზრის სოფელ თხილნარიდან 1875 წელს კიდევ თითო კომლი წიკლაური და აფციაური მიგრირებულა, რომლებიც, სხვათაშორის, ოთხი წლის შემდეგ, 1879 წელს, ისევ უკან თხილნარში დაბრუნებულან. 1875 წელს შამთაში თხილნარადან გადმოსახლებულა შალვა ბექაური, რომელიც ასევე უკან წასულა 1879 წელს.

თრიალეთის ქედზე სოფელ ბოტისში 1873 წლის აღწერით მოსახლეობდნენ გუდამაყრიდან მიგრირებულები: **ბექაურები** (ორი კომლი), **აფციაურები** (სამი კომლი). აქვე ცხოვრობდა ხანდოდან გადმოსახლებული **მელიქიშვილების** ერთი ოჯახი. სოფ. ბოტისში მთიელთა დასახლკარება XIX ს-ის შუა წლებში მოხდა. ბოტისშივე 1872 წ. მთიულეთიდან მოსულა ალექსი ქავთარაძის კომლი.

შიდა ქართლის მთიანეთიდან მიგრირებულნი მკვიდრობდნენ სოფელ ვარჩაანთხევში. ეს სოფელი ძირითადად 1861 წლიდან მოშენებულა. 1861 წელს ვარჩაანთხევში გუდამაყრიდან გადმოსახლებულა ნინია წიკლაური, 1863 წელს - ბუა წიკლაური, 1865 წელს - გიორგი წიკლაური, 1868 წელს - ივანე და ხვედია წიკლაურები, 1865 წელს - მამუკა წიკლაური. 1866 წელს მთიულეთის სოფელ კობათიდან გადმოსახლებულა გლახა კობაიძე. ქსნის ხეობის სოფელ ალევიდან 1861 წელს მიგრირებულა დავით ბუთხუზი. 1853 წელს ჭართლიდან მოსულა ბეწინა გიგაური, გუდამაყრიდან 1861 წელს-დავით და ბღარია ბექაურები, 1868 წელს - ნინიკა ბექაური, ქსნის ხეობის სოფელ ყველდაბიდან - ზაქარია გიგაური, გუდამაყრიდან 1868 წელს - მანგია გიგაური, გლახა ოგბაიძე 1864 წელს გოგნაურთიდან და ბერი ბექაური გუდამაყრიდან 1870 წელს. ამ სოფელში 1873 წელს შიდა ქართლის მთიანეთიდან მოსული 25 კომლი მკვიდრობდა (164 სული). ვარჩაანთხევში მთიელთა მიგრაცია შემდეგაც გრძელდებოდა. 1870-იან და 1880-იან წლებში აქ დასახლებულან: აფციაურები (ორი ოჯახი), ყველაშვილები... თრიალეთის ქედზე სოფელ გარგალში მკვირობენ მთიულ-გუდამაყრელები. აქ ისინი ძირითადად 1860-იან წლებში მოსულან. 1867 წელს ჭართლიდან მოსულა ქავთარაშვილების ორი კომლი და კობაიძეების ერთი ოჯახი. იმავე წელს ხორხიდან გადმოსახლებულან გუდამაყრელი აფციაურები (ორი ოჯახი) და წიკლაურები (ერთი ოჯახი) და ხანდოელი ჯანიაშვილები. 1870-იან წლებში მათ დაემატნენ: ქავთარაშვილები (ორი კომლი), ჯანიაშვილები (ორი კომლი) და წიკლაურები (ერთი კომლი).

თრიალეთის ქედზე სოფ. გოსტიბეშიც **წიკლაურები**, **ქავთარაძეები**, **აფციაურები** ცხოვრობდნენ. მათი აქ დასახლება 1866 წელს დაწყებულა. ამ დროს მოსულან: დიდება წიკლაური, მამუკა წიკლაური, მწარია წიკლაური (გუდამაყრიდან), პატარა აფციაური (გუდამაყრიდან), იოსებ ქავთარაშვილი ჭართლიდან 1872 წელს. გოსტიბეში მთიულეთის სოფელ ქავთარანიდან 1870 წელს გადმოსახლებულა იოსებ ქავთარაძე, ჭართლიდან-ბეწინტურ ქავთარაშვილი. 1873 წლის შემდეგ გოსტიბეში კვლავ გადმოსახლდნენ ზემოთ დასახელებული გვარები: წიკლაურები (ორი კომლი), აფციაურები (ორი კომლი) და ქავთარაშვილები (ერთი ოჯახი).

გოსტობეს მახლობლად მდებარეობდა სოფელი გოგოთი. ამ სოფლის პირველი მოსახლე ყოფილა ურჯუკა მიგრიაული სოფ. წინკარიდან (ფშავი). აღნიშნული კომლი გოგოთში 1833 წელს დამკვიდრებულა. მიგრიაულების ორი

კომლი გოგოთში 1870 წელსაც მოსულა. 1861 წელს აღნიშნულ სოფელში ფშაველი ივანე გოგოლაური დაფუძნებულა. ამავე წელს თბილისის მაზრის სოფელ მოხისიდან საცხოვრებლად გადმოსულა გუდამაყრელი თორღვა ჩოხელი. 1889 წელს გოგოთში წინკარიდან ბატარაშვილების სამი ოჯახი დამკვიდრებულა, აგრეთვე, მიგრიაულები (ორი კომლი), გიგაურები და აფციაურები.

1873 წლის მონაცემებით მთიელები ცხოვრობდნენ სოფელ ზენუბანში: **წიკლაურები** (3 კომლი), **იგრიაული** და **გოგოლაური**. ეს გვარები აქ XIX ს-ის შუა ხანებში იყვნენ მოსული.

თრიალეთის ქედზე სოფ. ზვარი-კოდმანში გუდამაყრელები იყვნენ გადმოსახლებული სოფელ დუმაცხოდან: **წიკლაურები** (სამი კომლი) და **აფციაურები** (ერთი კომლი).

სოფელ იურაში 1873 წელს ხუთი ოჯახი **ჩოხელი** ცხოვრობდა, რომლებიც ძირითადად მანასეულიდან იყვნენ მოსული. აქვე 1868 წელს დამკვიდრებულან მთიული **მაჩურიშვილები** (ერთი კომლი) სოფელ ხარხეთიდან და 1868 წელს - **ჩოქურები** სოფელ ჩოქურთკარიდან (იგივე ხარხეთი). 1868 წელსვე ერთი ოჯახი ფშაველი გოგოლაურიც დამატებიათ.

მთიულები მოსახლეობდნენ თრიალეთის ქედის კიდევ ერთ სოფელში, კაბერში. 1858 წელს კაბერში ჭართლიდან დამკვიდრებულან **კობაიძეები** (ორი ოჯახი). აქედანვე, ამავე პერიოდში მოსულა **ქავთარაშვილები** სამი ოჯახი და **ბურდულების** ერთი ოჯახი. ხორხიდან კი იმავე წელს საცხოვრებლად გადმოსულა ერთი კომლი **აფციაური**.

სოფ. მერიაში (თრიალეთის ქედი) ოთხი ოჯახი (33 სული) მთიულ-გუდამაყრელი მკვიდრობდა, რომელთაგან სამი 1853 წელს გადმოსახლებულა: **ნარიმანიძეები**-ჭართლიდან, **ქავთარაშვილები**-ჭართლიდან, **წიკლაურები**-ხორხიდან. აღნიშნულ სოფელში 1866 წელს მიგრირებულა გუდამაყრელი ნინია ჩოხელი.

შიდა ქართლის მთიელები მკვიდრობდნენ სოფელ ნატბეურში. ისინი აქ XIX ს-ის შუა ხანებში გადმოსახლებულან. გუდამაყრელი **ბექაურები** (სამი კომლი) და **წიკლაურები** (შვიდი კომლი) და ჭართლელი **გიგაურები** (სულ 11 კომლი, 80 სული).

1873 წელს პარეტისში ორი კომლი ცხოვრობდა და ორივე მთიულეთიდან იყო მოსული: **ბედოიძე** გიგილა 1863 წელს დასახლებულა სოფ. ბედონიდან, **კობაიძე** ტეტია კი 1866 წელს-კობათიდან. სოფ. სამტრედოში 1873 წელს სამი კომლი მოსახლეობდა, სამივე გვარად კობაიძე და ისინი ერთდროულად გადმოსახლებულან მთიულეთის სოფელ კობათკარიდან (ჩორიკიდან) 1868 წელს (24 სული).

სოფელ სანაანთუბანში 1873 წელს გუდამაყრელები (**ჩოხელი** და ბექაური) და მთიულები (ბურდული) მოსახლეობდნენ. ჩოხელი და ბექაური აქ 1868 წელს მოსულან გუდამაყრიდან, ხოლო ბურდული-1871 წელს მთიულეთიდან.

სოფელ სათოვლიაში (თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე) სამი ოჯახი ცხოვრობდა და სამივე შიდა ქართლის მთიანეთიდან იყო გადმოსახლებული. XIX ს-ის შუა წლებში **ზაქაიძეები** გადმოსახლებულან სოფელ კაიშაურებიდან, **ქავთარაშვილები** - სოფ. სეფედან და **თორელაშვილები**-გუდამაყრიდან.

თრიალეთის ქედზე მდებარეობდა სოფელი საკურთხისი. 1873 წელს საკურთხისში მთიდან მოსული ათი კომლი (81 სული) ცხოვრობდა. ესენი იყვნენ

XIX ს-ის შუა ხანებში გადმოსახლებული **წიკლაურები** (ოთხი ოჯახი) - გუდამაყრიდან და **ჯანიაშვილები** (ორი ოჯახი) - ხანდოდან. საკურთხისში 1866 წელს გადმოსახლებულან **ჩოხელები**, 1869 წელს - **ზაქაიძეები** და **წიკლაურები**, 1872 წელს-**ბექაურები**.

XIX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდნენ მთიულ-გუდამაყრელები სოფელ სალომეში (თრიალეთის ქედზე): **აფციაურები** და **ზამთრეულები**. ზამთრეულები სალომეს მეზობელ სოფელ სამოჭალაშიც მკვიდრობდნენ. ოღონდ ისინი სამოჭალაშიც სალომედან იყვნენ გამოსახლებული 1866 წელს. გარდა დასახელებული გვარისა, სამოჭალოში მკვიდრობდნენ აგრეთვე გუდამაყრელი **აფციაურები** და **სისაურები** ხადას ხეობიდან. ამ ორი გვარის თრიალეთის ქედის აღნიშნულ სოფელში მიგრაცია XIX ს-ის პირველ ნახევარში მომხდარა. XVIIIს-ის უკანასკნელ მეოთხედში გვარსახელი ზამთრეული, მთიულეთში უკვე აღარ გვხვდება. ისინი ამ დროს აქედან უკვე გადასახლებულნი არიან. მთიულეთში შემორჩენილია მათი ნასოფლარი "ზამთრეულის" სახელწოდებით, სადაც მდებარეობდა მთიულეთის Eერთ-ერთი დიდი და ცხვატის თემის სალოცავი "ცეცხლიჯვარი".

სოფელ ტყემლოვანში 1873 წლის მონაცემებით შვიდი კომლი (62 სული) მთიულ-გუდამაყრელი მოსახლეობდა. ექვსი მათგანი აქ ერთდროულად 1867 წელს გადმოსახლებულა: **კობაიძეები** მთიულეთის სოფელ კობათკარიდან, **ბურდულები** (2 კ.) - მლეთიდან, **აფციაურები** (2 კ.) - გუდამაყრიდან და ორი კომლი ხანდოელი **ნათობიძე**. ნათობიძეთა ერთი ოჯახი ტყემლოვანში 1867 წელს მიგრირებულა, მეორე - 1869 წელს.

ერთი კომლით იყო წარმოდგენილი 1873 წელს თრიალეთის ქედზე სოფელი თეკნელა. XIX ს-ის შუა ხანებში აქ მთიულეთის სოფელ სეთურთკარიდან **სეთურიძეები** გადმოსახლებულან.

სოფელ ტუსრეტში ქსნისხეველები იყვნენ მიგრირებული. 1863 წელს ქარჩოხიდან **პავლიაშვილები** მოსულან, 1866 წელს გრუდან-**ნადიბაიძეები**, 1860 წელს ცხრაზმიდან-**ყველაშვილები** (სამი ოჯახი), 1861 წელს ჭართლიდან-**გიგაურები**.

სოფ. ხირიკში 1873 წელს მთიელების სამი ოჯახი ცხოვრობდა. 1866 წელს ქართლიდან **ჭიკაიძე** მოსულა და 1867 წელს გომეწრიდან ორი ოჯახი ფშაველი **გოგოლაური**.

თრიალეთსავე ქედზე სოფელ წიფორში 1873 წელს რვა ოჯახი გუდამაყრელი **წიკლაური** და ერთი ოჯახი **ბექაური** მკვიდრობდა. ყველა ისინი ერთდროულად გადმოსახლებულან გუდამაყრიდან 1869 წელს.

1873 წელს შუბათში 16 კომლი (101 სული) გუდამაყრელი ცხოვრობდა, მათ შორის, **წიკლაურების** ხუთი ოჯახი, რომელთაგანაც სამი XIX ს-ის პირველ ნახევარში გადმოსახლებულა, ორი კი შედარებით გვიან, 1868 წელს. ამავე სოფელში **ბექაურების** ოთხი კომლი XIX ს-ის პირველ ნახევარში მიგრირებულა. XIX ს-ის პირველ ნახევარში დასახლკარებულა შუბათში ჭართლელი **გიგაურების** ორი ოჯახიც, ერთი კომლი გიგაურებისა კი 1868 წელს მიგრირებულა. **აფციაურების** ერთი ოჯახი გუდამაყრიდან 1862 წელს დასახლებულა, სამიც-1870 წელს. 1868 წელს შუბათის მკვიდრი გამხდარა გუდამაყრელი **ჩოხელების** ერთი კომლი. შუბათი დღეს ნასოფლარია. მისი მოსახლეობა XX ს-ის 20-30-იან წლებში ვერეს ხეობის სხვადასხვა სოფლებში გაიფანტა. ორბეთელი მთხრობლი **მელიქიშვილის** თქმით, "მელიქიშვილები ხანდოდან არიან წამოსული. მამაჩემი

ორბეთში კასპის რაიონის სოფ. შუბათიდან არის გადმოსული. ცუდი საცხოვრისი იყო, რომ ნახო, იტყვი: როგორ ცხოვრობდნენო. ეხლა აღარავინაა იქა. შუბათიდან პაპა გადმოსახლდა, ბიჭუნა ერქვა. შუბათში იყო სალოცავები: პირიმზე და დიდგორი, ორბეთში გვაქვს ადგილის დედა, წმინდა გიორგი, კვირაცხოველი. მელიქიშვილები ფასანაურის მხრიდან არიან მოსული. მთელი პანტიანი მელიქიშვილებია. სალოცავად კიდევაც დადის ხალხი მთაში. ხუთი წლის კურატი მყავდა, დიდ ლომისაში, მლეთაში დავკალი. მე და ბურდულები ორჯერ ვიყავით ლომისაში".

ორბეთელი **გიგაურისაგან** ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა: "ორბეთში გიგაური ერთი კომლი ვართ. ამლივიდან ვართ გადმოსული. ამლივში 30 კომლი ვიყავით გიგაურები. ეხლა ზოგი თბილისში წავიდა, ზოგი-სხვაგან. მანდ იყვნენ კიდევ: **აფციაურები**, **წიკლაურები**, **ბექაურები**, **მიგრიაულები**, **ქავთარაძეები**, **ჩოხელები**. ამლივში ჭართლიდან ვიყავით მოსული. მამაჩემი ობოლი ყოფილა და წამოსულა. აქ დედა გამოსთხოვებია. ლომისაში დავდივართ სალოცავად. ჭართალშიც დავდივართ. ამლივში არის ნაეკლესიარები: დედაღვთიშობელი, კვირაცხოველი, სამება. გიგაურები არიან დრეშიც. ჩვენი ხალხი სულ მთიდან არის აქ ჩამოსული".

მელიქიშვილები ხანდოდან გადმოსახლების შემდეგ ოთხ თაობას ითვლიან. "ორბეთში **ნათობიძები** ექვსი კომლი ვართ. მთიანი ადგილი იყო და ხანდოდან გოსტიბეში გადმოსახლებულან ჩვენი წინაპრები. გოსტიბედან ორბეთში 1937 წელს გადმოვედით საცხოვრებლად".

"გოსტიბეს მეზობელი სოფელია გარგალი. ამ სოფელში იყო ლომისას ნიში. მთიულეთიდან მოსული ხალხი სულ მანდ ლოცულობადა. აქ რომ დიდგორია, ეგ არის პირიმზეს ნიში. მაგას გუდამაყრიდან გადმოსახლებული ხალხი ლოცულობს. წიკლაურ-ბექაურებს პირიმზეში გაყავდათ ბავშვი გასარევად".

დღევანდელი მონაცემებით ორბეთში მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ხანდოდან და ჭართლიდან მოსული შემდეგი გვარები მკვიდრობენ: **წიკლაურები** (10 კომლი), **ნარიმანიძეები** (7 კომლი), **ბექაურები** (9 კომლი), **აფციაურები** (5 კომლი), **მელიქიშვილები** (5 კომლი), **ჩოხელები** (4 კომლი), **მძელურები** (1 კომლი), **გიგაურები** (2 კომლი), **ნათობიძე//ნათობაიძეები** (7 კომლი), **ბურდულები** (ერთი კომლი), მამულაიძე (ერთი კომლი).

სოფ. პანტიანში მკვიდრობენ: **წიკლაური**, **მელიქიშვილი** (5კ.), **ჯანიაშვილი** (2კ.), **აფციაური**, **მძელური**, **თეზელაშვილი** (ქსნის ხეობიდან), **ბექაური**, **ტატიშვილი**. სოფ. ამლივში ამჟამად მოსახლეობენ: **ქავთარაძე**, **ბექაური** (3კ.), **მიგრიაული** (2კ.), **აფციაური**, **გიგაური**, სოფ. ღვევში-**აფციაური** (7კ.), **წიკლაური** (5კ.), **ზანგურაშვილი** (3კ. ძირად ზანგური ქსნიხევიდან), **ქავთარაძე** (1კ.), **წამალაშვილი**, **გიგაური**, **ბექაური**.

გუდამაყარელი **წიკლაურები** და **აფციაურები** მოსახლეობდნენ სოფ. ლასტისციხეში. ამჟამად ერთი ოჯახი აფციაურიღა ცხოვრობს. სოფლის მკვიდრნი 1950-იან წლებში ახალ სამგორში გადასახლდნენ.

სოფელ დრეში საკვლევი რეგიონიდან მიგრირებული გვარები დღეს შემდეგი რაოდენობით არიან: **ბექაური** (6კ.), **წიკლაური** (7კ.), **მძელური** (3კ.), **ქავთარაძე** (4კ.), **გიგაური** (2კ.), **სისაური** (1კ.), **ჯანიაშვილი** (1კ.).

ორბეთიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი აგურის საყდარი, რომელშიც **წიკლაურები** და **მელიქიშვილები** ცხოვრობდნენ. დიდგორში ცხოვრობდნენ **ბექაურები**, რომლებიც ამჟამად ორბეთში არიან

გადასული.

სამორგევეში (ამჟამად სოფელი გაუქმებულია) მკვიდრობდნენ მთიული **ქავთარაძეები** და გუდამაყრელი **ჩოხელები** და **წიკლაურები**, რომლებიც ახლა ზირბითში არიან გადასული.

ვანეთელი **წამალაშვილები** მთიულეთიდან, ხადას ხეობიდან არიან მოსული. მთხრობელის სიტყვით, "მთიულეთში წამალაიძეები ვიყავით. გადმოსახლების შემდეგ წამალაშვილებად დავწერილვართ".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელ წვერში მთიულეთ-გუდამაყრიდან, ხანდოდან გადმოსახლებული მოსახლეობა მკვიდრობდა. აღნიშნულ სოფელში იყო ძლიერი სალოცავი "წვერის წმინდა გიორგი", სადაც მთელი ვერეს ხეობის მოსახლეობა იყრიდა თავს, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე შიდა ქართლის მთიდან გადმოსახლებულნი.

სოფელ კვესეთში XIX ს-ში ჩამოსახლებული მთიულები (**ბურდულები**) და გუდამაყრელები (**წიკლაურები**) მოსახლეობდნენ. დიდ თონეთში გუდამაყრიდან მოსული **აფციაურები** მოსახლეობენ, მოხისში-წიკლაურები და ნარიმანიძეები.

ამრიგად, ვერეს ხეობის მოსახლეობა XIX ს-ში ძირითადად მთიულებით, გუდამაყრელებით, ნაწილობრივ ქსნელებით იყო დასახლებული. ისინი აქ მკვიდრობდნენ: შამთაში, ღვევში, ვანათში, დრეში, წვერში, წყრულეთში, ზირბითში, პანტიანში, ორბეთში, ლასტისციხეში და სხვ.

თრიალეთის ჩრდილოეთ კალთებზე მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებულნი მკვიდრობდნენ შემდეგ სოფლებში: გოსტიბეში, კაპნებში, ჭინჭრიანში, გოგოთში, ორღობეში, სალომეში, ჭავჭავში, კაბერში, მერიაში, გარგალში, სათუხარლოში, დევინამუხლში, ჩაჩუბეთში, იკვში, რკონში, სამოჭილოში, ზირთაში, ლავრისხევში, გუდალეთში, ბოტისში, ზვარი-კოტმანში, წიფორში, ვარჯაანში, პარეტისში, ჭყოპიანში.

მთიულ-გუდამაყრელები, რომლებიც მიგრირებული იყვნენ თრიალეთის ქედის სოფლებში, მათი ნაწილი მოგვიანებით ნოსტესა და მთიულთუბანში ჩამოსულან საცხოვრებლად. ნოსტეში XIX ს-ის მეორე ნახევარში დამკვიდრებულან **წიკლაურები**, **ბექაურები** და **ნათობიძეები**. ოიკონიმი "მთიულთუბანი" კი მთიულებისა და გუდამაყრელების მიგრაციის შედეგადაა შექმნილი. მთიულთუბნის მცხოვრებნი დღეს არიან: **ბექაურები**, **გიგაურები**, **გაბიდაურები**, **წიკლაურები**, **ნარიმანიძეები**, **მიგრიულები**, **აფციაურები**, **ჩოხელები**, **სისაურები**, **ზამთრეულები**. მთხრობელი მთიულთუბნის დასახლების შესახებ გადმოგვცემს: "პატარა უბანია კიდევ, მთიულთუბანი ჰქვია. აქაც წმინდა გიორგია. ამას მამა-პაპაი ახაშენს უძახიან ეგენი სულ ჩემს ხელში მოვიდნენ. საქორწილო ბიჭი ვიყავი 26 წლისა (დაბადებულია 1890 წელს), როცა მოვიდნენ, ბატონმა მოიყვანა, დაასახლა თავის მიდამოებში. გაბიდაურები მოსული არიან ნამტვრევანიდან. ორი სოფელია; პატარა და დიდი ნამტვრევანი და დიდი ნამტვრევანიდან არის გადმოსახლებული - მანგლისის მხარეზეა. არიან კიდევ სალომიდან მოსული, გარგლიდან მოსულები. ზამთრეულები იყვნენ სალომიდან. წიკლაურები არიან. მთაში დადიან სალოცავად. გაღმაც დადიან ხოლმე, დუშეთისაკენ, ლომისაში და დიდგორზეც დადიან. აქედან დიდგორზე დილით რომ გავალთ, შუადღით მივდივართ. **ჯლანტიაშვილები** გუდამაყრის მთიდან მოსულან. ეგენი არიან გიგაურები და ჯლანტიაშვილად ეწერებიან. ნოსტეში რომ მიგრიაულები არიან, გოგოთიდან არიან გადმოსული. გოგოთი კლდეკარის აქეთაა. გოგოთში ნიშიც არის, "ელიქარს" ეძახიან. ეს ქვა

გუდამაყრიდან ყოფილა წამოღებული. გოგოთის მაღლაა. მუხრანის ერთ ბატონს, თურმე გოგო არ რჩებოდა. წამოიყვანა და თავისი ქალიშვილი აქ, მთაში აცხოვრა. წყეულს მოარიდა; თრიალეთის ქედზე ხომ იმდენი წყეული არ იცის. სადაც ელიქარის სალოცავია, იქ აცხოვრა. მიგრიაულები რომ ჩამოვიდნენ გუდამაყრიდან, ექ ქვა ჩამოიყოლეს იქიდან. ნიშია. ამ კაცმა, ბატონმა მერე ეს სალოცავი კარგად გააკეთა და ელიქარი დაარქვა. ბატონის გოგოს ერთხელ მამის გამოგზავნილი ყურძენი მიუტანეს. ჭამა გოგომ. ყურძენი წყეულისაგან მოწამლული ყოფილა და გოგო მოკვდა. არ შერჩა ბატონს ქალიშვილი. მალე მოვა ეს დღეობა. მიქეიფია. მთელი მთიულები და გუდამაყრელები დადიან სალოცავად".

მთხრობლის მიერ მოტანილი მონათხრობიდან აშკარად ჩანს, რომ თრიალეთის ქედის ჩრდილოეთის კალთის დავაკებაზე მდებარე სოფლებში ნოსტესა და მთიულთუბანში მთიულები და გუდამაყრელები მოსული არიან შედარებით გვიან, XX ს-ის დასაწყისში და არა უშუალოდ მთიულეთიდან და გუდამაყრიდან, არამედ ქვემო ქართლის სხვადასხვა სოფლებიდან. აღნიშნული მასალიდან აშკარად ჩანს მთიდან თრიალეთის ქედზე მოსული მოსახლეობის და მათი შთამომავლების სწრაფვა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. ქვემო ქართლის ის სოფლები, რომლებშიც მთიელები სახლდებოდნენ XIX ს-ში ძირითადად მთა-ზეგან ადგილებს წარმოადგენდნენ. მთიულთა, გუდამაყრელთა, ხანდოელთა, ჭართლელთა ქვემო ქართლში მიგრაციიდან აშკარად ჩანს ის საერთო ტენდენცია, რაც მთიელთა ბარისაკენ მიგრაციას ახასიათებდა. ისინი უშუალოდ ბარში გადასახლებას, მევენახეობის გავრცელების რეგიონებში ჩასახლების მაქსიმალურად ერიდებოდნენ. მათი მიგრაცია მიმართული იყო ზეგანი ადგილებისაკენ. ამ თვალსაზრისით XIX საუკუნეში მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ჭართლიდან, ხანდოდან, ქსნისხევიდან დაძრული მიგრანტებისათვის გადასახლების შესანიშნავ ადგილს თრიალეთის ქედის ორივე კალთა წარმოადგენდა. აქ გადმოსახლებით მიგრანტებისათვის არ არსებობდა გეოკლიმატური ბარიერი და მთაში მათთვის ცნობილი მეურნეობის დარგების ფართოდ წარმოების შესაძლებლობაც იყო. მხედველობაში გვავს მესაქონლეობა და მემინდვრეობა.

მტკვრის მარჯვენა მხარეს, თრიალეთის ქედის ძირში, ბარ ადგილას რამდენიმე გვარის მთიულეთიდან მოსვლა დავადასტურეთ. სოფელ თელათგორში მოსახლეობენ **გოგილაშვილები**. აქ ისინი სოფელ საკურთხისიდან არიან გადმოსული. ეთნოგრაფიული მასალებით, გოგილაშვილები მლეთაში დადიან სალოცავად. ერთი მიხა იყო, გოგილაშვილი. ის იტყოდა ხოლმე - გველი მოვკალი და ცუდად გავხდიო. ავდექი და ორი დახატული გველი ვიყიდე და მივართვი ლომისასაო". "ნიაბელი **ლომიაშვილები** ლომისის ხატის მხრიდან ვყოფილვართ მოსული. პაპა რომ მოკვდა, პატარა ვიყავი და ის ამბობდა ხოლმე, ლომისას ხატი სადაცაა, იქიდან ვართ მოსულიო. მეტეხში არიან ჩვენი გვარის ხალხი კიდევ; იქაც ხუთი კომლია. ძირი ერთი გვაქვს".

მტკვრის მარჯვენა ნაპირის ბარის სოფლების მოსახლეობის ნაწილი უფრო ადრე თრიალეთის ქედის იმ ადგილებიდანაა გადმოსული, რომელთა ნასოფლარებშიც შემდეგ მთიულ-გუდამაყრელები სახლდებოდნენ XIX საუკუნეში. ასეთ გვარებს შორის შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად ხოვლელი წერუაშვილები, დოესელი ლაბარები და სხვ. ორივე გვარი ვერეს ხეობიდანაა გადმოსული და გვიან პერიოდამდე სალოცავადაც აქ დადიოდნენ.

ეთნოგრაფიული მასალებით. "დოესელი ლაბარები დადიოდნენ ორბეთისკენ, წვერის წმინდა გიორგში" "წერუაშვილებს ვერეს ხეობაში უცხოვრიათ. ლეკები რომ დაეცნენ, აყრილან და აქ ტყეში დასახლებულან. იქაც საყდარი გვქონდა და აქაც-წერუანთ საყდარს ეძახიან".

მთიულეთ-გუდამაყრიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია მთელი XIXს-ის განმავლობაში მიმდინარეობდა დიღმის ხეობის ზემო წელშიც. ერთ-ერთ ასეთ სოფელს ბევრეთი წამოადგენდა. სოფ. ბევრეთში, რომელიც მთისწინეთის სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება, ჯ.სონღულაშვილის ნაშრომის მიხედვით, XIX საუკუნის შუა ხანებისათვის ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად (გოგილაშვილი, ატრაშვილი, ცხადაძე, გულაშვილი) მოსახლეობდნენ შიდა ქართლის მთიანეთიდან მოსულები. ასეთ გვარებად შეიძლება დავასახელოთ: **გვრიტიშვილები**, **თვაურები**, **უთურაულები**, **წითურაულები** //**წითურიშვილები**, **შუღლიაშვილები**, **გოგიშვილები**.

დიღმის ხეობის სათავეში მდებარეობდა სოფელი ტაბარუკი. "ტაბარუკი" დავით ჩუბინაშვილის გამნარტებით "გლეხი ახლად მოსული", ე.ი. ამ სოფლის წარმოქმნა უკავშირდება მოსახლეობის (მთიელთა) მიგრაციას. ტაბარუკში მთიულ-გადამაყრელთა მიგრაცია XIX ს-ის პირველ ნახევარში მოხდა. XIX ს-ის შუა ხანებში ტაბარუკში მოსახლეობდნენ: **წიკლაურები** (6 კომლი) და **მათიაშვილები** (ერთი კომლი). დღეისათვის როგორც ბევრეთის, ისე ტაბარუკის მოსახლეობა ბარშია გადასახლებული.

დიღმის ხეობის სოფელთა შორის წოდორეთი ერთ-ერთ ისტორიულ სოფელს წარმოადგენს. იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფეოდალურ სახლებს ეკუთვნოდა. ამ სოფლის თავდაპირველი მკვიდრინი XVIII საუკუნეში სხვაგან გადასახლებულან. მათ ადგილზე კი მთიული **ქავთარაძეები**, გუდამაყრელი **წიკლაურები** და ხანდოელი <u>ნათობიძეები</u> მოსულან XIX ს-ის მეორე ნახევარში.

XIX ს-ის პირველ ნახევარსა და შუა ხანებში დამკვიდრებულან მთიელები სოფ. კორათხევში: **ბექაურები**, **მოთიაშვილები**, **მელიქიშვილები** და **წიკლაურები**.

XIXს. II ნახევარში რამდენიმე კომლი მთიულ-გუდამაყრელი დასახლდა სოფლებში დიდგორსა და თელოვანში. დიღმის ხეობის ზემო წელის მოსახლეობა თავის დროზე ამავე ხეობის ბარში ჩამოსახლებულა; ზოგნი კახეთისაკენ მიგრირებულან. მათ ნასახლარებზე კი მთიულ-გუდამაყრელები დაფუძნდნენ XIX საუკუნეში.

შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობის ქვემო ქართლში მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მიგრანტების დასახლება-დაფუძნება ძირითადად ნასოფლარ-ნასახლარებზე ხდებოდა. ამით ფაქტიურად ხდებოდა ძველი ნასოფლარების აღდგენა. ამასთანავე, მიგრაცია ახალი ტოპონიმების შექმნას როდი იწვევდა. ძირითადად მიმდინარეობდა ძველი ტოპონიმების გაცოცხლება, ახსოვდა რა ახლო-მახლო მოსახლე ძველ მკვიდრთ ამა თუ იმ ნასოფლარის სახელწოდება.

ეთნოგრაფიულ და საარქივო მასალებზე დაკვირვება იმ გარემოებასაც კარგად აჩვენებს, რომ ქვემო ქართლში შიდა ქართლის მთიელებიდან განსაკუთრებით ინტენსიურად გუდამაყრელები გადმოსახლდებოდნენ. ეს გარემოება ალბათ იმ თვალსაზრისითაც უნდა აიხსნას, რომ XVII-XVIII საუკუნეებში გუდამაყრელები შედარებით ნაკლებად გადასახლდებოდნენ, ვიდრე მთიულები და ამდენად XIX საუკუნისათვის გუდამაყარში მოსახლეობის უფრო მეტი სიმჭიდროვე გვქონდა, ვიდრე მთიულეთში, ხანდოსა და ჭართალში.

ქვემო ქართლში გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაციის პრიმატობა, სხვებთან შედარებით, აქ მთური სალოცავების ნიშების გადმოტანაშიც კარგად აისახა. ქვემო ქართლში გადმოსახლებულ მთიულ-გუდამაყრელებს არ დავიწყებიათ მამა-პაპათა სალოცავები. თუმცა უკანასკნელ ხანს ეს მომენტი თანდათან სუსტდება. წინა თაობის წარმომადგენლები კი ამ მხრივ თავისი აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ისინი ბავშვის ხატში გარევას მიმართავდნენ არა ადგილობრივ სალოცავებში (ნიშებში), არამედ ქალ-რძალითა და ახლად დაბადებული ძეთი მიემგზავრებოდნენ მთიულეთისა და გუდამაყრის, ხანდოსი და ჭართლის ცენტრალურ და სათემო-საგვარო სალოცავებში.

ალგეთის, ვერეს, დიღმის, კავთურას, რკონის ხეობებში შიდა ქართლის მთიანეთიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას XIXს-ის შუა ხანებში საერთო სალოცავიც გამართა. რაც ყველაზე აღსანიშნავია დიდგორის მთაზე გუდამაყრიდან გადმოსახლებულმა ყველა გვარმა წინაპართა საცხოვრისიდან გადმოტანილი თავისი საგვარო-სათემო სალოცავის ნიში გადმოიტანა. შეიძლება დავასახელოთ აქ ცალ-ცალკე მოწყობილი აფციაურების, ჩოხელების, წიკლაურ-ბექაურების სალოცავები, აგრეთვე მთიულთა საერთო სალოცავი "ლომისა". ხანდოდან გადმოსახლებულმა მელიქიშვილებმა კი თავისი სასოფლო სალოცავი წვერის წმინდა გიორგისთან მოაწყვეს. საერთოდ, აშკარად შეინიშნება ტენდენცია სალოცავთა ნიშების გამართვისა ძველი მოსახლეობის საკულტო ადგილებზე, ნაეკლესირებზე. ხშირად ახდენდნენ ადგილობრივი რელიგიური დღესასწაულების აღორძინებასაც. აქ შეიძლება გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა, რომ ვერეს ხეობის მთელი მოსახლეობა ადგილობრივიც და მიგრანტებიც ეთაყვანებოდნენ ორბეთთან არსებულ "წვერის წმინდა გიორგის".

მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებულ მოსახლეობის მთავარ სალოცავს მაინც დიდგორობა წარმოადგენდა, რომელიც ფაქტიურად გუდამაყრის ცენტრალური ხატის-"პირიმზე ფუძის ანგელოზის" დღესასწაული იყო. ეს თავისთავად გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ ზემოთ თქმულს - ქვემო ქართლის ამ მხარეს ძირითადად მიგრირებული გუდამაყრელები სჭარბობდნენ. ამასთანავე, შიდა ქართლის მთიელები ქვემო ქართლის ისეთ რეგიონებში სახლდებოდნენ, რაც მათ მთის ანალოგიურობას უქმნიდა. ეს არის მთისწინეთის (ზეგნის) ტიპის რეგიონი-თრიალეთის ქედის ორივე კალთა.

ქვემოთ წარმოვადგენთ სქემებს შიდა ქართლის მთის მოსახლეობის ქვემო ქართლში მიგრაციისას.

სქემა №1 (მთიულეთის მოსახლეობის მიგრაცია ქვემო ქართლში)

№	გვარი	გადასახლების ადგილი (სოფელი)	გადასახლების დრო
1	2	3	4
1.	ქავთარაძე	მერია	1853 წ.
		გოხნარი, მანგლისი, სათოვლია	XIX ს-ის შუა ხანები
		ბოტისი	1872 წ.
		გარგალი	1867 წ. და 1870 წ.
		გოსტიბე	1866 წ-დან
		კაბერი	1858 წ-დან
		წოდორეთი, ამლივი, ღვევი,	XIX ს-ის მეორე ნახევარი
		სამორგვე	
		დრე	
2.	ოგბაიძე	ბეჩიანთსოფელი	XIX ს-ის მეორე ნახევარი
		მანგლისი	XIX ს-ის შუა ხანები

		ვარჩაანთახევი	1864 და 1868 წლები
3.	ჭიკაიძე	ხირიკი	1866 წ.
4.	წამალაშვილი (წამალაიძე)	ვანეთი ღვევი	XIX ს-ის შუა ხანები
5.	ზამთრეული	სალომე სამოჭალო მთიულთუბანი	1866 წ. XIX ს. დასაწყისი XIX ს. შუა ხანები
6.	ტატიშვილი	პანტიანი	XIX ს. მეორე ნახევარი
7.	კედელაშვილი	ვარდისუბანი ანუ შავსაყდარი ვანეთი	XIX ს. I ნახევარი 1868 წელი
8.	ებრიალიძე	გოხნარი	1868 წ.
9.	მამულაიძე	ორბეთი	XIX ს. II ნახევარი
10.	ზაქაიძე	ვანეთი, სათოვლია საკურთხისი	XIX ს. შუა ხანები 1860 წ.
11.	სისაური	სალომე დრე მთიულთუბანი	XIX ს. I ნახევარი
12.	მძელური	წყრულეთი ორბეთი, პანტიანი ზირბითი დრე	XIX ს. I ნახევარი XIX ს. II ნახევარი
13.	შარუმაშვილი (შარმაიძე)	წყრულეთი	1869 წ.
14.	ნადიბაიძე	ტუსრეტი	1866 წ.
15.	სეთურიძე	თეკნელთა	XIX ს. შუა ხანები
16.	მაჩურიშვილი	იურა	1866 წ.
17.	ბურდული	კაბერი თყემლოვანი შანაანთუბანი ორბეთი კვესეთი	1858 წ. 1867 წ. 1871 წ. XIX ს. II ნახევარი XIX ს.
18.	ნაზღაიძე	წყრულეთი	XIX ს. II ნახევარი
19.	ნარიმანიძე	მერია შამთა, ორბეთი მოხისი მთიულთუბანი	1853 წ. XIX ს. II ნახევარი
20.	კობაიძე	კაბერი ვარჩაანთხევი, პარეტისი ბოტისი, ტყემლოვანი სამტრედო, იურა	1858 წ. 1866 წ. 1867 წ. 1868 წ.
21.	ჩოქური	იურა	1868 წ.
22.	ბედოიძე	პარეტისი	1863 წ.

სქემა №2. გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაცია ქვემო ქართლში

1	2	3	4
1.	წიკლაური	ბეჩიანთსოფელი, ღვევი, ზირბითი, წვერი, ტაბარუკი, შუბათი, მანგლისი, ნამტვრევანი, ზენუბანი, ზვარი-კოდმანი, მთადეკეული შამთა ვარჩაანთხევი გარგალი გოსტიბე	XIX ს. I ნახ. XIX ს. შუა ხანები XIXს. I ნახ. და II ნახ. 1863წ., 1865წ., 1868წ. 1867 წ. 1866 წ-დან

		შუბათი	1868 წ.
		წიფორი	1869 წ.
		მერია	1853 წ.
		კვესეთი, დრე, სამორგვე	XIX ს.
		აგურის სასყდარი, მოხისი	
		პანტიანი, ორბეთი, საკურთხისი, ნოსტე,	XIX ს. II ნახ.
		მთიულთუბანი	
		წოდორეთი, კორათხევი, ლასტისციხე	
2.	ბექაური	შამთა	XIXს. Iნახ. და IIნახ.
		შუბათი	XIX ს. I ნახ.
		ღვევი, დიდგორი	XIX ს.
		დრე	
		ბეჩიანთსოფელი, პანტიანი	
		ამლევი, ორბეთი, კორათხევი, ნოსტე	
		ბოტისი	XIX ს. შუა ხანები
		ვარჩაანთხევი	1861-1863 წწ.
		მთადეკეული	XIXს. შუა ხან. და 1870 წ.
		სანაანთუბანი	1868 წ.
		საკურთხისი	1872 წ.
		წიფორი	1869 წ.
		მთიულთუბანი	XX ს. დასაწყისი
3.	აფციაური	ბეჩიანთსიფელი, ღვევი	XIX ს. I ნახ.
		ზირბითი, სალომე	
		წურულეთი, შამთა	XIX ს. I და II ნახ.
		ვანეთი, მანგლისი, ნამტვრევანი, ბოტისი, კაბერი,	XIX ს. შუა ხანები
		კოდმანი	
		ბარნაბიანთკარი, გოსტიბე	1866 წ.
		გარგალი, ტყემლოვანი	1867 წ.
		შუბათი	1862 და 1870 წწ.
		გოგითი	1889 წ.
		პანტიანი, ორბეთი, ლასტისციხე	XIX ს. II ნახ.
		ამლევი, დიდი თონეთი	XIX ს.
		მთიულთუბანი	XX ს. დასაწყისი
4.	ჩოხელი	წყრულეთი	XIX ს. I ნახ.
		ორბეთი	XIX ს. II ნახ.
		სამორგვე	XIX ს.
		გოგოთი	1861 წ.
		იურა, მერია, საკურთხისი	1866 წ.
		სანაანთუბანი, შუბათი	1868 წ.
		მთიულთუბანი	XX ს. დასაწყისი
5.	იგრიაული//	გოგოთი	1833 წ. და 1870 წ.
	მიგრიაული	ნამტვრევანი, ზენუბანი	XIX ს. შუა წლები
		ამლივი	XIX ს. II ნახ.
		შამთა	1870 წ.
		მთიულთუბანი	XX ს. დასაწყისი
6.	ბუბუნაური	ბეჩიანთსოფელი	XIX ს. I ნახ.
7.	თორელაშვილი	სათოვლია	XIX ს. შუა ხანები

სქემა №3. ხანდოს მოსახლეობის მიგრაცია ქვემო ქართლში

1	2	3	4
1.	გვრიტიშვილი	შამთა	1867 წ.
		ბევრეთი	XIX ს. შუა ხანები
2.	ნათობიძე	ტაბარუკი	XIX ს. I ნახევარი

	(მნათობიშვილი)	ორბეთი, გოსტიბე, ნოსტე,	XIX ს. II ნახევარი
		წოდორეთი	
		ტყემლოვანი	1867 და 1869 წლები
3.	მოთიაშვილი	ტაბარუკი	XIX ს. I ნახევარი
		კორათხევი	XIX ს. II ნახევარი
4.	ჯანიაშვილი	წვერი	XIX ს. I ნახევარი
		საკურთხისი	XIX ს. შუა ხანები
		გარგალი	1867 წ. და 1870 წ.
		დრე	XIX ს.
5.	მელიქიშვილი	ღვევი	XIX ს. I ნახევარი
		წვერი, ორბეთი, პანტიანი, აგურის	XIX ს. II ნახევარი
		საყდარი, კორათხევი	

სქემა №4. ჭართლის მოსახლეობის მიგრაცია ქვემო ქართლში

1	2	3	4
1.	გიგაური	ვაშლოვანი	XIX ს. I ნახევარი
		შუბათი	XIX ს. Iნახ. და 1868წ.
		ვარჩაანთხევი	1853 და 1868 წლები
		ტუსრეტი	1861 წ.
		ბეჩიანთსოფელი, ორბეთი,	XIX ს. II ნახევარი
		ამლივი, დრე, ღვევი	
		მთადეკეული	
		მთიულთუბანი	XIX ს. შუა ხანები
			XX ს. დასაწყისი

თ ა ვ ი I V .
მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაცია კახეთში

საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მის აღმოსავლეთ პროვინციაში_კახეთში მოსახლეობის მიგრაცია ხელშესახებია.
ნ. ბერძენიშვილი წერდა: “ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეები, კახეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა” (ბერძენიშვილი, 1964, გვ. 175). “კახნი, კოხნი, წანარნი, გარდაბანელნი, ალვანჰერნი, სოჯნი, ფხოველ – ფშაველნი, ხევსურნი, თუშები, ქისტები და, შემდეგ, ლეკები, თურქები, ოსები, სომხები და ყველა თემის ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ჯავახ - მეხნი , სომხითარნი, ქართლელები) – ყველა ამათ შერწყმა – ‘’შეჯვარების’’ (ბრძოლისა და თანამშრომლობის) ისტორიული სარბიელი იყო ეს შედარებით პატარა, მაგრამ დიდი შესაძლებლობის ქვეყანა” (იქვე). იქვე დასძენდა, რომ “თითოეულ ამათგანს თავისი წვლილი შეუტანია აწინდელი კახეთის შექმნაში”. ოღონდ, დავძენთ, რომ აწინდელი კახეთის შექმნაში ქართულ – ქართველურ და არაქართულ აღნიშნულ ერთეულებს თანაბარი წვლილი როდი აქვთ შეტანილი. ამასთანავე, არის ერთგვარი გადაჭარბებაც, როდესაც საუბარია უცხო ეთნიკური ერთეულების წვლილზე დღევანდელი კახეთის და კახელების ჩამოყალიბების საქმეში. აქ

მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით ოსთა წვლილი. XX ს–ის დასაწყისამდე კახეთში ოსების მიგრაცია საერთოდ არ ყოფილა, წამყვანი ყოველთვის მაინც ადგილობრივი ქართველების – კახელების ელემენტი იყო. შემდეგ კი უდავოდ უნდა ავღნიშნოთ ქართველი მთიელების თითქმის მუდმივი მიგრაცია კახეთში.

ციტატიდან ჩანს, რომ საუკუნეთა განმავლობაში კახეთში მიგრირდებოდა და ესახლებოდა საქართველოს თითქმის ყველა მხარის წარმომადგენელი. ეს პროცესები განსაკუთრებით ხელშესახებია XVს–დან. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ახლა შემოგთავაზოთ აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია კახეთში. ამჯერად წარმოვადგენთ მხოლოდ შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციის ფაქტებს. სხვა ნაშრომში შესწავლილი გვქონდა კახეთში ფშაველთა და ხევსურეთა, აგრეთვე ერწო – თიანელთა მიგრაცია, რომელიც უაღრესად ხელშესახებია XVII – XX საუკუნეებში. საისტორიო საბუთებზე და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართველი მთიელები მუდმივად ჩამოსახლდებოდნენ კახეთში (მთისწინეთსა და ბარში) და ის მხოლოდ XVII – XX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ ყოფილა. საქართველოს მთა იყო მუდმივი წყარო დემოგრაფიულად გაპარტახებული კახეთის აღსადგენად. რად ღირს ის, რომ ჯერ კიდევ IX საუკუნისათვის შიდა ქართლის მთიელები, კონკრეტულად მდ. თერგის ხეობაში მოსახლე წანარები ერთდროულად ჩამოსახლდნენ, ასე რომ ვთქვათ, "ჩამოწვნენ" კახეთში. შემდეგ შეიძლება გავიხსენოთ ალექსანდრე I–ის მოღვაწეობა. 1441 წლის ერთი საბუთით მან კახეთში ახალმოშენეებად ჩამოიყვანა ივრისა და არაგვის ხეობის მთიელები, კერძოდ, ყვარაელები და მაღაროელები. გვიან, XIX ს-ის შუა ხანებიდან მოხდა კახეთში თუშთა კომპაქტური ჩამოსახლება. იმავე პერიოდში განხორციელდა კახეთის პანკისის ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების – ქისტების (ვაინახების) მიგრაცია. აქ შეიძლება კიდევ გავიხსენოთ ფშაველების ჯგუფური გადმოსახლება შირაქში XX ს – ის დასაწყისში, რომლებსაც მალევე შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციაც მოყვა. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. აქ მხოლოდ იმას ავღნიშნავ, რომ აღნიშნული მაგალითები მთიელთა კახეთში მიგრაციის ჯგუფურ ფორმას წარმოადგენდა, - რაც შეეხება გაჟონვით, ინდივიდუალურ მიგრაციებს, ამ მიმართულებით ის ყოველთვის ხდებოდა.

კახეთისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო XVIIს–ის დასწყისი, როდესაც ყიზილბაშებმა საქართველოს ეს შედარებით დაწინაურებული მხარე მოსახლეობისაგან ამოაგდეს. ამოწყვეტილი კახეთის მოშენებაში საქართველოს სხვა მხარეებთან (იმერეთი, ქართლი) ერთად სწორედ მთიანეთის მოსახლეობამ ითამაშა განსაკუთრებული როლი, გარკვეული წვლილი შეიტანეს ამ მხრივ შიდა ქართლის მთის პროვინციებმაც.

ეთნოგრაფიული მასალებით ჩანს, რომ XIX–XX საუკუნეების მიჯნამდე მთიულ – გუდამაყრელთა კახეთში მიგრაციას ძირითადად არაინტენსიური, გაჟონვითი ხასიათი ჰქონდა. ინდივიდუალური გადასახლებები მიმართული იყო დღევანდელი საგარეჯოს, ახმეტისა და თელავის რაიონებისაკენ.

სოფელ გრძელველში (საგარეჯოს რაიონი) მოსახლეობენ კობაიძეები (ხუთი კომლი), რომლებიც აქ XIXს–ის შუა ხანებში მიგრირებულან. გიორგი გეჯურას ძე კობაიძის სიტყვით, მისი პაპა სოფელ ჩირიკიდან გადმოსახლებულა – ჯერ ბოჭორმაში დასხლებულა და ბოჭორმიდან გრძელველში გადასულა.

გარე კახეთის სოფელ კოჭბაანში მთიულეთიდან და გუდამაყრიდან მოსული რამდენიმე გვარი მკვიდრობს. ესენი არიან: **ჭიკაიძე**, **ოგბაიძე**, **დიდებაშვილი**, **წიკლაური**, **გიგაური**, **ბექაური**. კოჭბაანის პირველმოსახლე ბექაური ყოფილა, რომელსაც შემდეგ დანარჩენებიც მოჰყოლიან. ჩამოთვლილი გვარები კოჭბაანში XIXს–ის 60–იანი წლებიდან დამკვიდრებულან.

სოფელ მოსაცურში XIX საუკუნის ბოლოს მოსულან გუდამაყრელი აფციაურები (სამი კომლი) და ხანდოელი **ნათობიშვილები** (ორი კომლი).

სოფელ იკლივ – გორანაში მოსახლეობენ არაგვის ხეობის ოთხივე კუთხიდან გადმოსახლებულნი. აქ მკვიდრობენ გუდამაყრელი **წიკლაურები** (11 კომლი), **დიდებაშვილები** (ხუთი კომლი), **ბექაურები** (ერთი ოჯახი), **ჩოხელები** (ორი ოჯახი), მთიული **ქავთარაძეები** (ერთი კომლი), ჭართლელი **გიგაურები** (ოთხი კომლი) და ხანდოელი ნათობიძეები (ერთი კომლი). იკლივ –გორანაშიც შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია XIXს–ის შუა ხანებში დაწყებულა და იგი გრძელდებოდა XXს-ის დასაწყისამდე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოსახლებული მთიულ– გუდამაყრელები მოსახლეობენ ახმეტასა და მის მიდამოებში. სოფელ ბუღაანში მკვიდრობენ მთიული **დარძულები**, რომლებიც აქ XXს-ის 20–იან წლებში მოსულან. დარძულები მიგრირებულან აგრეთვე სოფელ უტოში (დღეს ახმეტის ერთ–ერთი უბანი). აქვე ცხოვრობენ **ქარჩაიძეები**, **ქავთარაძეები** და **ოგბაიძეები**. დარძულები ვეძებშიც დასახლებულან, ოღონდ შედარებით გვიან, 1925 წელს.

საკობიანოში მოსახლეობენ **სეთურები** და **კაიშაურები**, რომელთა მიგრაციაც XXს–ის 20–იან წლებში მომხდარა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები მთიულეთ–გუდამაყრის მოსახლეობის მიგრაციისა ძირითადად განეკუთვნება XIXს-ის მეორე ნახევარს. აღნიშნული გადასახლების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ეკონომიკური იყო, რაც, ჩვეულებრივ, გვარსახელის შეცვლას არ იწვევდა. უფრო წინა პერიოდში და მით უმეტეს არაეკონომიკური მიზეზებით განხორციელებული მოსახლეობის მიგრაცია კი როგორც არაერთგზის გვქონდა დადასტურებული ხშირად იწვევდა გადასახლებულის მიერ გვარის შეცვლას. კახეთის მიმართულებით ადგილგადანაცვლებულებს შორის ასეთი მონაცემებიც გვაქვს დადასტურებული. სოფელ მატანში მოსახლეობენ ძირითადად ფშავ–ხევსურეთიდან მიგრირებულნი, მაგრამ შეიმჩნევა მთიულური ელემენტიც. შეიძლება დავასახელოთ **მთიულიშვილები** (შვიდი კომლი), რომლებიც ძირად მთიულები არიან. ისინი ბოლო დრომდე სალოცავად დადიოდნენ მთიულეთის საერთო სალოცავში "ლომისა". მაგრამ მთიულიშვილების წინაპარი მატანში უშუალოდ მთიდან როდი მოსულა. მათი წინაპარი ჯერ ერწოში დასახლებულა, სადაც შერმაზანაშვილების გვარი მიუღიათ. მატანში გადასახლების შემდეგ კი მთიულიშვილის გვარს ატარებენ. საყურადღებოა, რომ მატნელი მთიულებიდან მთიულეთის ლომისაში სალოცავად ძირითადად მამაკაცები დადიოდნენ. ისინი ერიდებოდნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ლომისაში სალოცავად წაყვანას. მთხრობლის თქმით, "ქალი თუ ერთხელ წავიდა ლომისაში და სანთელი აუნთო, მერე სულ ვალდებულია იაროს. ქალი კი თხოვდება და მერე შეიძლება ვეღარ მოახერხოს მამის სალოცავში ყოველთვის სიარული. ამიტომ ვერიდებოდით ქალების წაყვანას და მივდიოდით კაცები და ოჯახის რძლები". სალოცავის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება აშკარად გვიანდელი,

გადასახლების შემდეგდროინდელი მოვლენაა. აქ აშკარად ჩანს მიგრანტთა და მათ შთამომავალთა მამა – პაპის სალოცავისადმი დამოკიდებულების სხვა ღირებულებითი ორიენტაცია. აშკარაა თუ როგორ სუსტდება თანდათან წინაპართა სალოცავისადმი მლოცველთა დამოკიდებულება. აქვე უნდა ითქვას, რომ მატნელი მთიულიშვილები სრული შემადგენლობით ლოცულობდნენ ლომისას ნიშს ახმეტაში.

მთიულიშვილები მოსახლეობენ აგრეთვე სოფელ ბაბანეურში, საიდანაც ისინი განსახლებული არიან ართანაში და მაღრაანში. მთიულიშვილებს ბაბანეურში დასახლებამდე გადასახლების რამდენიმე პუნქტი გაუვლიათ. მთიულეთიდან წამოსული მათი წინაპარი ჯერ ქართლის სოფელ ქსანში დასხლებულა. შემდეგ მუხრან ბატონთან მომხდარი სასისხლო საქმის გამო ყვარელში მოსულა. აქაც არ გაჩერებულა და ნაფარეულში გადმოსულა, ნაფარეულიდან ფიჩხოვანში გადმოსვლის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ეს სოფლები მტერთა ხშირ თავდასხმებს განიცდიდნენ. მთიულიშვილების ადრინდელი, ძირი – გვარი ეთნოგრაფიული მასალებით ნაზღავიშვილი (ე.ი. ნაზღაიძე) ყოფილა. ქართლში გადმოსვლისას წინაპარს ნაზღავიშვილის გვარი უტარებია და მუხრანის ბატონის მოკვლის შემდეგ მთიულიშვილად დაწერილა. ბაბანეურიდან ამ გვარის ხალხი სალოცავად მლეთაში ლომისობას დადიოდა. ბაბანეურელ მთიულიშვილებს წინაპართა სალოცავის ნიშიც გადმოუტანიათ ახალ საცხოვრისში, ოღონდ არა ბაბანეურში, არამედ სოფელ საბეროს თავში. ამ ნიშის გადმოტანაში მატნელ მთიულიშვილებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

გადმოცემით ბაბანეურში უცხოვრიათ გუდამაყრიდან მოსულ **წიკლაურებსაც**. როგორც მთიულიშვილების, ისე წიკლაურების ბაბანეურში გადმოსახლება XVIIIს–ის მეორე ნახევარში მომხდარა. ბაბანეურში წიკლაურთა მოსახლეობის დამადასტურებელია საფლავის ქვების ეპიტაფიები. წიკლაურები ბაბანეურიდან კახეთის სხვადასხვა სოფლებში გაფანტულან.

გუდამაყრიდან მოსული წიკლაურები მკვიდრობენ აგრეთვე სოფელ იყალთოშიც. ისინი აქ XIXს-ის შუა ხანებში დამკვიდრებულან. აწყურში დიდი რაოდენობით არიან ჭართლელი გიგაურები. აქ გიგაურების მოსახლეობა XVIIIს–ში ფაქტია.

მთიულური ფენა შეიმჩნევა იყალთოშიც. მთიულეთიდან იყალთოში მოსულთა შორის შეიძლება დავასახელოთ **მრელაშვილების** გვარი. ეთნოგრაფიული მასალებით, მრელაშვილების ძირი–გვარია ბუჩუკური. მრელაშვილების იყალთოში მოსახლეობა XVII საუკუნის დასაწყისისათვის ფაქტია (ჯავახ. 1967). ეთნოგრაფიული მასალა: "დაუშავებლად ისინი აქ არ წამოვიდოდნენ. გადმოსახლებულს სამი ვაჟი ჰყოლია. ერთი მათგანი იყო მრელა და ამისი შვილები გახდნენ მრელაშვილები. იყალთოში მრელაშვილები 60 კომლი ვართ."

შიდა ქართლის მთიდან არიან სოფ. ქისტაურში მიგრირებული **ირემაულები**. საერთოდ, ქისტაურის მოსახლეობა მთიდან არის მიგრირებული - ძირითადად ფშავიდან, მაგრამ აქ გვხვდება მთიულური ელემენტიც. მაგალითად შეიძლება **ზანქაიძეების** (იგივე ზაქაიძეების)გვარი დავასახელოთ. ეთნოგრაფიული მასალებით, ზაქაიძეების მთიულეთიდან მიგრაცია XIXს-ის პირველ ნახევარში მომხდარა. ერთად გადმოსახლებულა სამი ძმა. იყალთოში მოსახლეობენ ძირად მთიული **ლაჩაშვილები**. ახმეტაში მოსახლე მთიულთაგან კი შეიძლება **ნადიბაიძეების**, **ჭიკაიძეების** და **სუარიშვილების** გვარები

დავასახელოთ. XVIIIს-ის პირველი მეოთხედის კახეთის მოსახლეობის აღწერით სოფ. მატანში მოსახლეობდნენ ხანდოდან გადმოსახლებულებიც, მაგალითად, "ნათობიშვილი შერმაზან ბოგანო".

XVIIIს-ის წინა ხანებში მოსახლეობის მიგრაციის დამადასტურებელია ისეთი წყაროები, როგორებიცაა ტოპონიმები და საკულტო ძეგლები. მოკლედ ოიკონიმ (ამჟამად ნასოფლარის) მთიულის შესახებ. ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონს კახეთში მოხსენიებული აქვთ სოფელი მთიული (1941 გვ, 207; 1986, გვ 69). ამავე სახელწოდებით სოფელი XVIIIს-ის პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარშიც გვხვდება (ჯავახ. 1967 გვ. 91). აქ მოიხსენიებიან ისეთი გვარები, რომლებიც აშკარად მთური წარმოშობისანი არიან: "**გიგაურიშვილი**", "**იარაჯული**", "**რატული**". დღეისათვის კახეთში ასეთი სახელწოდებით სოფელი აღარაა. ის არც XIX ს –ში არსებობდა. შესაძლებელი გახდა ამ ნასოფლარის დადგენა. ახმეტის მოსახლეობა დღეს მთიულს უწოდებს ადგილს ახმეტის სამხრეთით. ეს ადგილი ნამდვილად ძველი სოფლის, - "მთიულის", - ადგილსამყოფელია, რის დამადასტურებელ "ცოცხალ" მოწმედ გვევლინება ამ ნასოფლარში მთიულთა საერთო სალოცავის – "ლომისას" ნიში.

XVII ს – ის საბუთში ნათქვამია, რომ ერთობით მთიულებმა პირობა დადეს, რომ აღკვეთდნენ მარხვის ჭამას, ხოლო ცდუნების შემთხვევაში გაუმხელდნენ ალავერდელს (ქსძ,1970). აქ საინტერესოა ერთი გარემოება: საქართველოს ბარში, კახეთში XVII ს–ში რატომ უნდა მდგარიყო საკითხი მარხვის დაჭერა–არდაჭერის შესახებ? ტოპონიმი "მთიულეთი" ("მთიული") აშკარად მიუთითებს ამ შემთხვევაში კახეთში მთიულეთიდან მოსახლეობის მიგრაციაზე. ეს რომ დანამდვილებით ასე უნდა ყოფილიყო, ამას უნდა მოწმობდეს სწორედ მარხვის არდაჭერა მთიულების მხრივ. ახლად გადმოსახლებული, ნახევრად წარმართი მთიულები ალბათ ურჩობდნენ ყველა ქრისტიანული წესის შესრულებას. ვგონებ, აღნიშნულ დოკუმენტში (XVII ს.) კახეთის ბარში მოხსენებული "მთიულეთი" შემდეგდროინდელი სოფელი "მთიული"უნდა იყოს.

როდის უნდა წარმოქმნილიყო კახეთში მთიულეთიდან მოსახლეობის მიგრაციის შედეგად სოფელი "მთიული"? აღნიშნული საბუთი ამ გადასახლების დროის განსაზღვრის საშუალებასაც გვაძლევს. სოფელ მთიულის წარმოქმნა 1614 წლის შაჰ–აბასის გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ მოხდა – XVIIს–ის პირველ ნახევარში. როგორც ჩანს, მთიელთა ჩამოსახლება ისეთი ინტენსიური და ჯგუფური ხასიათის იყო, რომ ამ დროს კახეთში სხვა მიგრაციაქმნილი ტოპონიმებიც გაჩნდა: ფშაველი, ხორხელი, ახადელი, მუქუელი, ქისტაური... თუმცა ტოპონიმების მთიდან კახეთში გადმოტანა უფრო ადრეც ხდებოდა. აქ შეიძლება გავიხსენოთ XVს–ის პირველ ნახევარში კახეთში სოფლების მაღაროსა და ყვარელის გაჩენა. ასევე XVს–მდე უნდა იყოს წარმოქმნილი სოფელი ფხოველიც.

თვალი გავადევნოთ მოსახლეობის აღწერის დავთრებს. XVIIIს–ის პირველ მეოთხედში კახეთის სოფელ ბურდიანსა და ზიარში დასახელებული არიან **ბრაჭულები** (ჯავახ. 1967, 12,20), რომლებიც შიდა ქართლის მთისწინეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. ზიარში შიდა ქართლის მთისწინეთიდან გადმოსახლებული სხვა გვარიც (ციგრიაშვილი) მკვიდრობდა. შიდა ქართლის მთიანეთიდან, კერძოდ ლიახვის ხეობის მთიდან იყვნენ მისული ჩაილურში **ლომოურები** და კაკაბეთში **ბიბილურები** (გ.14,16), ბაიხოში მოსახლე "ფუხაური გიორგი" კი პატარა ლიახვის ხეობიდან გადმოსახლებული მთიელი იყო.

გარე კახეთის სოფელ თვალში (დღევანდელი საგარეჯო) XVIIIს–ის დასაწყისისათვის დიდი რაოდენობით მკვიდრდებოდნენ **ქურხულები**: “ბედოშვილი ქურხული”, “სანაგო ქურხული”, “ბერი ქურხული”, “გოდერძი მისი ძმა”, “პაპუნა მისი განაყოფი”, “დათუნა ქურხული”, “ბაინდურ ქურხული”(გ. 35, 36). ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქურხულების წინაპარი თვალში მთიულეთის ხადას ხეობიდან გადმოსახლებულა და მისი ადრინდელი გვარი სისაური ყოფილა. თვალში სხვა მთიელებიც იყვნენ ჩამოსახლებული. შეიძლება დავასახელოთ **ჭიაურელები**. აქვე, XVIIIს–ის პირველი მეოთხედის აღწერაში შეტანილია “ჯანდოველი ბოგანო” (გ.27). როგორც ჩანს, თვალში ინტენსიურად ხდებოდა მთიანეთის სხვა კუთხეებიდან მოსახლეობის მიგრაცია. აღნიშნულ აღწერაში მოხსენიებულია “დემეტრე თუში” (გ. 37), აგრეთვე რამდენიმე კომლი ხამხაძე, რომლებიც ძირად ქისტები არიან. პატარძეულის აღწერაში დასახელებულია ჭართლიდან გადმოსახლებული “გიგაური დავით” (გ. 38).

XVIIIს–ის დასაწყისის ყვარლის აღწერაში აღრიცხული არიან ოჯახის უფროსები შაზო, გულბათ, ამოან, დათო **ბუჯიაშვილები**, რომლებიც მიგრირებულნი იყვნენ ქსნის ხეობის მთიანეთიდან. უტოში (დღეს ახმეტის უბანია) უცხოვრიათ **მცხეთელაძეებს** (გ. 73), რომლებიც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული მლეთიდან გადმოსახლებული ბურდულყოფილები არიან. იყალთოში მთიულეთიდან მიგრირებული ასეთი გვარი **ზამთრეული** იყო. ახშანში კი XVIIIს–ის დასაწყისში შიდა ქართლის მთისწინეთიდან მისული **დუდაურები** ცხოვრობდნენ, კისისხევში “კაიშაური ბოგანო” (გ.103), კონდოლს – ბუჩუკურები.

კახეთის დასახლებულ აღწერაში არაერთხელაა მოხსენიებული “მთიული”. მაგალითად, საბუეს აღრიცხულია “მთიული ხაბაზი” (გ.38). რამდენიმე გზის გვხვდება გვარსახელი მთიულიშვილი: ნასომხარში – “მთიულიშვილი ნასყიდა” (გ.78), მუკუზანში – “მთიულიშვილი როსტევან” (გ. 83), ფშაველში – “მთიულიშვილი ბასილა, და იმის ძმა ხოხობერი” (გ. 64), თვალში – “მთიულიშვილი ზურაბა” (გ.38) და სხვ. მთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა მკვიდრობდა ფიჩხოვანში, მაღრანში. მაღრანში XVIIIს–ის პირველ მეოთხედში, სხვა მთიულებთან ერთად, შიდა ქართლის მთიდან მიგრირებული **ხომიზურების** სამი ოჯახიც ცხოვრობდა (გ.67). მაღრანს ცხოვრობდნენ ხომიზურები 1801 წლის აღწერითაც. ხომიზურები მკვიდრობდნენ კახეთის სოფელ ნაფარეულშიც, აქ ისინი XVIIIს–ში დასახლებულან. 1831 და 1856 წლების აღწერებში ნაფარეულში ხუთ–ხუთი ოჯახი ხომიზურია აღრიცხული (სცსსა, 254 – 1 – 1275). ირკვევა, რომ ხომიზურები წარმომავლობით შიდა ქართლის მთიელები არიან. მათ თავდაპირველად უცხოვრიათ ლეხურას სათავეში მდებარე სოფელ ქოლოთში. 1781 წლის აღწერაში შეტანილია “მეჯვრისხევიდამ ქოლოთელი ხომიზური შიო და დათუნა” (გ. 225). ხომიზურები ქოლითიდან შიდა ქართლის ბარის სხვა სოფელშიც ყოფიდან გადასახლებულნი, კერძოდ, სამუხრანოს სოფელ ციხებდავში. 1713 წლისა და 1755 წლის განჩინებებში ციხებდავის მკვიდრად გიორგი ხომოზურია დასახელებული (ქსძ, 1942, გ. 252, 255, 441).

ახლა 1801 – 1802 წლის კახეთის აღწერა გადავათვალიეროთ. სოფელ ხაშმში მკვიდრობდნენ “**ბაშარული** პატარკაცი, ბოგანო”, “**ბიბილური** ივანე” (ბოჭორიძე, 1927,გ. 130,131). ბაშარულები ქსნის ხეობელი მთიელები არიან, ბიბილურები კი ლიახვის ხეობისა. ქსნისხეობელი შერმაზან **ბერიანიძე** 1801

წლისათვის გადასახლებული იყო ლალისყურში (გ.159). აქედანვე “**ბუნტური** ორაიძის სიძე თევდორე“ შაქრიანში გადასახლებულა (166). შილდაში ცხოვრობდა ქსნისხეველი **ჟურულიც** (გვ. 179). შილდის მკვიდრნი იყვნენ **თავღორაშვილებიც**. წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელით (1669 წ.) თავღორაშვილების თავდაპირველი საცხოვრისიც ქსნის ხეობის სოფელი ოძისი იყო (ქსძ, 1970, 561). 1801 წ. კახეთის აღწერაში “მთიულები” და “მთიულიშვილებიც” არიან აღრიცხული. ახმეტაში უცხოვრია “მთიულ ომანას” (გ. 154), საბუვეს – “მთიულიშვილ ნინიას” (გ. 173), ფიჩხოვანს – “მთიულიშვილ ომას და მის ძმა დათუნას” (გ.155)..

XVIIIს–ის კახეთის აღწერაში არაერთი სხვა ფაქტიცაა მთიულთა მიგრაციისა. ეს მიგრაციული პროცესები კი ძირითადად XVIIს–ში იყო განხორციელებული.

XVIIს–დან XX საუკუნეში გადმოვინაცვლოთ. კახეთში ყველაზე დიდი კომპაქტური დასახლება მთიულებმა, გუდამაყრელებმა, ხანდოელებმა და ჭართლელებმა (აგრეთვე ქსნისხეველებმა) შირაქში შექმნეს, სადაც მათ მიგრაციული მიმართულება ფშაველებმა გაუკაფეს. შიდა ქართლის მთიელთა შირაქის სოფელ ზემო ქედში დასახლება XXს–ის 10–იანი წლებიდან დაიწყო. მთიულეთიდან შირაქის სოფელ ზემო ქედში შემდეგი გვარები არიან გადმოსახლებულნი: ბურდული (1972 წლის მონაცემებით 10 კომლი); ბუჩუკური (8 კომლი); ბექიშვილი (სამი ოჯახი); ბარათაშვილი (ერთი ოჯახი); ბეგოიძე (ერთი კომლი); ბუთხუზი (ორი კომლი); გაგაძე (8 კომლი), ზაქაიძე (22 კომლი); კობაიძე (20 კომლი); კედელაშვილი (16 კომლი); კეკიშვილი (ერთი კომლი); კაიშაური (2 კომლი); ნარიმანიძე (ოთხი ოჯახი); ნადიბაიძე (სამი ოჯახი); პატაშური (19 ოჯახი); ძელური (მთიულეთში მძელურის გვარს ატარებდნენ. ორი კომლი); ჭიკაიძე (14 კომლი), სვარიძე (მთიულეთში სუარიძის გვარს ატარებდნენ. 18 კომლი); სეთური (მთიულეთში სეთურიძედ იწერებოდნენ. 8 ოჯახი); სუნტიძე (სამი კომლი); სისაური (ოთხი ოჯახი); უშარიძე (1 ოჯახი); ქავთარაძე (25 კომლი); ყველაიძე (ხუთი ოჯახი); ჩოქური (ოთხი ოჯახი), წამალაიძე (სამი კომლი); მკერვალიძე (9 ოჯახი).

გუდამაყრიდან გადმოსახლებულნი ზემო ქედში 1972 წლის მონაცემებით შემდეგი რაოდენობით მოსახლეობენ: აფციაური (29 ოჯახი), ბექაური (48 ოჯახი), წიკლაური (69 ოჯახი), ჩოხელი (35 ოჯახი), ხარხელაური (7 ოჯახი), ბუბუნაური (3 კომლი).

ხანდოდან მიგრირებული არიან: გვრიტიშვილი (12 კომლი), დავითური (3 კომლი), ვეშაგური (13 კომლი), ლაზვიაშვილი (5 კომლი), მელიქიშვილი (20 კომლი), მნათობიშვილი (4 კომლი), მოთიაშვილი (5 კომლი).

ჭართლიდან შირაქში შემდეგი გვარები არიან ჩამოსახლებულნი: გუდაშვილი (1 კომლი); გიგაური (13 კომლი); კოტორაშვილი (1 კომლი); ლალიაშვილი (5 კომლი); პაპიაშვილი (7 კომლი); ხუციშვილი (19 კომლი); ჯიქური (2 კომლი); ხუციანიძე (5 კომლი); ციხელაშვილი (2 კომლი); ჩიტაური (4 კომლი).

შედარებით გვიან, XX ს-ის 30-იან წლებში არიან შირაქში დასახლკარებული ქსნის ხეობის მთიელები და მოხევეები. ქსნელები 1972 წლის მონაცემებით ზემო ქედში შემდეგი რაოდენობით იყვნენ: ახალაშვილი (3 კომლი); ბერიანიძე (8 კომლი); ბაშარული (13 კომლი); ბუნტური (14 კომლი); ბასილაშვილი (3 კომლი); ბალხამიშვილი (3 კომლი); გამხიტაშვილი (3 კომლი); გაბრიელაშვილი (2 კომლი); გვრიტიშვილი (11 კომლი); გაროზაშვილი (6 კომლი);

ზანგური (5 კომლი); თინიკაშვილი (5 კომლი); თეზელაშვილი (7 კომლი); თანდილაშვილი (4 კომლი); თათარაშვილი (5 კომლი); თამარაშვილი (3 კომლი); თამარეული (2 კომლი); მაჭარაშვილი (3 კომლი); მელითაური (1 კომლი); მარტიაშვილი (3 კომლი); ილურიძე (13 კომლი); მიდელაშვილი (14 კომლი); მილაძე (2 კომლი); მწითურიძე (2 კომლი); ნიკოლიშვილი (3 კომლი); ნათაძე (7 კომლი); ოღაძე (3 კომლი); ოქრუაშვილი (3 კომლი); პავლიაშვილი (6 კომლი); ჟივიძე (9 კომლი); ჟამურელი (3 კომლი); რუსიტაშვილი (3 კომლი); სუხაშვილი (11 კომლი); ტატუნაშვილი (4 კომლი); ქაწაშვილი (2 კომლი); ქენქაძე (24 კომლი); ყველაშვილი (22 კომლი); შერმადინი (8 კომლი); შიუკაშვილი (5 კომლი); ჩიტიშვილი (23 კომლი); ჯაბანაშვილი (1 კომლი); ხერკელაძე (1 კომლი).

მოხევეთაგან შეიძლება დავასახელოთ: ავსაჯანიშვილი (1 კომლი), ბადაშვილი (2 კომლი); გოგბაიძე (4 კომლი); ვარძუკაშვილი (1 კომლი); ვარდაშევი, იგივე ვარდიშვილი (2 კომლი); კობიაშვილი (8 კომლი); მარსაგიშვილი (1 კომლი); მაისურაძე (4 კომლი).

შირაქში მკვიდრობენ აგრეთვე შიდა ქართლის მთისწინეთიდან მიგრირებული სხვადასხვა გვარებიც, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: ნამგალაური (ქაისხევიდან 16 კომლი), ოდიშელიძე (3 კომლი), პარკაული (ბაზალეთიდან 4კომლი), ჟიჟიაშვილი (ხორხიდან. ძირად მთიული ქავთარაძე. 10 კომლი).

მოვიყვანოთ ეთნოგრაფიული მასალები ზოგიერთი გვარის შესახებ. ზემოქედელი ქავთარაძეების უმეტესობა მთიულეთის სოფლებიდან: წიფორიდან, ქავთარანიდან და ხევშიდან არიან მიგრირებული. მაგრამ აქვე მოსახლეობენ ქავთარაძეები, რომლებიც მთისწინეთიდან-ხორხიდან არიან გადმოსახლებული. 1918 წლის ბოლოს ქავთარაძეები ბოლო დრომდე სალოცავად დადიოდნენ მთიულეთში. მთხრობლის, გიორგი სტეფანეს ძე ქავთარაძის (85 წლის, 1974 წელი) თქმით, "სანამ გადმოვსახლდებოდი, აქ ბიძაჩემი იყო ქავთარაძე და იმასთან გადმოვსახლდი. ბიძაჩემი რომ დასახლდა აქ ცოტა იყო ხალხი. ნიკალაის ომი რომ დაიწყო 1914 წ. აქ უკვე იყო ხალხი. 10-12 წლის ვიყავი, ბიძაჩემი რომ ჩამოსახლდა. იმით გადმოვსახლდი აქა, ნათესავები აქა მყავდა. მთაში ადგილი არ ვარგოდა, ზოვი და თოვლი იცოდა. კინაღამ ზოვმა დამღუპა. ჩვენი მამა-ბიძანი სამნი ძმანი იყვნენ; ორნი მეცხვარეები იყვნენ და ისინი წინ-წინ წამოვიდნენ აქ და მერე მე წამოვედი. ბიძები ზამთარში აქ მოდიოდნენ ხოლმე, ცხვარი მოუდიოდათ. ერთიმეორე ნათესავებმა გამოიყოლეს. ეს ადგილი წინავ ფშაველებზე, თუშებზე და მთიულებზე იყო გამოსული. ფშავლები უფრო ადრე ჩამოვიდნენ ქვემო ქედში და შემდეგ-მთიულეთისა და გუდამაყრის ხალხი. აქ თუშები არ გვიშვებდნენ დასახლებას. ბევრჯერ გუთნებიანად გამოგვყარეს. როგორც ბატონები ისე იყვნენ. ესენი ბევრნი იყვნენ და ჩვენ ცოტანი, თანაც ღარიბები. მთიულებს გომები გვქონდა, მეტი არაფერი. როცა გადმოსახლდნენ მიწას გამოთხრიდნენ, ზევიდან რაღაცას დააფარებდნენ და ეგ იყო გომები. ახლად ჩამოსული ხალხი ვიყავით და საიდან, რით ავაშენებდით სახლებს. ჩამოსახლებამდე ცხვარი და ძროხა გვყავდა, მაგრამ აქ არა სძლებდნენ, უწყლობით იხოცებოდნენ. იქ რომ ცხვარი და ძროხა ჰყავდათ, აქ არ წამოიყვანეს, გაყიდეს, ძმებმა გაინაწილეს ფული. ცხვრის სადგომი დაშალა ბიძაჩემმა ტარიმანაში და იმით გომი გააკეთა". მთხრობელის სიტყვით, მართალია მთიულ-გუდამაყრელებმა აქ გადმოსახლება XXს-ის 10-იან წლებში დაიწყეს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ 1930-იან წლებში.

ზემო ქედში მოსახლე ბურდულები XX ს-ის 10-იან წლებში არიან გადმოსახლებული. ისინი მოსულან არა უშუალოდ მთიულეთიდან, არამედ ჭართლის სოფელ ვაშლობიდან. იმავე პერიოდში მოსულან ბუჩუკურები და ბექიშვილები.

ბეგოიძეები შირაქში ხადადან 1930-იანი წლების დასაწყისში მიგრირებულან. ამავე დროს მოსულან აქ ბუთხუზები.

ზემო ქედში მკვიდრობენ გოგბაიძეები, რომლებიც მთიულეთიდან მოსულან. თუმცა პირველ საცხოვრისში ისინი ოგბაიძის გვარს ატარებდნენ. ახალ საცხოვრისში კი მათ გვარს ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია. გოგბაიძეები (იგივე ოგბაიძენი) ზემო ქედში XX ს-ის 10-იანი წლების შუა ხანებში ჩამოსახლებულან.

შირაქში მოსახლე გაგაძეები მთიულეთის სოფელ ზემო მლეთიდან არ არიან გადმოსახლებულნი. მათი წინაპრები ჭართლის სოფელ მუგუდიდან გადმოსულან. მთხრობლის სიტყვით, "გაგაძები ნელად ჩამოსულები ვართ. 30-იან წლებში". კედელაშვილებიც ჭართლიდან, - სოფელ ჯუღისიდან,-არიან მიგრირებულნი. ისინი ჯერ კომუნაში ჩამოსახლებულან 1930 წელს. "აქედან კაცი გაგზავნეს, ხელი მააწერინეს და მოვიდნენ ცხვარ-ხიზნითა. 1930 წელს ვინც ჩამოვიდნენ აქ, სულ ჩვენი ჩამოყვანილები არიან". 1930-იან წლებში არიან მიგრირებული აგრეთვე კაიშაურები.

შირაქში მთიულთა დასახლების დაწყების დროს არიან დამკვიდრებული ზაქაიძეები, კობაიძეები. მკერვალიძეებიც 1918 წლის წინ არის დასახლებული. მთხრობლის სიტყვით, ისინი ბურდულყოფილები არიან.

მამულაძეები კომუნის შემდეგ ჩამოსახლებულან ჭართლის სოფელ მუგუდიდან. ასევე ჭართლიდან მოსულან ნარიმანიძეები, ოღონდ 1918 წლამდე. ასევე ადრე არიან მიგრირებული ნადიბაიძეები და პატაშურები, რომლებიც ფასანაურიდან მიგრირებულან.

ზემო ქედშივე მკვიდრობენ ქავთარაძეყოფილი ჟიჟიაშვილები-ხორხის ხეობიდან. ისინი 1910-იან წლებში გადმოსახლებულან. ხორხიდანვე არიან მოსული სვარიძეები (მთიულეთში სუარიძის გვარს ატარებდნენ). 1910-იან წლებში ხორხიდან მოსულან სეთურები (მთიულეთში სეთურიძეები იყვნენ). ეთნოგრაფიული მონაცემებით, "სეთურები ქავთარაძეებს ებიძაშვილებიან. სეთურები და ქავთარაძეები ერთმანეთში ქალს არ გაათხოვებენ. არ შეიძლება ერთი სისხლისანი ვართ".

1910-იან წლებში დამკვიდრებულან შირაქში სუნტიძეები ლაკათხევიდან და სისაურები-ხადადან.

1930-იან წლებში ჩამოსახლდნენ უშარიძეები ჭართლის სოფელ დოლასქედიდან. ამავე დროს გადმოსახლებულან ყველაიძეებიც. უშუალოდ მთიულეთიდან არ მოსულან ჩოქურებიც. მათ წინაპრებს ორი-სამი თაობის განმავლობაში ჭართალში უცხოვრიათ. XXს-ის 10-იან წლებში კი ჭართლიდან შირაქში დამკვიდრებულან. ამავე პერიოდში დასახლკარებულან ზემო ქედში წამალაიძეები. 1930 წელს მოსულან ძელურები და ჭიკაიძეები. ეს უკანასკნელნი ჭართლიდან.

ზემო ქედში მთიულეთიდან და მთისწინა რეგიონებიდან მიგრირებულნი ორ ეტაპად არიან მოსული: 1910-იან და 1930-იან წლებში. მაგრამ გადასახლება მაინც ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა. მთხრობლის სიტყვით, "ეს ხალხი,

ვისაც ნათესავი ყავდა, ნათესავთან მიდიოდა. ზოგი უკან წავიდა, ზოგი სად და ზოგი სად".

ახლა შირაქში მიგრირებული გუდამაყრელების შესახებ. დღევანდელი მონაცემებით, გუდამაყრელთაგან შირაქში ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობენ წიკლაურები, რომლებიც თვით გუდამაყარშიც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ. ეთნოგრაფიული მასალებით, წიკლაურების უმეტესობა შირაქში ძირითადად გუდამაყრიდან 1910-იან წლებშია გადმოსახლებული, თუმცა მათი მიგრაცია აქ 1930-იან წლებშიც ხდებოდა. მათი ნაწილი გადმოსულია ჭართლიდანაც. ზემო ქედში მოსახლეობს კიდევ რამდენიმე გვარი, რომლებიც გუდამაყრიდან არიან წარმომავლობით და ძირი-გვარი წიკლაური ყოფილა. ასეთად შეიძლება დავასახელოთ **ახალაშვილების** გვარი. ისინი შირაქში უშუალოდ გუდამაყრიდან არ არიან მოსული. გადმოსახლებულან თრიალეთის ქედიდან. ახალაშვილები 1910-იან წლებში მიგრირებულან. მთხრობლის სიტყვით, "ახალაშვილები იგივე წიკლაურები არიან, ხატი აქვთ ფუძის ანგელოზი". ძირად წიკლაურები არიან **თამარაულებიც**. ეს გვარი მხოლოდ შირაქში გვხვდება და იგი ახალი წარმოქმნილია. 1910-იან წლებში ქვემო ქართლიდან ივანე წიკლაური ზედსიძედ მოსულა ვინმე თამარასთან, რომელთა შთამომავლებს თამარაულის გვარი მიუღიათ. ზემო ქედში კიდევ მოსახლეობს ერთი გვარი-**ბასილაშვილი**, რომლებიც ასევე ძირად წიკლაურები არიან. მათი წინაპარი გუდამაყრიდან გადმოსახლებულა 1910-იან წლებში. ისევე როგორც წიკლაურები, ბასილაშვილებიც პირიმზე-ფუძის ანგელოზის ყმებად თვლიან თავს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ შირაქში გვხვდება ისეთი გვარსახელები, რომლებიც ისტორიულად გუდამაყარში იყო გავრცელებული და უკანასკნელი დროის (XIX ს-ის) ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ისინი უკვე აღარ გვხვდებოდნენ. ესენია **ბუბუნაურებისა** და **ხარხელაურების** გვარები. როგორც ერთი, ისე მეორე გუდამაყარში მოსული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მეზობელი კუთხეებიდან: პირველნი-ხევსურეთიდან, მეორენი-ფშავიდან. გუდამაყარში არსებული სოციალური სტრუქტურის კვალობაზე, როგორც ბუბუნაურები, ისე ხარხელაურები წიკლაურთა გვარში (თემში) შევიდნენ. მათ დაკარგეს თავიანთი გვარი, თუმცა გადმოცემით, ისინი დანარჩენი წიკლაურებისაგან გამოიყოფოდნენ, როგორც წიკლაურ-ბუბუნაურები და წიკლაურ-ხარხელაურები. სხვათაშორის, ეს იყო ერთ-ერთი გზა გუდამაყარში ტერიტორიული თემის ჩამოყალიბებისა-დიდ გვარში მცირე და სუსტი გვარების შესვლა იწვევდა ტერიტორიულ გაერთიანებათა (თემთა) წარმოქმნას. შირაქში ბუბნაურები უშუალოდ გუდამაყრიდან არ მოსულან. მათი წინაპარი ჯერ კიდევ ადრე ხორხში გადასულა და ხორხიდან არიან ისინი შირაქში ჩამოსახლებული. გადასახლების იგივე გზა გაუვლიათ ხარხელაურებს. ისინიც ხორხიდან 1910-იან წლებში ჩამოსულან.

ზემო ქედში გუდამაყრელი აფციაურები მოსული არიან როგორც გუდამაყრიდან, ისე თრიალეთის ქედიდან XXს-ის 10-იან წლებში. განსაკუთრებით ბევრი აფციაური მოსულა სოფ. ცხვედიათიდან. აფციაურთ ტარიელაანთ მამიშვილობა კი თრიალეთის ქედის სხვადასხვა სოფლიდან მიგრირებულა. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ბექაურების შესახებ. ისინი გადმოსახლებული არიან გუდამაყრიდანაც და ქვემო ქართლიდანაც. მათი მიგრაციაც დროის ორ მონაკვეთს მოიცავს. XXს-ის 10-იანი და 30-იანი წლები.

ზემო ქედში ჩოხელების ძირითადი ნაწილი 1930-იან წლებში დასახლკარებულა, თუმცა ამ გვარის პირველი წარმომადგენლებიც აქ მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაციის საწყისს ეტაპზე არიან მოსული.

ხანდოდან მოსულია რამდენიმე გვარი. **გვრიტიშვილების** მამა-პაპა ადრევეა ჩამოსახლებული. **ვეშაგურები** სოფ. ბანცურიდან მიგრირებულან 1910-იან წლებში. ამავე დროს მოსულან **ლაზვიაშვილები**, **მელიქიშვილები**, **მოთიაშვილები**. **მნათობიშვილები** თავიანთი გადმოსახლების თარიღად 1918 წელს ასახელებენ, **ქურციკიშვილები**-1930 წელს.

მთიულ-გუდამაყრელთა შირაქში მიგრაციის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მონაცემებიდან აშკარად ჩანდა, რომ მათი ნაწილი აქ ჭართლიდან გადმოსახლებულა. ამ შემთხვევაში მათთვის ჭართალი წარმოადგენდა ერთგვარ საფეხურს, შუალედურ რგოლს უფრო დაბლობში გადასასახლებლად. ჭართალში მთიულ-გუდამაყრელები ძირითადად გადმოსახლებული იყვნენ XIX ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 60/70-იან წლებამდე. შიდა ქართლის აღნიშნული მთიანი რეგიონებისათვის ბარში მიგრაციის საადაპტაციო ზოლს ჭართალთან ერთად ხორხიც წარმოადგენდა. რაც შეეხება უშუალოდ ჭართლის მოსახლეობას - ისინი შირაქში, შეიძლება ითქვას, ისევე როგორც მთიანეთის სხვა რეგიონების მცხოვრებნი, სრული სახით არიან წარმოდგენილნი. ჭართლიდან გიგაურთა შირაქში მიგრაცია XX ს-ის 10-იან წლებში მომხდარა. ჭართლიდანვე შირაქში მოსული არიან გიგაურთა ძირი-გვარიდან გამოსული სხვა გვარებიც: **გოგიშვილები**, **გუდაშვილები**, **კოტორაშვილები**, **პაპიაშვილები**, **ჩიტაურები**, **ციხელაშვილები**, **ჯიქურები**, **ხუციშვილები**, **ხარებაშვილები**, აგრეთვე ჭართლის ერთ-ერთი ძირძველი გვარი-**ხუციანიძე**. ყველა ჩამოთვლილი გვარი ზემოქედში 1930-იან წლებშია დამკვიდრებული.

ეთნოგრაფიული მასალებით მთიულების, გუდამაყრელების, ხანდოელების, ჭართლელების, შიდა ქართლის მთისწინელების გადმოსახლების პარალელურად მიმდინარეობდა ქსნისხეველების (როგორც თვითონ უწოდებენ, ქსნელების) და მოხევეების ჩამოსახლება: "მოხევეები და ქსნელები არიან ზემო ქედში. როცა ეს მთიულები ჩამოვიდნენ, მაშინ არიან ჩამოსულები, ნიკალაის ომის წინ ჩამოსულები არიან ეგენი. ცალ-ცალკე უბნად არიან დასახლებული." პირველი ქსნელი 1918 წლის წინ გადმოსახლებულა. ის გვარად **ყველაშვილი** ყოფილა. ქსნელების ძირითადი ნაწილი შირაქში 1930-იან წლებშია მიგრირებული. ვანო ზაქარიას ძე ბაშარულისაგან (88 წლის, 1974 წელი) ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა: "ბაშარულები ძირად მთიულეთიდან ვართ, ლუთხუბიდან (ლუთხუბი გუდამაყრის სოფელია,-რ.თ.). ძირად წიკლაურები ვართ. ლუთხუბში წიკლაურები ვიყავით. მერე გადმოსახლებულან ქსანზე, სოფელ დაბაკნეთში (1774 წ. აღწერით ქსნის ხეობის ცხრაზმის ხევში და სოფელ იკოთში 14 კომლი ბაშარული მკვიდრობდა,-რ.თ.). როდის გადმოსახლდნენ ლუთხუბიდან დაბაკნეთში არ ვიცი; დიდი ხნის ამბავია. ლუთხუბში რაღაც ხათაბალა მოსვლია, წამოსულა ის კაცი და ქსანში ბატონების ადგილში დამდგარა. იმ კაცს, ვინც გადასახლდა ფაშა რქმევია და ფაშარულის გვარი მიიღო. მერე კი ბაშარულად გადაკეთდა. ბაშარულების სალოცავი არის ქსანზე "ლომისა-მთავარმოწამე" სოფ. პოვლიანში. ზემო ქედში ქსნელები ადრე ჩამოსახლდნენ. მე 1930 წელს გადმოვსახლდი. სხვები კი ადრე, 1918 წელს წინ იყვნენ მოსული. იქ უმიწაწყლო ქვეყანა იყო, მთა ადგილი იყო და იმიტომ გადმოსახლდნენ აქა. წინ-

წინ ფშავი, შემდეგ კი მთიულეთი არის გადმოსული. მაგათ მეცხვარეობით გაიტანეს ეს მინდორი და ქსნელები გვიანღა ჩამოვიდნენ. იქ დღეობებში ერთმანეთს ხვდებოდა ხალხი და იქიდან გაიგეს, რომ შირაქში ყოფილა ბევრი თავისუფალი მიწები და შეიძლება იქ წავიდეთ და ვიცხოვროთო. მთიულები და ქსნელები ლომისას მთაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, გაიგეს თავისუფალი ადგილი რომ იყო და დაიწყეს გადმოსახლება. ჩამოვიდნენ, მოხნეს, დათესეს, წავიდნენ უკან. მერე ჩამოვიდნენ. მომკეს და რახან კარგი მოსავალი მოვიდა, დარჩნენ თავდაპირველად მოხუცები, რადგან მთაში წინ და უკან სიარული უჭირდათ". საყურადღებოა ამ მთხრობელის მიერ მოწოდებული ეთნოგრაფიული მასალა, რომ მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები და ჭართლელები მაშინ არიან ქსნის ხეობაზე გადმოსული, როდესაც არაგვის ხეობის მთა უბატონო იყო. ამავე მთხრობელთან ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, დღეს ზემო ქედში მოსახლე "**ოქრუაშვილები** ქსნის ხეობიდან არიან გადმოსახლებულნი. წარმოშობით არაგვიდან არიან,-ხანდოდან. ხანდოდან გადასულები არიან ქსანზე სოფ. თოხთაში. არაგვზე უმამულობის გამო, ქსანზე ბატონის ადგილზე გადასულან. ეგ დიდი ხნის ამბავია. ზემო ქედში თოხთიდან არიან მოსულები 1930 წლის შემდეგ".

ამრიგად, შირაქში შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია ძირითადად ორ ეტაპად განხორციელდა: ა) XXს-ის 10-იანი და 20-იანი წლების დასაწყისი და ბ) XX ს-ის 30-იანი წლები. ეს ორი ეტაპი თვისობრივად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ისინი განხორციელდა განსხვავებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში. პირველი ეტაპის დროს, მთიულ-გუდამაყრელთა და სხვა მთიელთა მიგრაცია სტიქიურად მიმდინარეობდა და ინდივიდუალურ სახიათს ატარებდა, თუმცა გადასახლების მასობრივი ხასიათის გამო, შეიძლება ჯგუფურ გადასახლებებს მივაკუთვნოთ. ამ ეტაპის გადასახლებები ძირითადად განპირობებული იყო მთაში არსებული უაღრესად მძიმე ეკონომიკური ვითარებით, დემოგრაფიული და ეკონომიკური მომენტების არაშეთანაწყობით. ჩვენი მთიდან დროდადრო ასეთი მიგრაციული პროცესები მთაში იწვევდა ერთგვარ დემოგრაფიულ სტაბილურობას, შირაქში შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციის მეორე ეტაპი 1930-იან წლებში განხორციელდა. იგი ძირითადად კოლექტივიზაციის პერიოდს დაემთხვა. ყველა გადმოსახლებული თავისი ნებითაა მოსული, ხელისუფლების მხრივ მოსახლეობის ძალით აყრა-გადასახლება არ მომხდარა, ისე როგორც იგი 1950-იან წლებში განხორციელდა ხევსურების მიმართ. 1930-იან წლებში შირაქში შიდა ქართლის მთიელთა გადმოსახლება, გაგრძელება იყო 1910-იან წლებში დაწყებული პროცესისა. 1930-იანი წლების მიგრაციაში დიდი როლი ითამაშა ფსიქოლგიურმა ფაქტორმა-მიგრანტი ნათესავ-მოგვარეთა გარემოში გადმოსახლდებოდა. ახლად გადმოსახლებულთათვის გარემო მთლად უცხო აღარ იყო, რადგან ისინი ნაწილობრივ უკვე გაცნობილი იყვნენ მას, ადრე გადმოსახლებულ ბიძაშვილ-მოკეთეებთან ორმხრივი კონტაქტების კვალობაზე. 1930-იანი წლების მიგრაციაც, ისევე როგორც 1910-იანი წლებისა, მთაში არსებული ეკონომიკური გაჭირვებით იყო გამოწვეული.

მთიულ-გუდამაყრელთა შირაქის მხარეში მიგრაცია საბჭოთა ხელისუფლების წლებში შემდეგაც გრძელდებოდა. მათი ერთ-ერთი ასეთი დასახლება აქ შეიქმნა 1963-1964 წლებშიც. მხედველობაში გვაქვს სოფელი თავწყარო. მთიულ-გუდამაყრელები თავწყაროში დასახლდნენ ქართლის გაღმა

მხარის სოფელ ჩაჩუბეთიდან და დღევანდელი დუშეთის რაიონის ხეობის სასოფლო-საბჭოს სოფელ წობენიდან. როგორც ერთი, ისე მეორე მთისწინა (ზეგანი) მხარეა, სადაც მოსული იყვნენ XIX ს-ის შუა ხანებში. ორივე ამ სოფლიდან მთიულ-გუდამაყრელთა შირაქის მხარეში მიგრაცია საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით იყო ნაკარნახევი. თავწყაროში მოსახლეობენ: **აფციაურები** (ოთხი კომლი, გადმოსახლებულნი წობენიდან); **მიგრიაული** (2 კომლი); **კობაიძე** (2 კომლი), **ქავთარაძე** (5 კომლი), **ჩოხელი** (2 კომლი), **წიკლაური** 2 კომლი) - ყველანი ჩაჩუბეთიდან არიან.

მანამ სანამ ზოგიერთ დასკვნას წარმოვადგენთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ შირაქში (და საერთოდ დღევანდელი დედოფლისწყაროს რაიონში) საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების მოსახლეობაც ცხოვრობს. ცნობილია, რომ აქ პირველი მიგრაციული ნაკადი ფშაველებისა იყო და პირველი სოფელიც (ქვემო ქედი) მათ დააფუძნეს (თოფჩიშვილი, 1984, გვ. 42-49). შირაქში ხევსურებიც მკვიდრობენ (სოფ. არხილოსკალო). ხევსურები დასახლებული არიან დედოფლისწყაროში, ე.წ. ხევსურების უბანში: **ცისკარაულები** (21 ოჯახი), **არაბულები** (15 ოჯახი), **წიკლაური** (11 ოჯახი), **ნაროზაული** (6 ოჯახი), **გოგოჭური** (2 ოჯახი), **გიგაური** (2 ოჯახი). ხევსურები დედოფლისწყაროში 1959-1960 წლებში არიან დასახლებული ახმეტის რაიონის სოფელ კვერნაძეულიდან, სადაც ხევსურეთიდან 1909-1910 წლებში იყვნენ მიგრირებულნი. "არხოტიდან ჩვენი კვერნაძეულში გადმოსახლების მიზეზი ის იყო, რომ მჭიდროობა იყო. ადგილი, სახნავი არ იყო, გზაც არ იყო, საით რას მოიტანდი. ერთი კომლის მიწა ხუთ ძმას ეჭირა ხოლმე და ადგა და კახეთში წამოვიდა ხალხი" (ცისკარაული იმედა მარტიას ძე, 85 წლის, 1974 წელი).

ასეთია შიდა ქართლის მთიელთა კახეთში მიგრაციის სურათი. აშკარაა კახეთის ბარში მთიულების, გუდამაყრელების, ჭართლელების, ხანდოელების, ქსნისხველების და სხვათა მიგრაცია XVII ს-დან. შეიმჩნევა ასეთი გადასახლებები უფრო ადრეც, წინა საუკუნეებში. კახეთში შიდა ქართლის მთიანეთიდან XVII-XVIII სს-ში მოსახლეობის მიგრაცია არაინტენსიური იყო, განსხვავებით კახეთის მთიელთა (ფშავ-ხევსურთა) მიგრაციისაგან. თუმცა, როგორც ჩანს მთიულთა კახეთის ბარში გადასახლებას ზოგჯერ ჯგუფური სახეც უნდა მიეღო, რის დამადასტურებლად ახმეტის მახლობლად ჯერ კიდევ XVII ს-ის საბუთით დადასტურებული სოფელი "მთიული" გამოდგება. შიდა ქართლის მთიელთა (ისევე როგორც ფშავ-ხევსურთა) კახეთში გადასახლება ხდებოდა გარე კახეთსა და დღევანდელი ახმეტისა და თელავის რაიონებში. XX საუკუნემდე საერთოდ არ ხდებოდა შიდა ქართლის მთიანეთის დასახელებული რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაცია კახეთის იმ მხარეებშიც, რომლებიც სასაზღვრო ზოლთან ახლოს მდებარეობდნენ (ქიზიყი, შირაქი). სანაპირო ზოლში მდებარე ეს კუთხეები ხშირ დავდასხმებს განიცდიდნენ მეზობელი არაქართული ეთნიკური ერთეულებისაგან და ბუნებრივია, ქართველი მთიელებიც ერიდებოდნენ ასეთ რეგიონებში ჩასახლებას, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი ასათვისებელი მიწა იყო.

XX ს-ის დასაწყისიდან მთიულ-გუდამაყრელებმა ერთ-ერთ განაპირა მხარეში-შირაქში სხვა მთიელებთან (ფშაველები, ხევსურები) შექმნეს დიდი კომპაქტური დასახლება სოფელ ზემო ქედის სახით. ამ პერიოდში მთიელთა აქ ჩამოსახლებას უკვე საფრთხე აღარ ემუქრებოდა, რადგან აღარ არსებობდა ის

დამაბრკოლებელი ფაქტორები, რომლებიც ადრე ასეთ პროცესებს ხელს უშლიდნენ.

თ ა ვ ი V.
შიდა ქართლის მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის ზოგიერთი ეთნოისტორიული და სოციალურ-რელიგიური ასპექტი და დასკვნა

წინა თავებში მოყვანილი საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემებით აშკარაა შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის ინტენსიურობა. შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია მიმართული იყო აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისაკენ, პირველ რიგში შიდა ქართლისავე მთისწინა (ზეგან) და ბარის რაიონებისაკენ. მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ჭართლელები, მოხევეები, ქსნისხეველები და სხვ. გარდა შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარისა მიგრირდებოდნენ აგრეთვე ერწო-თიანეთში, თრიალეთის ქედზე (როგორც ქვემო ქართლის, ისე შიდა ქართლის მხარეზე), კახეთში.

შიდა ქართლის მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია ბევრი რამით თითქმის ანალოგიურია კახეთის მთიელთა, - ფშაველთა და ხევსურთა, - მიგრაციებისა (თოფჩიშვიილი, 1984), თუმცა მათ განმასხვავებელი ნიშანიც არაერთი გააჩნიათ. შიდა ქართლის მთიდანაც მოსახლეობის დაბლობისაკენ გადასახლება ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით აშკარად ხელშესახებია XVII საუკუნიდან და ეს პროცესი თითქმის დაუბრკოლებლად გრძელდებოდა XVIII, XIX და XX საუკუნეებში. მაგრამ ირკვევა, რომ ისე როგორც კახეთის მთიელები შიდა ქართლის მთიელებიც ინტენსიურად და აქტიურად მიგრირდებოდნენ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში უფრო ადრეც, XVIIს-ის წინა პერიოდებშიც. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას საისტორიო საბუთებთან ერთად ტოპონიმების ანალიზიც გვაძლევს. ამის დამადასტურებელია თუნდაც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობათა ქართული მოსახლეობის მთიდან ერთდროულად აყრის შესახებ. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განუხორციელებია ამ მხრივ XVს-ის პირველ ნახევარში ალექსანდრე I-ს. მეფეებს არც ქართველი ფეოდალები ჩამორჩებოდნენ; ისინი მუდმივად ზრუნავდნენ გაპარტახებული ბარის რაიონები ახალმოსახლეებით მოეშენებინათ და ასეთი ახალმოსახლეები ხშირად ქართველი მთიელებიც იყვნენ. საილუსტრაციოდ აქ 1470 წლის საბუთი "გუჯარი ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის შალვასი, ბოძებული ლარგვისის მონასტრისადმი" შეიძლება მოვიყვანოთ: "აღვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ მურვანის ჟამსა უკანით კაცი არ სახლებულიყო. აგრეთვე ქსანსა ზედა სოფელი ჰერედა ოჴერი აღვაშენე და ზუარი, ქურთაჲ და სხუაჲ, ვინცა ლარგვის მონასტრისათვის შეწირული იყო ჩვენთა პაპათა და ჩამომავალთაგან, ეგრეთვე უცვალებლად იყო" (თაყაიშვილი, 1910, გვ. 558). როგორც ჩანს, ქსნის ერისთავები გაპარტახებული ბარისა და მთისწინეთის საერისთავოს სოფლებს საერისთავოსავე მთის სოფლების მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე ახდენდნენ. ამის დამადასტურებელი XVIII-XIX საუკუნეების საარქივო მონაცემები და ეთნოგრაფიული მასალები გაგვაჩნია.

ისტორიის სიღრმეში უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ, IX საუკუნეში შიდა ქართლის მთიელთა ინტენსიური აყრა-გადასახლება მოხდა კახეთში. მხედველობაში გვაქვს თერგის ხეობაში მოსახლე ქართველი მთიელი წანარები, რომელთა ასეთმა ერთდროულმა მიგრაციამ წანართა ეთნოგრაფიული ერთეულის გაქრობაც კი გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, საშუალება მისცა სხვა ქართველ მთიელებს-დვალებს მათ ნამოსახლარებზე დაფუძნებულიყვნენ (მხედველობაში გვაქვს თერგის ხეობის გარკვეული მონაკვეთი-თრუსო).

კახეთის მთიელთა მიგრაციის შესწავლის შედეგად აღნიშნული გვქონდა, რომ ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია ერთგვარად კანონზომიერი პროცესი იყო. ეს კანონზომიერება დასტურდება მთიელთა, გუდამაყრელთა, მოხევეთა, ჭართლელთა, ხანდოელთა, ქსნისხეველთა და სხვათა მიგრაციული პროცესებითაც. თუმცა მთიელთა ბარში ერთდროულ აყრა-გადასახლებას კანონზომიერებად ვერ მივიჩნევთ. მხედველობაში გვაქვს ჯერ წანარების, შემდეგ დვალების და ბოლოს დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის მთიელთა ერთდროული აყრა და ბარში გადასახლება. ასეთი მიგრაციები ძირითადად მიზეზთა სხვა ერთობლიობით იყო განპირობებული, ძირითადად კი მოსაზღვრე მთიანი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებიდან უცხო ეთნიკური ერთეულების მოძალებით. მთიელთა კანონზომიერი მიგრაციის ჩარჩოებში მხოლოდ ასეთი მიგრაციები ექცევა, რომლებიც ძირითადად ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებით იყო განპირობებული. ცნობილია და არაერთგზის გვიხდება იმის განმეორება, რომ მთა მხოლოდ მოსახლეობის განსაზღვრულ რაოდენობას იტევდა და მოსახლეობის ნამატი იძულებული იყო სხვაგან მიგრირებულიყო. მთაში მოსახლეობის რაოდენობა ლიმიტირებული იყო. მთას შეეძლო გამოეკვება მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა. მთა ვერ იტანდა მოსახლეობის გადამეტსახლებას და ქართველი მთიელების მუდმივი გადასახლებანიც საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ამ მიზეზით იყო განპირობებული. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ხდებოდა მთიელთა მიგრაციები მთისწინეთსა და ბარში. ასეთ მიგრაციულ პროცესებს ერთი მიმართულება როდი ჰქონდა. ის რამდენიმე მიმართულებით მიემართებოდა და ისტორიული პირობების გათვალისწინებით ეს მიგრაციული ნაკადები ხან ერთი არხით მიემართებოდა, ხან მეორეთი და ა.შ. თუმცა, შეინიშნება ქართველ მთიელთა ქვეყნის გარეთ, ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გადასახლების შემთხვევებიც. აშკარაა, რომ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს შორის მოსახლეობის გაცვლა მთელი ისტორიის მანძილზე მუდმივად ხდებოდა. ჩვენს მთაში, მის ყველა კუთხეში ასე ამანათად შემოხიზნული ძირად ვაინახი თუ ოსი, დაღესტნელი თუ ჩერქეზი არაერთი გვხვდება. ასევე ბევრი წარმოშობით ქართველია ამ დასახელებულ ხალხებში. ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთებში მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩვენს მთაში ძირითადად გაჟონვითი ხასიათის იყო. თუმცა XIX ს-ში ასეთმა მიგრაციებმა ჯგუფური გადასახლებების ფორმაც მიიღო. აქ შეიძლება ქისტების პანკისის ხეობაში გადასახლება გავიხსენოთ და მოხევეთა ვლადიკავკაზში მიგრაცია XIX ს-ში. ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მოხევეთა მიგრაცია უფრო გაძლიერდა XX ს-ში. 1860 წლიდან 1886 წლამდე ხევიდან შეინიშნება ინტენსიური მიგრაციული პროცესები. მოხევეთა ეს გადასახლება-მიგრაცია საქართველოს ბარში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას

როდი ემსახურებოდა. ხევის მოსახლეობა თერგის დინებას მისდევდა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად ოსეთში მკვიდრდებოდა. მართალია, 1886 წელს 100-მდე ოჯახი (690 სული) მოხევეებისა, ხევში იყო ჩაწერილი, მაგრამ რეალურად ისინი უკვე ვლადიკავკაზსა და მის ოკრუგში ცხოვრობდნენ. აღარას ვიტყვით რაჭველთა მიგრაციებზე ანალოგიური მიმართულებით.

საქართველოს მთიანეთიდან მოსახლეობის მუდმივი მიგრაციული პროცესების მიუხედავად ეს გეოგრაფიული რეგიონი მაინც ერთგვარად გადამეტსახლებული იყო. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ქართველ მთიელს (და მათ შორის შიდა ქართლის მთიელებს) ყოველთვის არ შეეძლოთ თავისუფლად მიგრირებულიყვნენ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში. მთიელთა ინდივიდუალური, გაჟონვითი გადასახლებანი თუ მუდმივი პროცესი იყო, ინტენსიური და ჯგუფური გადასახლებანი მხოლოდ ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ ხდებოდა.

მტერთა ხშირი თავდასხმებისა და ბარში უკიდურესი გაჭირვების დროს, პირიქითი მიგრაციული პროცესები ხორციელდებოდა–მტრისაგან დევნილი ბარელი ქართველები მთას აფარებდნენ თავს. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესი მოსახლეობის მიგრაციისა ბარიდან მთაში ისეთივე ხასიათის როდი იყო, როგორც მთიელთა ბარში ჩამოსახლება. მთიელი მთისწინეთსა და ბარში თუ მუდმივად ჩამოსახლდებოდა, ბარელთა მთაში ასახლებას მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ, ბარელი ისევ უკან ბრუნდებოდა მამა-პაპათა საცხოვრისში (ჩვენი მთის ყველა კუთხეში მკვიდრობენ გვარები, რომლებსაც ბარული წარმომავლობა აქვთ, თუმცა მცირე რაოდენობით) ფართო მინდვრისა და წინაპართა ჩაყრილი ვენახის დასამუშავებლად და თან მისი შემფარებელი მთიელიც მოყავდა, გადასახლების გზას უჩვენებდა და თავისი ძმისა და ბიძაშვილის, მეზობლისა და თანასოფლელის ნასახლარსა და პარტახტზე ასახლებდა. მთიელიც მოდიოდა და ხდებოდა ეკლესიის, მეფის, თავად-აზნაურის ყმა, - არ ერიდებოდა იმას, რომ ჰკარგავდა თავისუფალი მწარმოებლის, მთიელის სტატუსს, იმდენად დიდი იყო მთაში ეკონომიკური გაჭირვება. ზემოთ არაერთი მაგალითი მოვიყვანეთ იმის დამადასტურებელი, რომ შიდა ქართლის მთიელთა, ისევე როგორც ფშავ-ხევსურთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის ძირითადი მიზეზი იყო გეოგრაფიულ-ეკონომიკური ფაქტორი. ნიშანდობლივია ერთი მთხრობელის ნათქვამი, რომ "ერთი კომლის მიწა ხუთ ძმას ეჭირა".

შიდა ქართლის მთიელთა (და ყველა ქართველი მთიელის) მიგრაციის ხელისშემწყობის როლში ერთგვარად გვევლინება ის ეკონომიკურ-სამეურნეო კავშირები, რომელიც ოდითგანვე საქართველოს მთასა და ბარს შორის არსებობდა. მთა და მთიელნი არასოდეს არ იყვნენ ბარისაკენ მოწყვეტილნი. მთიელები მუდმივად იცნობდნენ ბარში და ზეგანზე არსებულ სიტუაციას და ისინი ადვილად წყვეტდნენ მთიდან ბარში საცხოვრებელი ადგილის შეცვლის პრობლემას. სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებში პირველ რიგში შიდა ქართლის მთიელთა (და სხვა მთიელთა) მიერ ბარის საძოვრების გამოყენებას ვგულისხმობთ, რაც ქართულ საისტორიო საბუთებში ჯერ კიდევ ადრეა დადასტურებული. ვახუშტი ბატონიშვილი კახეთის მთიელთა შესახებ წერდა: "არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი, და ამან ლევან დაიპყრნა არა ძლითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა

თიანეთსა შინა და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა" (ქც, 1973, გვ. 573). შესაბამისად შიდა ქართლის მთიელები შიდა ქართლის ბარში აბალახებდნენ ცხვარს. ქართველ ისტორიკოსებს მთისა და ბარის ურთიერთობის ეს ფორმა ადრე ფეოდალური პერიოდიდან აქვთ დადასტურებული (მუსხელიშვილი, 1966), რომელმაც განსაკუთრებულ მასშტაბებს საქართველოში XIX ს-ში, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების შემდეგ მიაღწია. აღნიშნული თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მთიელთა გარე სამუშაოზე სიარულს, რაც ასევე ქართულ დოკუმენტებშია დადასტურებული. XVI ს-ის საბუთით ტრადიციული იყო სვანთა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გარე სამუშაოზე სიარული. ისინი კახეთამდე, სამცხემდე და გურიამდე აღწევდნენ. მთიანი აჭარის მოსახლეობაც დადიოდა გარე სამუშაოზე. XIIს-ის ავტორის აბუსერიძე ტბელის თხზულებაში პირდაპირაა მითითებული ღარიბი გლეხის ბოლოკ-ბასილის "მახლობლად თფილისისასა" საშოვარზე წასვლა. ბოლოკ-ბასილის მსგავსად მთიანი აჭარიდან სხვა გლეხებიც დადიოდნენ საშოვარზე-მოსარეწელად. რაც მთავარია, მთიელ აჭარელ გლეხებს სხვადასხვა ხელობა ჰქონდათ შესწავლილი და ისინი სწორედ ამ ხელოსნობით ირჩენდნენ თავს (აბუსერიძე ტბელი, 1941 წ.). გარე სამუშაოზე სიარული არც შიდა ქართლის მთიელებისათვის იყო უცხო.

მთიელთა მიგრაციას მთისწინეთსა და ბარში ხშირად აპირობებდა მთაში მომქმედი ხალხური სამართალი. მესისხლეობის გამო, შიდა ქართლის მთიელები მამა-პაპათა საცხოვრისს სტოვებდნენ. ასეთ მიგრანტებად მხოლდ ერთი პიროვნება ანდა მისი ოჯახი კი არ გვევლინებოდა, არამედ რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა თავიანთი მშობლებით. ისიც მოხდა, რომ XVIIს-ის დასაწყისში ხევსურეთის ორ სოფელში - მოწმაოსა და დათვისში მცხოვრები ერთი გვარის ხალხი-გიგაურები მთლიანად აიყარნენ და ჭართალში ჩამოსახლდნენ, რაც თავის მხრივ ასევე ხალხური სამართლისადმი პასუხისმგებლობის თავის არიდებით იყო განპირობებული.

შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო აგარეთვე ბუნებრივ-სტიქიური მოვლენები, მაგალითად, ზვავების ჩამოწოლა. შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობისათვის გადასახლების ერთ-ერთი გამაპირობებელი ფაქტორი იყო სოციალური დაპირისპირებაც, განსხვავებით კახეთის მთიელებისაგან. არაგვის ერისთავების მიერ არაგვის ხეობის მთიანეთის (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართლი, ხევი) დამორჩილების შემდეგ მთიელები სწორედ ამის გამოც გადასახლდებოდნენ სხვაგან. მთაში ყმობას, ბარში ყმობა სჯობდა. იხიზნებოდნენ არაგვის საერისთავოდან ქსნის საერისთავოში. XVIIIს-ში არაერთი მთიულ-გუდამაყრელი იყო ხიზნად ქსნის საერისთავოში. ქსნისხეველები კი ხიზნად არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში იდგნენ, აგრეთვე მოსაზღვრე საამილახვროში.

ერთი ფეოდალური ერთეულის ფარგლებში ხშირადაა დამოწმებული ე.წ. "ორკომობა". ბევრი მთიელი უცბად ვერ წყდებოდა მთას და ბარშიც იჩენდა ადგილ-მამულს. მაგალითად, ლეხურას ხეობის ზემო წელის სოფელი ქოლოთი და მეჯვრისხევი ქსნის საერისთავოში შედიოდა. ქოლოთელები დღეს ძირითადად მეჯვრისხევში არიან გადმოსახლებულნი. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ მეჯვრისხევში გადმოსახლებამდე ქოლოთელ მთიელებს აქ ქსნის ერისთავების მიერ ადგილი ჰქონდათ ბოძებული. გაუყრელი ოჯახის ერთი წევრი თუ მთაში ეწეოდა მეურნეობას, მეორე-ბარში. აი,

ეთნოგრაფიული მასალა: "მეჯვრისხევში ვენახი გვქონდა, ვენახში სახლი გვედგა და ვცხოვრობდით მთაში. ჩამოვიდოდით ბარვის, სხვლის და დაკრეფის დროს. ზოგი ღვინო მთაში მიგვქონდა. ორკომობაა ეგ, აქაც და იქაც რომ ვცხოვრობდით. ასეთ ორკომობას ბევრი ეწეოდა. მამულის მოძრაობა ჰქონდათ. ორგან რომ ცხოვრობ, ეგაა ორკომობა. ქოლოთში მცხოვრებ პაპაჩვენებს ერისთავიანთ მამულში სანახევროდ გაუჩენიათ ვენახები". ასეთი ორკომობა ჩვეულებრივ ბოლოს "ერთკომობით" მთავრდებოდა. მთიელები ბარში ირჩევდნენ ცხოვრებას, აქ დასახლკარდებოდნენ.

საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ, XIXს-ში მთიულების, გუდამაყრელების, ხანდოელების და ჭართლელების მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ცარიზმის ხელისუფალთა მიერ საქართველოს სამხედრო გზაზე დაწესებული ე.წ. "საგზაო ბეგარა". ბეგარა მთიელებისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ თავის დაღწევის მიზნით ისინი აქედან მიგრირდებოდნენ.

მთიულებისათვის მიგრაციის ერთ-ერთ გამაპირობებელ ფაქტორად იქცა აგრეთვე არაგვის ხეობის სათავეში-ღუდაში დასახლებულ ოსებთან ხშირი კონფლიქტები, მოსული არაქართული ეთნიკური ერთეულის მხრივ განხორციელებული ხშირი მეკობრეობა-ქურდობა. სხვათაშორის, სწორედ ოსთა ხშირი ლაშქრობების, მეკობრეობის შედეგი იყო ის, რომ ქართველი მთილებისაგან თავის დროზე დაიცალა ჯერ დვალეთი, შემდეგ მაღრანდვალეთი, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, მეჯუდას, ლეხურას და ქსნის ხეობათა სათავეები. შიდა ქართლის მთიანეთის ამ ხეობებიდან მოსახლეობის “სოფლეურად აყრა” დასტურდება როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით, ისე საისტორიო საბუთებით.

ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციით დაინტერესებულნი იყვნენ ქართველი მიწისმფლობელნი. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, მტერთა ხშირი თავდასხმების გამო, ბარში ბევრი იყო ნასახლარი, პარტახტი, ნასოფლარი. ქართველ ფეოდალს კი მიწის მუშა სჭირდებოდა. ისინი კი ხელს უწყობდნენ მთის ნამატი მოსახლეობის ბარში დაფუძნებას. ამით კი ერთგვარად წყდებოდა ეთნოდემოგრაფიული პრობლემებიც, რომლებიც ხშირად იჩენდა თავს.

XIXს-დან შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციამ განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ XVII-XVIII საუკუნეებშიც შიდა ქართლის მთიელები ინტენსიურად გადასახლდებოდნენ მთისწინეთსა და ბარში, მასშტაბები XIX-XXს-ში შეიცვალა. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ XVII-XVIIIს-ში და წინა პერიოდებშიც თითქმის მუდმივი საგარეო თავდასხმები არ აძლევდა მთიელებს მასშტაბური ჩამოსახლების საშუალებას. თუმცა მშვიდობიანობის ჩამოვარდნის პერიოდებში ჯგუფური გადასახლებები მაინც ხორციელდებოდა. XIXს-ში კი როდესაც საგარეო საშიშროება აღიკვეთა და ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდა, შიდა ქართლის მთიელები (აგრეთვე კახეთის მთიელები) ინტენსიურად გადასახლდებოდნენ როგორც მთისწინეთში, ისე ბარში. ასე იქნა მათ მიერ ათვისებული თრიალეთის დაუსახლებელი ქედი, შირაქი და სხვ. მუდმივი საგარეო ფაქტორის გამო იყო, რომ XVII-XVIII საუკუნეებში და უფრო ადრეც მთიელები ძირითადად მოსაზღვრე მთისწინა და ბარის რეგიონებში სახლდებოდნენ და მხოლოდ XIX ს-დან დაიწყეს ინტენსიური წინ წაწევა დაშორებული და სანაპირო მხარეებისაკენ. ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია ადაპტაციის საკითხიც. ადრეც გვქონდა შენიშნული, რომ

მთიელებს უჭირდათ მთის გეოკლიმატური პირობებიდან ბარის გეოკლიმატურ პირობებში უშუალოდ ჩასახლება. ამიტომ ისინი დასასახლებლად მთისწინა, ზეგან რეგიონებს არჩევდნენ და მხოლოდ შემდეგ, ნელ-ნელა, რამდენიმე თაობის გასვლის შემდეგ მიიწევდნენ უფრო დაბლობისაკენ. არაერთი ეთნოგრაფიული მონაცემი გვაქვს დაფიქსირებული, როდესაც შიდა ქართლის მთის მოსახლეობა ბარში უშუალოდ გადასახლების შემდეგ სტოვებდა ბარს და მთისწინეთსა და ზეგანს ირჩევდა დასასახლებლად.

მთიანეთის პროვინციებთან ახლოს მთისწინა და ბარის რაიონებში გადასახლებას უთუოდ ისიც განაპირობებდა, რომ მთიელი იყო მთის გარკვეული სოციალურ-რელიგიური ორგანიზაციის წევრი; ისინი იყვნენ ამა თუ იმ საგვარო, სასოფლო, სათემო ჯვარ-ხატის ყმანი. მიგრანტი მთიელისათვის როგორც რელიგიური, ისე სოციალური თვალსაზრისით ძნელი იყო სრულიად მოწყვეტოდა თავდაპირველ საცხოვრისს. მას მჭიდრო კონტაქტები სჭირდებოდა მთასთან. ტერიტორიული დაშორებულობა კი იმ ვალდებულებების განხორციელების საშუალებას ნაკლებად აძლევდა, რომელიც ტრადიციულად წინაპრებისაგან ჰქონდათ მიღებული. ამ შემთხვევაში ერთგვარი შვების მომგვრელი, შემამსუბუქებელი შიდა ქართლის მიგრანტი მთიელებისათვის შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული მთური სალოცავების ნიშების გადმოტანა. მაგრამ, ირკვევა, რომ ასეთ პრაქტიკას თვით მიგრანტები იშვიათად მისდევდნენ. სალოცავთა ნიშები ძირითადად მიგრანტთა შთამომავლებს გადმოჰქონდათ. თანაც ამ ნიშების გადატანა ყოველთვის თავისუფლად როდი შეიძლებოდა. მთაში იყო სალოცავები, რომლებიც თავიანთ მიგრირებულ ყმათ ამის "ნებას" არ აძლევდნენ; ყველა ვალდებულება მიგრირებულ მთიელებს ადგილზე მთაში, წინაპართა საცხოვრისში არსებულ რელიგიურ ცენტრში უნდა შეესრულებინათ. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ზოგიერთი სალოცავის ნიში მიგრანტთა შთამომავლებს მოპარული აქვთ, ფარულად აქვთ წამოღებული და არ არიან "ჩამობრძანებულები" სხვა სალოცავების ნიშებისავით.

მიგრანტი მთიელებისა და მათი შთამომავლების საგვარო, სასოფლო, სათემო და გამაერთიანებელ სალოცავებთან დამოკიდებულების საკითხს ქვემოთ კვლავ შევეხებით, აქ კი კახეთის მთიელების (ფშავ-ხევსურების) მიგრაციის შედეგად მიღებულ დასკვნას გავიმეორებთ, მთიელები გადასახლებისას აუცილებლად გაივლიდნენ შუალედურ რგოლს მთისწინეთ-ზეგანის სახით. ასეთი შუალედური რგოლი, საფეხური მთიულებისა და გუდამაყრელებისათვის იყო არაგვისავე ხეობის მთისწინა ზოლი (ქაისხევი, ტონჩა-გრემისხევის მხარე, ხორხის ხეობა). ნაწილობრივ ასეთ შუალედურ რგოლს, საფეხურს წარმოადგენდა მიგრანტი მთიულ-გუდამაყრელებისათვის ჭართალი, სადაც უფრო ადრე, XVII ს-ის დასაწყისში ხევსურეთიდან აყრილი გიგაურები დასახლდნენ. ჭართალში ადგილობრივ მოსახლეთაგან მხოლოდ ორი გვარი მკვიდრობს (ხუციანიძე, ლალიაშვილი). სად წავიდა ჭართლის ადრინდელი მოსახლეობა? - რა თქმა უნდა, ბარში. მცირე ნაწილი ქსნის ხეობაში გადასახლებულა (ღუნაშვილი, ხრიკული), ნაწილი-კახეთში, რის დამადასტურებლად ჯერ კიდევ ადრე დ.მუსხელიშვილმა სოფელი ჭართალა (ახმეტის რაიონში) მიიჩნია. XVII-XVIII-XIX საუკუნეებში ჭართალში მიგრირებული მთიულ-გუდამაყრელები, ადგილობრივ ჭართლელებთან ერთად თანდათან დაბლობში გადადიოდნენ საცხოვრებლად.

მთიელ-გუდამაყრელების მიგრაციული მარშრუტები მიმართული იყო შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ხეობებისკენაც, რომელთაც გადასასახლებელი

ადგილები უთავისუფლდებოდათ თვით ამ ხეობათა მთიელების ბარში გადასახლების შედეგად. მაგალითად, ასე არიან მთიულები, გუდამაყრელები, ჭართლელები გადასახლებული ქსნის, ლეხურას და მეჯუდას ხეობების მთიან მონაკვეთებში.

შემდეგი რეგიონი, სადაც მთიულები, გუდამაყრელები, ჭართლელები, ხანდოელები, ქსნისხველელები გადასახლდებოდნენ ერწო-თიანეთი იყო. ამ მთისწინა რეგიონში XVII-XVIII საუკუნეებში ძალზედ ინტენსიური იყო ფშავ-ხევსურთა ჩასახლება. შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია ერწო-თიანეთში აღნიშნულ პერიოდში ფშავ-ხევსურთა მიგრაციას ვერ შეედრება, მაგრამ მაინც შესამჩნევია. განსაკუთრებით გააქტიურდა შიდა ქართლის მთიელთა ერწო-თიანეთში მიგრაცია XIX საუკუნეში.

XIX ს-ის 30-იან წლებიდან შიდა ქართლის მთის მოსახლეობა ჩამოწვა თრიალეთის ქედის როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის კალთებზე. აქ და ქვემო ქართლში ქსნის ხეობის მთილებიც არიან მიგრირებული. აქტიურად მიმდინარეობდა მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაცია კახეთისკენაც, რომელმაც მასშტაბური სახე XX ს-ის დასაწყისიდან მიიღო. შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციას შიდა ქართლის მთაში მოსახლეობის ამოვარდნა არ გამოუწვევია.

კიდევ ერთი დასკვნა. მთიელი მიგრანტები უპირველეს ყოვლისა თავისავე ხეობას მოუყვებოდნენ, ჯერ ხეობის მთისწინეთში, შემდეგ ბარში სახლდებოდნენ. თავიანთი ხეობების მთისწინეთისა და ბარის ათვისების შემდეგ, შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციული ნაკადები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულებისაკენ იქნა მიმართული. ასე არიან გადასახლებული არაგვის ხეობელი მთიელები არაგვისავე ხეობის მთისწინეთსა და ბარში, ქსნისხველელები ქსნის ხეობის მთისწინეთსა და ბარში (სოფლები: ოძისი, ქსოვრისი, მუხრანი, ლამისყანა, ოკამი...), ლეხურას ხეობის მთიელები-ლეხურას ხეობის ბარში, მეჯუდას ხეობის მთიელები-მეჯუდას ხეობის ბარში და ა.შ.

მთის მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები, როგორც ვნახეთ, ძირითადად დადგენილი იქნა გვართა ისტორიის შესწავლის საფუძველზე. საისტორიო საბუთებისა (საარქივო მასალები) და ეთნოგრაფიული მონაცემების (გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ, გვართა ძირი-სალოცავები...) შეთანწყობით. უმეტეს შემთხვევაში საარქივო მასალები და ეთნოგრაფიული მონაცემები ამა თუ იმ გვარის მიგრაციის და სადაურობა-წარმომავლობის შესახებ ერთმანეთს ავსებს და ადასტურებს. გვარსახელების საშუალებით ხდება ქართველი მთიელების მიგრაციის შესწავლა და მიგრაციის საშუალებით არაერთი ქართული გვარსახელის ისტორიის გარკვვა. მიგრაცია იყო ხშირად ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მიგრანტები და მისი შთამომავალნი გვარს იცვლიდნენ. მიგრაციის შედეგად ახალი ქართული გვარსახელები წარმოიქმნებოდა, რის მიზეზიც გარდა მესისხლეობით გამოწვეული გადასახლებისა, ერთი სოციალური გარემოდან მეორე გარემოში გადასვლაც იყო. თუმცა არც ერთი მიგრანტი და მათი შთამომავალნი არ ივიწყებდნენ თავიანთ მთურ გვარებს და ხშირად ორი გვარის მატარებლებად (მფლობელებად) გაიაზრებდნენ კიდეც თავს.

ზემოთ ითქვა და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ შიდა ქართლის მთიდან მოსახლეობის ბარისკენ მიგრაცია მთაში მოსახლეობის დემოგრაფიულ სტაბილიზაციას იწვევდა. ბარისაკენ გადმოსახლდებოდა ძირითადად

მოსახლეობის ჭარბი, ზედმეტი ნაწილი. მთაში რჩებოდა მოსახლეობის ზღვრული რაოდენობა. მთაში ფაქტიურად ოჯახები არ უქმდებოდა, - ორი ძმიდან ერთი მოდიოდა, სამიდან- ორი და ა.შ.

ზემოთ ითქვა, რომ მთიელთა (და მათ შორის შიდა ქართლის მთიელთა) სალოცავებს ბარში მიწები ეკუთვნოდათ. ამ მიწებზე ძირითადად ვენახები იყო გაშენებული. აქ დამზადებული ტკბილი მთაში მიჰქონდათ, ქვევრებში ასხამდნენ და სახატო დღეობებზე სვამდენენ.. შიდა ქართლის მთიელებს ბარში მიწები სხვადასხვა გზით ჰქონდათ შეძენილი: 1) საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში განსაკუთრებული დამსახურების გამო მეფეთაგან ბოძებული; 2) ფეოდალებისაგან ბოძებული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ თავადის სამფლობელო მთასაც მოიცავდა და ბარსაც; 3) თვით მთიელებისაგან შეძენილი მაგალითების მოყვანა არაერთი შეიძლება. მეფეთა მიერ ბარში ბოძებულ ადგილებში ძირითადად ვენახებს აშენებდნენ. თავდაპირველად ამ ვენახებს ადგილობრივებს ამუშავებინებდნენ. შემდეგ ამ მიწებზე მთიელების ერთი-ორი ოჯახი გადმოსახლდებოდა და მთური ხატ-სალოცავის კუთვნილ ვენახში სალოცავის ნიში გადმოჰქონდათ, ნიშნად იმისა, რომ ეს მიწა, მამული, ვენახი მთის ამა თუ იმ სალოცავს ეკუთვნოდა. მთიელთა და მათი ჯვარ-ხატების კუთვნილ ბარის ვენახში სალოცავის ნიშის გადმოტანა ამ მიწის კუთვნილობის ერთგვარი იურიდიული დამადასტურებელიც იყო. შემდეგ კი მთური სალოცავის კუთვნილი ვენახის ნიშის გარშემო ხდებოდა მთიელ მიგრანტთა კონცენტრირება.

ხშირ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალები თავად ახდენდნენ მთიელთა მიგრაციის ორგანიზებას. მაგალითად, არაგვის ერისთავებმა ასე გადაასახლეს ჭართლის სოფელ ბუჩანთკარში მცხოვრები ბუჩაშვილები დუშეთის მახლობლად, აზნაურმა ჩრდილელებმა-რამდენიმე მოხეური გვარი ბაზალეთში.

ჭართლელ გიგაურებს მიწა ჰქონდათ შეძენილი სოფელ გრემისხევში. მათ მიწის საკმაოდ დიდი მონაკვეთი შეკრებილი ფულით შეუძენიათ საგვარო ხატის სახელზე, სადაც ჭართლიდან მიგრირებული გიგაურები უკვე ცხოვრობდნენ.. გრემისხევის ამ ნაკვეთში გიგაურთა სალოცავის-დედაღვთისმშობლის ნიშიც ჰქონდათ გადმოტანილი. მიწის დიდი ნაკვეთის შეძენის მიზეზი იყო ის, რომ სახატო დღესასწაულები სათანადო დონეზე ჩაეტარებინათ და უფრო მეტი შესაწირი მიერთმიათ სათემო ხატისათვის. მიწის ამ ნაკვეთს მიგრირებული გიგაურები ამუშავებდნენ. ასეთი ადგილებისაკენაც ჰქონდათ გადასახლების სწრაფვა მთიელებს, კონკრეტულ შემთხვევაში ჭართლელ გიგაურებს. ისმის კითხვა: როდის უნდა გაჩენილიყო გადასახლების ეს ფორმა? ეთნოგრაფიული მასალებით ჭირს ზუსტად განვსაზღვროთ როდის წარმოიქმნა ბარში მიწების შეძენისა და შესაბამისად მთიდან ბარში მოსახლეობის გადასახლების აღნიშნული ფორმა. შესაძლოა მთისა და ბარის ურთიერთობის ეს სახე საკმაოდ დიდი ხნის წარმოქმნილი, ტრადიციული იყო. ერთი რამ აშკარაა, მთიელთა მიერ მთური სალოცავებისათვის ბარში მიწების შეძენის ეს ფაქტები განსაკუთრებით ხელშესახებია XIX საუკუნიდან.

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით ერთი დასკვნა უნდა ჩამოყალიბდეს, _ გადასახლების ეს ფორმა, როდესაც მთიელი მთური ჯვარ-ხატების კუთვნილ მიწებზე სახლდებოდა, მხოლოდ მიგრაციის საწყის ეტაპზე იყო განსახორციელებელი. მიწის ამ ფონდის ამოწურვის შემდეგ, მთიელები (ჩვენს შემთხვევაში, შიდა ქართლის მთიელები) როდი წყვეტდნენ მთისწინეთსა და

ბარში გადასახლებას. ისინი ეფუძნებოდნენ პირველ რიგში საეკლესიო, შემდეგ სახასო და ბოლოს თავად-აზნაურთა კუთვნილ მიწებზე.

ხატის მამულში იყვნენ დასახლებული ხანდოელი დავითურები სოფ. იორში, რომლებიც გადასახლების შემდეგ ქაშიაშვილის გვარს ატარებდნენ. დავითურების გვარს (თემს) ხატისათვის ეს ვენახი ბარში შეძენილი ჰქონია. შემდეგ, დროთა განმავლობაში ხატის ამ კუთვნილ ვენახში თავისი გვარის ერთ-ერთი განაყოფი-"ქაშიანი" დაასახლეს, იმ პირობით, რომ ხატის ამ კუთვნილ მამულს ისინი მოუვლიდნენ და ყოველწლიურად სახატო დღეობაზე კულუხს მიიტანდნენ (1781 წლის აღწერით ქაშიაშვილები უკვე სოფელ იორის მკვიდრნი იყვნენ). ქაშიაშვილები თავიანთ ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ნაკვეთის ჩამორთმევის შემდეგ, ბუნებრივია მთის სალოცავისათვის კულუხის მიტანა ვეღარ შესძლეს. ამის გამო, დავითურებმა ქაშიაშვილები მოიკვეთეს, მკაცრად დასაჯეს და სამანიც ჩაუსვეს ხატში.

მიგრანტი მთიელები, გარდა იმისა, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რჩებოდნენ მთური სოციალურ-რელიგიური ორგანიზაციის წევრებად, მაინც ბარელგლეხდებოდნენ, ერთდროულად ხდებოდნენ ადგილობრივი სალოცავების მლოცველებიც და ეყმობოდნენ ორ ჯვარ-ხატს-მთურს, მამა-პაპებისას და ადგილობრივს, ბარულს. არის შემთხვევები, როდესაც მიგრანტებსა და მათ შთამომავლებს აღარავითარი კავშირი არ ჰქონდათ მთურ სალოცავებთან. მაგალითად, გრემისხევის ბეკურიანთუბანში მოსახლეობენ **ბეკურიშვილები, რომლებიც ძირად სამხარაულები** არიან. სამხარაულები ლიქოკის ხეობიდან წარმომავლობენ. XVIIIს-ში კი ისინი დიდი რაოდენობით მოსახლეობდნენ ხანდოში, სადაც მათ შემდეგ მელიქიშვილის გვარი მიიღეს (აგრეთვე ერწო-თიანეთსა და კახეთში). გრემისხევში მიგრირებულმა სამხარაულებმა თავიანთ საგვარეულო ხატად აქციეს ხატი, რომელიც მათ აქ დახვდათ-"ღვანაძეურთ მთავარანგელოზი". სალოცავის სახელწოდება იმაზე მიუთითებს, რომ თავის დროზე იქ, სადაც ახლა ბეკურიშვილები მკვიდრობენ ღვინაძეურებს უცხოვრიათ (XVIII ს. დასაწყისში რამდენიმე კომლი ღვინაძეური თვალივში მოსახლეობდა (ჯავახ. 1967).

მთიულთა დუშეთის მიდამოებში საკმაოდ დიდი ხნის მიგრაციის დამადასტურებელია "ცეცხლჯვრის" სალოცავი. ცნობილია, რომ "ცეცხლჯვარი" მთიულეთის ცხავატის თემის ძირითადი სალოცავი იყო. "ცეცხლისჯვრის" არსებობა სოფ. არღუნთან იმის დამადასტურებელია, რომ ეს ნიში თავის დროზე ცხავატიდან მიგრირებულმა მოსახლეობამ გადმოიტანა. ასე რომ, ის გვარები შიდა ქართლის ბარში მოსახლენი, ვინც "ცეცხლისჯვარს" ეყმობა, ცხავატიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი. შეიძლება დავასახელოთ ბაზალეთელი **ეპიტაშვილები**, იწრიელი **ჭიაბრიშვილები**, რომლებიც 1781 წელს არღუნშიც ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ცეცხლჯვარს ეყმობა აგრეთვე სოფელ ჭონტილის მოსახლეობა.

ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ გვინდა გავიმეორეოთ, რომ მთისწინეთსა და ბარში გადასახლებული მთიელები გარკვეული ხნის განმავლობაში რჩებოდნენ მთური სოციალურ-რელიგიური ორგანიზაციის წევრებად (თუ რა თქმა უნდა, ისინი მესისხლეობის გამო მიგრირებულნი, ანდა თემიდან მოკვეთილები არ იყვნენ). ეს ითქმის როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად გადმოსახლებულებზე, რაც გამოიხატებოდა მიგრანტებისა და მათი

შთამომავლების წინაპართა საცხოვრისში სალოცავად სიარულში და რიგი სხვა ვალდებულებების შესრულებაში. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტ მთიელებს ახალ საცხოვრისში გადაჰქონდათ თავიანთი სათემო, საგვარო, სასოფლო და გამაერთიანებელი ტერიტორიული ხატ-სალოცავების ნიშები, ისინი მაინც არ წყვეტდნენ კონტაქტებს იმ სოციალურ-რელიგიურ კოლექტივთან (ერთეულთან), რომლის წევრებიც იყვნენ. ამის დამადასტურებელი, ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, საისტორიო საბუთებიც გაგვაჩნია, მაგრამ დროთა განმავლობაში წინაპართა საცხოვრისთან არსებული სოციალურ-რელიგიური კონტაქტები თანდათან სუსტდებოდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის საბოლოოდ წყდებოდა. ასეთ მიგრანტებში საუკუნეთა შემდეგაც დაცულია გადმოცემა მათი სადაურობა-წარმომავლობისა, თუ ადრინდელი გვარის შესახებ და ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოილოცავდნენ წინაპართა სალოცავებს და ბარში გადმოტანილ სალოცავთა ნიშებთან ასრულებდნენ ყველა იმ ვალდებულებას, რაც ტრადიციულად ჰქონდათ გადმოცემული წინაპართა საცხოვრისთან, ადრინდელ გვართან და სალოცავთან. კონტაქტების მუდმივობის დამადასტურებელია აგრეთვე ისიც, რომ მიგრანტთა უმრავლესობა, რომლებსაც ახალი გვარები ჰქონდათ მიღებული, მაინც არ ამყარებდა საქორწინო კონტაქტს ადრინდელი გვარის წარმომადგენელთან.

ყველაზე მყარი სოციალურ-რელიგიური ერთეული შიდა ქართლის მთიანეთში ჭართლელ გიგაურთა თემი იყო. აქედან მიგრირებული გიგაურები და გიგაურთა გვარიდან შტო-ნაყარი სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი როგორც ერთმანეთთან, ისე თავდაპირველ საცხოვრისთან და საგვარო-სასოფლო ჯვარ-ხატთან. საამისო ეთნოგრაფიული მასალა ზემოთ გვქონდა მოყვანილი. დღემდე მთისწინეთსა და ბარში განსახლებული გიგაურები დ გიგაურყოფილები ვალდებული არიან შეასრულონ ყველა ტრადიცია სათემო სალოცავის მიმართ; ყველანი, ჭირსა და ლხინში, ერთმანეთის გვერდით დგანან და რაც მთავარია, დღემდე აგროვებენ ე.წ. საგიგაუროს, რათა საგვარო (სათემო) სალოცავისადმი შემწირველი ყველა იყოს. ასე ინარჩუნებენ გიგაურები ე.წ. საგვარო კავშირს ერთმანეთთან მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარიდან 50 გვარზე მეტია შტო-ნაყარი. ყველა მათგანისათვის მთავარია ის, რომ ისინი წარმოშობით გიგაურები არიან. ამრიგად, ყველა მიგრანტ გიგაურს წინაპართა საცხოვრებელთან აქვთ რეალური კავშირი, მიუხედავად იმისა შენარჩუნებული აქვთ თუ არა ადრინდელი გვარი. რეალური კავშირი წინაპართა საცხოვრისთან და სალოცავთან იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მიგრანტები და მათი შთამომავალნი ახლად დაბადებულ ბავშვს (ვაჟს) და რძალს საგვარო-სათემო სალოცავში გარევდნენ ხოლმე.

წინაპართა საცხოვრისთან მიგრანტ შთამომავალთა სიმტკიცეს ისიც უწყობდა ხელს, რომ ზოგჯერ გადასახლებულები მთურ ჯვარ-ხატს ახალ საცხოვრისში ვენახს სწირავდნენ, საიდანაც ყოველწლიურად კულუხი მიჰქონდათ ხოლმე. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ასე ჰქონდა: ჭართლის "დედაღვთისმშობლისათვის" შეწირული ვენახი ჭართლიდან არაგვისპირში მიგრირებულ ჯიქურებს (ჯიქურაულებს), რომელთა ადრინდელი გვარია გიგაური, რომლებიც თავს გაიაზრებდნენ, როგორც ახალი გვარის (ჯიქურაული), ისე ძველი გვარის (გიგაური) წევრებად. ბარიდან მთური სალოცავისადმი მიწის შეწირვის გარდა, ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მიგრანტი გადასახლებისას მთის მამულს სწირავდა ჯვარ-

ხატს, ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ოჯახი მთლიანაად იყრებოდა და ახლო სანათესაო წრეც არ ჰყავდა.

ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ მთისწინეთსა და ბარში გადმოსახლებულები თავდაპირველად და შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში, - საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, - მამა-პაპათა სალოცავში კოლექტიურად მიემგზავრებოდნენ, რისთვისაც ორი-სამი ათეული ურემი მაინც სჭირდებოდათ. ახალ დროს შეინიშნება ტენდენცია რამდენიმე წელიწადში ერთხელ გამგზავრებისა და მორიგეობით წასვლისა. რადგანაც წინაპართა საცხოვრისში რელიგიური დღესასწაულის დროს რეგულარული წასვლა თანდათან ვეღარ ხერხდებოდა, მთიელებმა თავიანთ ახალ საცხოვრისში, განსაკუთრებით რამდენიმე თაობის შემდეგ დაიწყეს სალოცავთა ნიშების გადმოტანა, განსაკუთრებით ეს ითქმის მათზე, ვინც უფრო მეტად შორს იყო გადასახლებული. მაგალითად, თითქმის მიგრაციისთანავე გადაუტანიათ მთიულ-გუდამაყრელებს სალოცავთა ნიშები ერწო-თიანეთში, თრიალეთის ქედზე და კახეთში.

საყურადღებოა, რომ გადმოსახლებული მთიელები და მათი შთამომავალნი მთური სალოცავების ნიშებს ხშირად მართავდნენ ძველ სალოცავ-ეკლესიათა ნანგრევებზე, რომელთა სახელწოდებანიც, ადგილობრივი მოსახლეობის ამოვარდნის გამო, თითქმის აღარავინ იცოდა. ამასთანავე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგჯერ მიგრანტები ადგილობრივი სალოცავების ყმებადაც იქცეოდნენ. ეს განსაკუთრებით ეხებათ მესისხლეობის გამო გადმოსახლებულებს.

მიგრანტ ფშავ-ხევსურებისაგან განსხვავებით, მთისწინეთსა და ბარში გადასახლებულ მთიულებსა და გუდამაყრელებს ძირითადად საერთო, გამაერთიანებელი ანუ ცენტრალური სალოცავების ნიშები გადაჰქონდათ. მიგრანტ ფშაველებსა და ხევსურებს კი ცენტრალურ სალოცავებთან ერთად საგვარო და სასოფლო სალოცავთა ნიშებიც გადაჰქონდათ. მთიელთა საერთო სალოცავის "ლომისას" და გუდამაყრელთა ყველაზე ძლიერი სალოცავის "პირიმზე ფუძის ანგელოზის" ნიშები არაერთი გვხვდება ყველა იმ რეგიონში, სადაც კი ისინი არიან გადასახლებულნი. მთიულთა საგვარო სალოცავთა ნიშები (ერთი გამონაკლისია ქავთარაძეების წიფორის წმინდა გიორგის ნიში) თითქმის არსად არ გვხვდება. ვფიქრობთ, აღნიშნული გარემოების მიზეზი მთის კუთხეების განსხვავებულ სოციალურ სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ. შიდა ქართლის მთიანეთი სოციალური თვალსაზრისით უფრო წინ წასული იყო, ვიდრე კახეთის მთიანეთი. თუ კახეთის მთიანეთისათვის მთლად უცნობი იყო სოციალური დიფერენციაცია და ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი ჭეშმარიტად ავტონომოურად ფუნქციონირებდა ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში, მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოში, ჭართალში, ხევში გვიან შუა საუკუნეებიდან ჩამოყალიბებული გვქონდა ფეოდალური ურთიერთობები, თუმცა არა ისეთი ფორმით როგორც ბარსა და მეზობელ ქსნის ხეობის მთაში.

მთისწინეთში (ზეგანში) გადმოსახლებულები მეურნეობის იმ დარგებს ანვითარებდნენ, რომლებსაც მთაში მისდევდნენ (მეცხოველეობა და მემინდვრეობა), ბარში კი სხვაგვარ პროცესებთან გვაქვს საქმე. შირაქში მიგრირებული შიდა ქართლის მთიელები მთაში საკმაო რაოდენობით ნაყოლ საქონელს ყიდდნენ, რაც ხმარდებოდა ადგილობრივი პირობებისათვის მისადაგებულ სამეურნეო ცხოვრების მოწყობას, საცხოვრებლის გამართვას. ერთი

სიტყვით, მთიულეთ-გუდამაყარში XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში მომრავლებული ცხვარ-საქონლის პატრონები ადვილად ელეოდნენ ცხვარ-ძროხის საკმაოდ დიდ რაოდენობას, თუმცა მათ საერთოდ უარი როდი უთქვამთ ახალ გარემოში მეცხოველეობაზე. ისევე როგორც ბარის სხვა სოფლებში, აქაც ოჯახისათვის საჭირო რაოდენობას იტოვებდნენ.

მიგრანტ მთიელებს ახასიათებდათ ტენდენცია ჯგუფურად, ერთ სოფლად, ერთ უბნად დასახლებისა. სათემო ურთიერთობების შენარჩუნება პირველ პერიოდებში თითქმის ყველგან ხდებოდა იქ, სადაც კომპაქტურად სახლდებოდნენ. თუმცა ბარის გავლენა მთიდან მოტანილ ასეთ ტრადიციულ ერთობებს მალე შლიდა. მთიულ-გუდამაყრელთაგან ტერიტორიული თემის ტრადიციების ახალ საცხოვრისში გადატანის ფაქტები შეიმჩნევა თრიალეთის ქედზე დასახლებულებში.

ამრიგად, შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია, ისევე როგორც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისა, მთისწინეთსა და ბარში მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს წარმოადგენდა. ყველაზე მთავარი საქართველოს ისტორიისათვის კი ისაა, რომ მთიელთა მუდმივი გადასახლებით მთისწინეთისა და ბარის მოსახლეობისაგან ამოვარდნილ პროვინციებში მოსახლეობის კვლავწარმოების საშუალება გვეძლეოდა და დარღვეული ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია მალევე აღსდგებოდა. ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთის ჭარბი, ნამატი მოსახლეობის მიგრაციას ბარის რაიონებისაკენ. ამ პროცესებმა კი საქართველოს გადარჩენის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს, თორემ მთისწინეთისა და ბარის ბევრი რეგიონი, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა არაქართული ეთნიკური ერთობების სამოსახლოებად იქცეოდა.

დამოწმებული საარქივო მასალები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 254, ანაწერი 1. საქ. №542, 687, 1245, 2092; ან. 2, საქ. № 248; ან 3. საქ. № 236, 239, 256, 257, 258, 264, 274, 278, 1732, 1740, 1750.

<u>აბუსერიძე ტბელი, 1941</u> - აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, ლ.მუსხელიშვილის გამოცემა, თბ. 1941.

<u>ბაგრატიონი, 1941</u> - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.

<u>ბაგრატიონი, 1986</u> - იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოცემა, თბ., 1986.

ბერძენიშვილი, 1964 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II. თბ., 1964.

ბოჭორიშვილი, 1956 – ლ. ბოჭორიშვილი, ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით//მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956

<u>ბოჭორიძე, 1927</u> - გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა//საქართველოს არქივი, III, 1927.

<u>დოკ., 1953</u> – დოკუმენტები საქართელოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1953

<u>თაყაიშვილი, 1907</u> – ე. თაყაიშვილი მასალანი საქართვვლოს სტატისტიკურის აღწერილობის მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907.

<u>თაყაიშვილი, 1910</u> – ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, თბ., 1910

<u>თოფჩიშვილი, 1979</u> – რ. თოფჩიშვილი, ტოპონიმები როგორც წყარო აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად//მაცნე-ისტორიის…სერია, №2, 1979

<u>თოფჩიშვილი, 1984</u> – აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. (ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბ., 1984

<u>თოფჩიშვილი, 1985</u> – რ. თოფჩიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი//მაცნე-ისტორიის სერია, №2, 1985

<u>თოფჩიშვილი, 1987</u> – რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი//მაცნე – ისტორიის სერია, №4, 1987

<u>თოფჩიშვილი, 1990</u> – რ. თოფჩიშვილი, ხევსურული გვარები: ზოგიერთი ეთნოისტორიული და სოციალური საკითხი//ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები – 1987, თბ., 1990

<u>თოფჩიშვილი, 1991</u> – რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I, მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა, თბ. 1991 (წიგნის მაკეტი).

<u>თოფჩიშვილი, 1993</u> – რ. თოფჩიშვილი, ლეჩუმური გვარსახელები: დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 1993.

<u>კაკაბაძე, 1925</u> – ს. კაკაბაძე, საამილახვროს დავთარი XVII ს-ის მეორე ნახევრისა, ტფ. 1925.

<u>ლორთქიფანიძე, 1935</u> – იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII ს-ის პირველ მეოთხედში, წ. I და II, თბ., 1935

<u>ლორთქიფანიძე, 1938</u> – იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII ს-ის პირველ მეოთხედში, წიგნი III და IV, თბ., 1938.

<u>მეგრელაძე, 1979</u> – დ. მეგრელაძე, გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.), თბ., 1979

<u>მუსხელიშვილი, 1965</u> – დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966

<u>მუსხელიშვილი, 1977</u> – დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977

<u>პალ, 1991</u> – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991

<u>სი, 1958</u> – საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958

<u>სინ, 1973</u> – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973

<u>სონღულაშვილი, 1969</u> – ჯ. სონღულაშვილი, აღმოსავლეთ საქაქთველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1969

<u>ქსძ, 1965</u> – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965

<u>ქსძ, 1970</u> – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970

<u>ქსძ, 1972</u> – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972

<u>ქსძ. 1974</u> – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974

<u>ქსძ, 1977</u> – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977

<u>ქც, 1979</u> – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973

ჩიტაია, 1926 – გ. ჩიტაია, ფიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები//საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., 1926

ხარაძე, 1949 – რ. ხარაძე, ხევსურული “ძირი” და “გვარი”//მიმომხილველი, I, თბ., 1949

ჯავახიშვილი, 1967 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბ., 1967

ჯავახიშვილი, 1974 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. II, თბ., 1974

ჯალაბაძე, 1975 – გ. ჯალაბაძე, ქსნის ხეობის მოსახლეობა// ქსნის ხეობა, თბ., 1975

ჯამბურია, 1955 – გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955